კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა მოზარდების სოციალიზაციაზე პოსტ-საბჭოთა საქართველოში

-

ვახტანგ კეკოშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვახტანგ კეკოშვილი

ხელმოწერა

22. 02. 2019“

აბსტრაქტი

2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია (2005) წამოიწყო. ამ კამპანიის შედეგად კრიმინალური გავლენებისგან პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების განთავისუფლება მოხდა და „ქურდების“ შესახებ საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი რწმენა წარმოდგენებიც შეირყა. კანონიერი ქურდების სუბკულტურის წინააღმდეგ კამპანიური ბრძოლის შემდეგ, თითქმის ათი წლის თავზე, 2013-2015 წლებში ეთნოგრაფიული მეთოდით მოზარდების თამაშების დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ თამაშების მონაწილეები ციხის კონტექსტიდან გადმოტანილი კანონიერი ქურდების სუბკულტურის ნორმებისა და მახასიათებლების მეშვეობით პერფორმირებენ. პარადოქსულია, რომ კანონიერი ქურდების სუბკულტურა მოზარდების პერსეფციებში სამომავლო ცხოვრების პერსპექტივად არ განიხილება და არც სასურველი სუბ - კულტურული კაპიტალის ფორმად გამოდგება. მაშინ რითი აიხსნება კრიმინალური თამაშების არსებობა და ამაში მოზარდების ჩართულობა? კრიმინალური თამაშები და კრიმინალური სუბკულტურა ამ თამაშების მეშვეობით დისკუსიის, ცოდნის, უნარების, გენდერული განსხვავებების, დროის გაყვანისა და სოციო-კულტურული მიკუთვნებულობის გადაცემისა და გამჟღავნების საშუალებაა.

საძიებო სიტყვები: სუბკულტურა, კანონიერი ქურდები, მოზარდები, სკოლა, ქუჩის აკადემია, თამაშები, პოსტ-საბჭოთა საქართველო.

Abstract

Despite a robust anti-mafia campaign to reduce the glorification of local mafias, pre-adolescent peer group socialization in the republic of Georgia still refers to the norms of a highly developed criminal subculture known as the thieves' world. Through extensive ethnographic observation of children socializing through playing games borrowed from the prison context, the study asks what meaning and function these games now have. This study argues that children no longer see the subcultural capital of the thieves' world as a viable currency to gain status, nor do they see the prison games as modelling important functions for adult life. Instead, the study finds that the form of game playing, uncertain knowledge of the games, and lack of enforcement of rules particularly around participation by gender suggest that such socialization is a way of passing time, developing belonging and demonstrating socio-cultural knowledge more broadly.

Key Words: Subculture, Thieves-in-laws, Preadolescent Children, Socialization, School, Street School, Games, post-Soviet Georgia.

მადლობა

ამ სადისერტაციო ნაშრომში შეუფასებელია იმ ადამიანების თავდადებული შრომა, პროფესიული მიდგომა და კოლეგიალური დამოკიდებულება,რომელთა მხარდაჭერა და გვერდში დგომა მთელი ამ დროის განმავლობაში მქონდა. მათდამი მადლიერების გამოხატვას სიტყვები არ ეყოფა და სრული პასუხისმგებობით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს სადისერტაციო ნაშრომი გარკვეულწილად მათიც არის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სადისერტაციო ნაშრომის ხელძღვანელს, ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ემზარ ჯგერენაიას და დისერტაციის რედაქტორს მაია შონიას. ჩვენ სიტყვასიტყვით გავიარეთ ყოველი წინადადება და თუ რაიმე კონცეპტუალური ან ორთოგრაფიული უზუსტობაა, მხოლოდ მე ვარ მასზე პასუხისმგებელი.

მადლიერი ვარ, პროფესორი გავინ სლეიდის, მისი შენიშვნები და კრიტიკული განსჯები კვლევის სრულყოფაში დამეხმარა. მადლობა ქეთის(ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ქეთევან გურჩიანი) მისი მიდგომა და კოლეგიალობა შესაშური და სამაგალითო იყო. მადლობა მას ანთროპოლოგიური სემინარებისთვის, და ამ სემინარებში მონაწილე უკლებლივ ყველა სტუდენტს. ელენე გავაშელიშვილს, მარიამ დარჩიაშვილს, თინათინ ხომერიკს, ნინო რჩეულიშვილს, გია გოთუას(თუ ვინმე გამომრჩით მომიტევეთ). თქვენმა შეფასებებმა და კომენტარებმა ამ ნაშრომზე მხოლოდ დადებით გავლენა იქონია. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სტუდენტებს, მაია სალიას, ვიკა ხუბაევს.მთელს საუნივერსიტეტო კოლექტივს, განსაკუთრებული მადლობა, ილიაუნის ბიბლიოთეკას, მეგობრებო თვენი მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამომივიდოდა. მადლობა, ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, ზურაბ იაშვილს,თეო ყაველაშვილს, გიორგი მურღვაშვილს, ძმას კახაბერს, დედას და მამას, იმისთვის, რომ ამ წლების განმავლობაში გვერდში მედექით.

სადისერტაციო ნაშრომი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე არ შედგებოდა. მადლობა ილიას უნივერსიტეტის პროფესორს გიგი თევზაძეს, რომ კვლევითი პროექტის საჭიროებაში დარწმუნდა და 2013 წელს ილიას უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრებიდან საველე სამუშაოს პირველი ეტაპი დამიფინანსა. მადლობა, ილიას უნივერსიტეტის პროფესორს და რექტორს გიგა ზედანიას 2014 წელს კვლევითი პროექტის მეორე ეტაპის დაფინანსებისათვის. მადლობა, შვეიცარიის აკადემიურ ქსელს (ASCN), რომ 2015 წელს შვეიცარიის ქ. ფრიბურგში, ფრიბურგის უნივერსიტეტში(University of Fribourg) სამი თვის განმავლობაში საბიბლიოთეკო საქმის წარმოების შესაძლებლობა მომეცა.მადლობა, ერასმუს მუნდუსის(Erasmus Mundus) გაცვლით პროგრამას(Alrakis) და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტს(Free University of Berlin), რომ ათი თვის განმავლობაში 2015-2016 წლებში გერმანიის ქ. ბერლინში ცხოვრებისა და კვლევის შესაძლებლობა მომეცა.სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა წარმატებით ვერ დასრულდებოდა, რომ არა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერა (გრანტის ნომერი PhD_F_17_15, პროექტის სახელწოდება „არაფორმალობა ტრანზიციაში:პოსტ-საბჭოთა საქართველოს შემთხვევა“). და, ბოლოს, მადლობა ყველა რესპოდენტს, განსაკუთრებით კი მოზარდებს,რომ მენდნენ და არ დაეზარათ ინტერვიუებში და ფოკუსჯგუფებში მონაწილეობა.

სარჩევი

შესავალი 1

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო 3

მეთოდოლოგია 18

თავი 1 - ახალგაზრდული სუბკულტურები საბჭოთა კავშირში 2525

შესავალი 2526

1.1 სტილიაგები და გოპნიკები 27

1.2 კანონიერი ქურდები 27

1.3 ანტისისტემურობა სსსრ-ში 31

თავი 2 - ჩრიდლოვანი ეკონომიკა და კანონიერი ქურდები (1960-1970) 38

შესავალი 388

2.1 ჩრდილოვანი ეკონომიკა (1960-1970)..... 3939

2.2 კანონიერი ქურდები ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში..... 4343

თავი 3 - კანონიერი ქურდების რომანტიზაცია: მხატვრული ლიტერატურა, პრესა და ფოლკლორი..... 4948

შესავალი..... 4948

3.1 მხატვრული ლიტერატურა..... 5049

3.2 პრესა და ფოლკლორი..... 5554

თავი 4 - კანონიერი ქურდების სუბკულტურა(1991-2003)..... 598

შესავალი..... 5959

4.1 კრიმინოგენური ვითარება საქართველოში - 1991-2003 წლებში..... 6059

თავი 5 - კრიმინალურ სუბკულუტრასთან ბრძოლა (2005-2012)..... 6766

შესავალი..... 6766

5.1 ვარდების რევოლუცია(2003)..... 6766

5.2 კანონიერ ქურდებთან ბრძოლის კამპანია..... 7170

5.3 ციხე გარდამავალ პერიოდში (2007-2012)..... 7372

5.4 ინფორმაციაზე მონოპოლია როგორც ციხის მართვის საშუალება (2007-2012)..... 7877

5.5 სუბკულტურასთან ბრძოლის სხვა მექანიზმები..... 8281

თავი 6 - სკოლა და ქუჩის აკადემია..... 86

შესავალი..... 86

6.1 სკოლა საბჭოთა გამოცდილება..... 87

6.2 სკოლა საბჭოთა კავშირის დანგრევის (1991) შემდეგ..... 932

6.3 სკოლის რეფორმა 2005-2010..... 955

6.4 ქუჩის აკადემია..... 100100

6.5 ქუჩის აკადემია 2005-2010 წლებში..... 1021

თავი 7 - კრიმინალური თამაშები..... 1065

შესავალი..... 1065

7.1 ქურდი ზონაში..... 1075

7.2 გამოცანა თამაშები..... 1232

შედეგები..... 12928

დასკვნა..... 1343

ბიბლიოგრაფია 13535

დანართები 14948

დანართი N1. კანონიერი ქურდების მიმართ დამოკიდებულებები Attitudes towards thieves-in-law 2004 and 2007(CRRC). 14949

დანართი N2. IRI data set 2009. 14949

დანართი N3. World Prison in Brief – Georgia. 15050

შესავალი

2005 წელს ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის - კანონიერი ქურდების - გავლენის შესუსტების მიზნით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია წამოიწყო. კამპანია ორ პრინციპს ეფუძნებოდა და ორ მიმართულებას მოიცავდა: (1) სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას, რაც გამოიხატებოდა პოლიციის რეფორმირებაში, კრიმინალების წინააღმდეგ მისი ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდაში; (2) საკანონმდებლო ბაზის მომზადებას, ანუ კრიმინალთან ბრძოლის საკანონმდებლო/ ლეგალურ ბაზას. სწორედ კანონის ძალით უნდა გაკონტროლებულიყო კრიმინალების საქმიანობა. ამ მიდგომას მაფიის კვლევებში „სახელმწიფო ცენტრულ მიდგომას“ (State Centric Approach) უწოდებენ (Paoli 2007; Slade 2013). სახელმწიფო ცენტრული მიდგომა წარმატებული აღმოჩნდა გარკვეულ შემთხვევებში. მაგალითად, კანონიერი ქურდების გავლენა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სისტემებზე შესუსტდა. მათი მონაწილეობა არც საბაზრო ეკონომიკაში ჩანდა. ამ სუბკულტურის გავლენის შესუსტებას ადასტურებდა 2005-2009 წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებიც. ამ გამოკითხვების მიხედვით, კანონიერი ქურდები მაღალი სამოქლაქო ნდობით აღარ სარგებლობდნენ და მათი ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეირყა (IRI 2005-2007; Crrc 2005-2007; Gorbi 2010). მიუხედავად ამისა, კანონიერი ქურდების სუბკულტურა, საბავშვო კრიმინალური თამაშების მეშვეობით, მოზარდების სოციალიზაციის პროცესის შემადგენელ ნაწილად რჩება.

როგორ და რატომ ნარჩუნდება კანონიერი ქურდების სუბკულტურა ? ეს სადისერტაციო ნაშრომი ამ ძირითადი საკვლევი შეკითხვის გარშემო იქნება წარმოდგენილი.

სადისერტაციო ნაშრომში მიღებული დასკვნები ეთნოგრაფიული კვლევის შედეგია. მოზარდების სოციალიზაციის პროცესის დაკვირვება ქ. თბილისის საჯარო სკოლებში და ქ. ქობულეთის საზაფხულო სკოლაში მოხდა. ჯამში, დაკვირვებისა და გამოკითხვის შედეგად, გამოიკითხა ქ. თბილისში მცხოვრები 71 მოზარდი. ამ მოზარდების ასაკი 11-დან 15 წლამდე მერყეობდა.

ამ სადისერტაციო ნაშრომში სიტყვა „მოზარდებში“ ვგულისხმობ ბავშვსაც და ახალგაზრდასაც. მაგალითად, 11 წლის ასაკში მყოფი ადამიანი ბავშვად იწოდება, ხოლო 15 წლის ადამიანი თინეიჯერ ახალგაზრდად.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი შვიდი თავისგან შედგება. პირველ და მეორე თავში კანონიერი ქურდების სუბკულტურას 1960-1970-იანი წლების საბჭოთა საქართველოს მაგალითზე განვიხილავ. მესამე თავი კანონიერი ქურდების სუბკულტურის ფოლკლორიზაციისა და რომანტიზაციის განხილვას დაეთმობა. მეოთხე თავი საბჭოთა კავშირის დანგრევის (1991) შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური და სოციალური დესტაბილიზაციის პირობებში, კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენის ფორმებს შეეხება. ამ თავში გაანალიზდება საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორია 1991-დან 2003 წლამდე პერიოდებში. მეხუთე თავში, ვარდების რევოლუციის (2003) შედეგად მოსული ხელისუფლების მიერ 2005-2012 წლებში გატარებული რეფორმების განხილვას დაეთმობა. ამ თავში აქცენტი გაკეთდება ორგანიზებული დანაშაულის (კანონიერი ქურდები) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კამპანიაზე და მის შედეგებზე. მეექვსე თავში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის შედეგებს სკოლისა და „ქუჩის აკადემიის“ მაგალითებზე შევაფასებ. მეშვიდე თავი სასკოლო-კრიმინალურ თამაშებზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების ანალიზს დაეთმობა. სადისერტაციო ნაშრომი შეჯამდება დასკვნის ნაწილებში.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

საქართველოში კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებზე 1960 -1970 - იანი წლებიდან გამოიკვეთა.1990 იან წლებში ეს გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო საჯარო სკოლებში, ე.წ ქუჩის აკადემიაში და ციხეში. „ქუჩის აკადემია“ საკმაოდ კარგად არის გამოკვლეული. ეს თემა ჯერ კიდევ 1990 იანი წლებიდან არის ნაკვლევი. სამწუხაროდ საჯარო სკოლებში კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენის შესახებ მწირი სამეცნიერო ლიტერატურა მოგვეპოვება. ეს ნაშრომი ნაწილობრივ შეავსებს აკადემიურ სიცარიელეს და სკოლაში კრიმინალური თამაშების კვლევის მაგალითზე აჩვენებს კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენის ფორმებს. ეს კვლევა ფართო ინტერკულტურული და სოციო-კულტურული დასკვნების გაკეთების საშუალებასაც იძლევა. ამ კვლევაში საბავშვო კრიმინალური თამაშები, ქუჩის აკადემია და ციხე ერთმანეთს დავუკავშირე. ეს განაპირობა თამაშის კვლევის შედეგად მიღებულმა გარემოებამ, სადაც ნათლად გამოჩნდა, რომ საბავშვო კრიმინალურ თამაშებში გამოყენებული სიმბოლოები, ლინგვისტური კოდი და ქცევის მოდელები ქუჩის აკადემიისა და ციხის სოციალურ ცხოვრებაში დამკვიდრებულ სიმბოლურ, ლინგვისტურ და რიტუალურ მოდელებს იმეორებდა.

კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენის კვლევისთვის 2004 – 2012 წლები შევარჩიე. ეს პერიოდი ერთ წინადადებაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც გარდამავალი პერიოდი თანამედროვე საქართველოში. პერიოდი, როდესაც ფორმალური ინსტიტუტების გაძლიერებამ, არაფორმალური ინსტიტუტების შესუსტება განაპირობა. მაგალითად, 2004 წლიდან დაწყებულ საპოლიციო რეფორმას მთელი რიგი საკანონმდებლო ბაზის მომზადება მოჰყვა. 2005 წელს ანტი-ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სახელწიფო სტრატეგიაც შემუშავდა.ამ რეფორმის შედეგია კანონიერი ქურდების სუბკულტურის სტაგნაცია და მათი გავლენის შესუსტება არაფორმალური სოციალიზაციის სივრცეებზე. ამ რევოლუციური გარდაქმნების შედეგებმა მოზარდების სოციალიზაციის ფორმებზეც მოახდინა გავლენა. მოზარდებით

ჩემი დაინტერესება რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა. (1) მოზარდები ადვილად მოწყვლადი სოციალური ჯგუფია, რომელთა ყოველდღიურობაში სარკისებურად აირეკლება ზრდასრული ადამანების კულტურაში არსებული პოლიტიკური და სოციალური მოვლენები. თუ ჩვენ გვსურს პოლიტიკური გადაწყვეტილების შეფასება ამ სოციალური ჯგუფის კვლევას უნდა მივმართოთ (Kjørholt 2004; Corsaro 2011; James and James 2012).(2)მოზარდების კულტურული ასიმილაცია და სოციალური ინტეგრაცია სოციალიზაციის აგენტების მეშვეობით ხორციელდება. ისინი პრაგმატული სელექციით ირჩევენ ამ აგენტებს და წყვეტენ მათში მონაწილეობის ხარისხებს.მაგალითად თუ მათ აღარ სურთ ქუჩის აკადემიაში სოციალიზაცია ეს მხოლოდ იმიტომ რომ ამ სივრცემ სოციალური მიმზიდველობა დაკარგა. (3) მოზარდების დაკვირვება სახელოვნებო სკოლაში პედაგოგად მუშაობის გამოცდილებამაც განსაზღვრა. მე როგორც პედაგოგმა მოზარდების სოციალიაზციის ერთერთ ეპიზოდში კრიმინალური თამაშები აღმოვაჩინე. ეს თამაშები ჩემთვის 1990 იან წლებში სოციალიზებული ბავშვისთვის ნაცნობი იყო. ეს იყო შეხვედრა წარსულთან, რომელსაც თან ძალადობრივ გარემოში სოციალიზაციის სირთულე ახლდა, და ამავე დროს ეს იყო გაოცებაც, თითქოს 2005 წლიდან დაწყებულმა რევოლუციურმა გარდაქმნებმა საზოგადოებაში მოლოდინი გააჩინა ,რომ კრიმინალური სუბკულტურა ყოველდღიური ცხოვრებიდან გაქრა, თუმცა ეს მოლოდინი ბოლომდე არ გამართლდა.

კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანდა ე.წ ქუჩის აკადემიაში, საჯარო სკოლებში და ციხეში. *ქუჩის აკადემია* ანთროპოლოგების მიერ კარგად არის შესწავლილ.ამ ლიტერატურის ძირითად ნაწილში პოსტ-საბჭოთა პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური მოვლენებია ასახული (Koehler 2000; Захарова 2010; Curro 2017). ანთროპოლოგები ამ თემით პირველად 1990 იანი წლებიდან დაინტერესდნენ.1995-1998 წლებში ანთროპოლოგმა იან კოელერმა (2000) (Jan Koehler) გამოიკვლია ქ. თბილისის ქუჩები როგორც მოზარდების სოციალიზაციის სივრცე და გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით „ქუჩის სკოლა: ორგანიზებული განსხვავებულობა და დასწავლილი პოლიტაქსობა პოსტ-საბჭოთა პერიფერიაში“ (The School of the Street: Organsing Diversity and Training Polytaxis in a (post-) Soviet Periphery).

მისი ეს არჩევანი განაპირობა ამ პერიოდში ქუჩაში სუბკულტურის მოძლიერებამ და პოლიტიკური თუ სოციალური დისკურსების კრიმინალიზაციამ. იან კოელერი ქუჩას წარმოადგენს როგორც ერთგვარ სკოლას, სადაც ახალგაზრდა მამაკაცები ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს სწავლობენ: „ქუჩის სკოლის ფენომენი შეიძლება ყველაზე უკეთ აღიწეროს როგორც გადასვლის, გარდასახვის ადგილი (*place de passage),* სადაც „ბიჭები“ ხდებიან „კაცები“, ტოვებენ რა სკოლისა და ოჯახის მიერ დაცულ ტერიტორიას, რათა შეაბიჯონ უცნობი და ამოუხსნელი ავტონომიური წესების, ავტორიტეტის, რიტუალებისა და პროცედურების სამყაროში. ეს ერთგვარი კლასობრივი, ეროვნული, იდეოლოგიური და ლეგალური მარწუხებისგან თავისუფალი პრესტიჟის ბაზარია, რომელსაც ზრდასრული ადამიანების კულტურა განსაზღვრავს (მატერიალური რესურსების დაუფლება, უსაფრთხოება, სექსუალური უზრუნველყოფა და პოტენციური მეუღლის შერჩევაც კი მამებისა და პაპების თაობების მიერ კონტროლდება). სისტემური თვალსაზრისით ეს ოჯახისა და საბჭოთა ოფიციალური პოლიტიკური მოწყობისაგან დამოუკიდებელი, თვითკონტროლირებადი სივრცეა[1] (Koehler 2000, 3).

ქ. თბილისის ქუჩა ანთროპოლოგი ევგენია ზახაროვას (Евгения Захарова) კვლევის ობიექტიც გახდა. ზახაროვამ ქუჩა მიხეილ სააკაშვილის (2004-2012) მმართველობის პერიოდში შეისწავლა. ის დააკვირდა ქუჩის ტრანსფორმაციას და დაასკვნა, რომ კანონიერი ქურდები ქუჩაზე გავლენას კარგავდნენ, რაც განპირობებული იყო 2005 წელს დაწყებული ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკით. ქუჩის საზოგადოება ასევე გამოიკვლია ანთროპოლოგმა კოსტანცა კურომ (Costanza Curro) და კონცენტრირდა ქუჩაში სოციალიზაციის რიტუალური კომპონენტის, „ბირჟის“ კვლევაზე. კურო „ბირჟას“ განმარტავს როგორც „ახალგაზრდა მამაკაცების ღია ცის ქვეშ, სამეზობლოებსა და უბნებში რეგულარულად შეკრების ადგილს. „ბირჟა“ განიხილება როგორც ნახევრად

[1]The phenomenon school of the street may best be described as a space de passagefor boys becoming men, boys leaving the protected and protective territory of family and school in order to enter an unknown, uncanny space of autonomous rules, authorities, rituals and procedures defining one's place. It is a market of prestige devoid of the class, the national, ideological and even legal embedding of the gerontocratically organized prestige markets of the adult world (access to resources, including protection, potential spouses, access to education and jobs being controlled by the generation of fathers and grandfathers). ....Insystemic terms the school of the street is a self referential social subsystem differentiating itself against the two aspects of its environment: family and official (Soviet) society.(Koehler 2000,3)

კრიმინალური ქცევა, მიმართული კრიმინალური კარიერისაკენ. „ბირჟა“ ინდივიდის რომელიმე ჯგუფთან მიკუთვნებულობის საიდენტიფიკაციო ნიშანია. ისტორიულად ის არის კრიმინალური სივრცე, ალტერნატიული ძალაუფლების წყარო, რომელშიც ლეგიტიმაცია და ლოიალობა ოფიციალური ძალაუფლების საპირისპიროა. „ბირჟაზე“ წარმოებული ფასეულობები და ნორმები პოლიტიკური სისტემის საწინააღმდეგოა, ხოლო ლეგალური პოლიტიკური და ეკონომიკური ავტორიტეტი კი ოფიციალური სისტემის საპირისპიროა“[2] (Curro 2017b 66-67). „ბირჟა“ ქართული ჟარგონის ლექსიკონში განიმარტება როგორც უსაქმური ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი ღია ცის ქვეშ. ირონიული ანალოგიაა ამავე სახელწოდების საფონდო ბირჟასთან, სადაც საქმიანი ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს (ბრეგაძე 2013).თბილისის ქუჩის საზოგადოების სპეციფიური მახასიათებელი იყო ქუჩის სტატუსების სისტემა. ეს სისტემური წესრიგი სოციალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. ამის მიხედვით კონსტრუირდებოდა აგენტთა მიმართ დამოკიდებულებები და დგინდებოდა იერარქიული წესრიგი. *ქუჩის* სტატუსების სისტემა სამი ძირითადი საფეხურისგან შედგება. პირველ საფეხურზე „დედიკოს ბიჭი“, “მეორე საფეხურზე - „პატიოსანი“, მესამე საფეხურზე „ძველი ბიჭი“. „ძველი ბიჭი“ ეწოდებოდა ახალგაზრდას, რომელიც მიყვება კანონიერი ქურდების დაუწერელ კანონებს, მაგრამ არ აქვს გადაწყვეტილი, განაგრძობს თუ არა კრიმინალური კარიერისკენ სვლას. „ძველი ბიჭის“ სტატუსი ასევე აერთიანებს ზემდგომ ორ სტატუსს. მაგალითად, „მომავალი“ და „განაბი“. „მომავალი“ ეწოდება „ძველ ბიჭს,“ რომელსაც გადაწყვეტილი აქვს კრიმინალური კარიერის გაკეთება და ამისათვის კანონიერი ქურდების დაუწერელი კანონების („გაგება“) შესაბამისად ცხოვრობს. განაბი კი ეწოდება ახალგაზრდას რომელსაც აქვს გარკვეული კრიმინალური წონა, ის შეიძლება ქურდთანაც იყოს გათანაბრებული, ბაძავს ქურდებს მაგრამ ამ სტატუს ჯერ არ ფლობს(Koehler 2000;Захарова 2010; ბრეგაძე 2013).უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩაში მოზარდების სოციალიზაციის შესახებ მნიშვნლოვანი კვლევა განხორციელდა ქ.

[2] *Birzha* defines a group of young men who meet regularly in open spaces of urban neighborhoods. Partly considered as initial step towards a criminal career, belonging to *birzha* is a mark of identification with one's local group.*Birzha* is informal since, in recent Georgian history. It has represented as an alternative source on authority, legitimacy and loyalty, often opposed to that driving from official institutions.

ბათუმშიც. კვლევის ავტორია მარტინ დემანტ ფრედერიკსენი (Martin Demant Frederiksen). ფრედერიკსენი ნაშრომში „ახალგაზრდა კაცი, დრო და მოწყენილობა“ საქართველოს რესპუბლიკაში (Young Men,Time and Boredome in the Republic of Georgia) (2016) ვარდების რევოლუციის (2003) შემდეგ განახლებულ ბათუმის ქუჩებში ახალგაზრდა მამაკაცების ცხოვრებას აღწერს. ნაშრომში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდების უმუშევრობაზე და ამის შედეგად წარმოქმნილ თავისუფალ დროზე, რომლის შევსება დიდწილად დევიაციური ანუ კრიმინალური ქმედებით ხდება. კრიმინალური ქმედება ამ ბიჭებისთვის არის ერთადერთი საშუალება, გაუმკლავდნენ მათ წინაშე წამოჭრილ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. გარდა ამისა ამითი ისინი განიმტკიცებენ ჯგუფურ სოლიდარობასა და სქესთაშორის მიკუთვნებულობას. ამავე ავტორის მიხედვით ბათუმის ქუჩებში ახალგაზრდა ბიჭების კრიმინალურ ქმედებებში ნაკლები როლი მიუძღვის კანონიერ ქურდებს (Frederiksen 2016). ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ქ. ბათუმი ვარდების რევოლუციის (2003) ხელისუფლების სავაჭრო ნიშანი იყო და აღმშენებლობის საჩვენებელი ობიექტიც გახლდათ. ამ ქალაქში კრიმინალური სუბკულტურის გავლენა მინიმუმამდე უნდა შემცირებულიყო.

საჯარო სკოლებში კანონიერი ქურდების სუბკულტურა 1993 წლის შემდეგ არავის შეუსწავლია. 1993 წელს ერთერთი დაუდგენელი სოციოლოგიური კვლევის თანახმად ქ.ქუთაისის საჯარო სკოლებში კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ შეკითხვაზე თუ ვინ უნდოდა გამოსულიყო მომავალში, გამოკითხულ მოწაფეთა 25% კანონიერი ქურდის სტატუსს ირჩევდა(Slade 2007). ამ გამოკითხვის გარდა საჯარო სკოლებში სუბკულტურის გავლენის შესახებ კვლევა არ მოგვეპოვება. სწორედ ამ სიცარიელეს ავსებს ჩემი გამოკვლევა და კრიმინალურ თამაშებზე დაკვირვებით გვაჩვენებს თუ როგორ ხდება საჯარო სკოლებში კრიმინლური სუბკულტურის ფასეულობების გავრცელება და შემდგომი ინკორპორირება.

საბავშვო *თამაშები,* სოციოლოგთა და ანთროპოლოგთა კვლევის ობიექტი არაერთგზის გამხდარა. არსებული თეორიული ლიტერატურა თამაშს გარკვეული საზრისისა და

ფუნქციის მქონე აქტივობად განიხილავს. თამაშის ერთ-ერთი გავლენიანი თეორიული ინტერპრეტაცია ამბობს, რომ (1) მოზარდები თამაშის დროს გარკვეულ კულტურულ და სოციალურ მოცემულობას იმიტირებენ. ამიტომ თამაშების კვლევით ფართო სოციალური და კულტურული მოვლენების ინტერპრეტაციაა შესაძლებელი(Huizinga 1949[1938]; Caillois 2001[1958]).(2) თამაშები როგორც წესი მკაცრ წესებს ემორჩილებიან, რაც ნორმების შესწავლის საშუალებას გვაძლევს. მაგალითად „ბავშვის ფსიქოლოგიაში" თამაშის მეშვეობით შეისწავლება ბავშვების ცხოვრებაში მოგების, წაგების და მოტყუების ფორმები (Piaget 1965). (3)თამაშები უმეტეს შემთხვევაში ტრადიციულ თემატიკაზეა აწყობილი და კულტურული იდიომებისა და ფასეულობების სინთეზს წარმაოდგენს. ანთროპოლოგი გრეგორი ბატისონის (Gregory Bateson)(1979) მიხედვით,"თამაში ეს არის წესების კოდირებული სისტემა, რომელიც მომართულია იმისაკენ რომ საგნების,დროის და სივრცის და ასევე მოთამაშეთა მოქმედებები მოაწესრიგოს"[3](Bateson 1979:192).(4) თამაში სტატუსის განსაზღვრაშიც ეხმარება მოთამაშეებს. მაგალითად მარეკ კამინსკი(Marek Kaminski)(2004) პოლონეთის ციხეში თამაშის დაკვირვების შემდეგ ამტკიცებდა,რომ პოლონეთის ციხეში, პატიმრები პატარ-პატარა თამაშობებითა(little games) და შეფარვითი კითხვების დასმით პატიმართა სხვადასხვა კასტის მიკუთვნებულობას ადგენდნენ. ამით პატიმრები სოციალურ საზღვრებს შემოხაზავდნენ(Kaminski 2004).

ფსიქოლოგები და ანთროპოლოგები თამაშის შესახებ შედარებით ფართო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან. მაგალითად; (1) ბავშვები თამაშობენ სიამოვნებისთვის, სენსორული და სხეულებრივი სტიმულაციისთვის და ფიზიკური გაჯანსაღებისთვის (Fortes 1971[1938]:479). (2) თამაშები ბავშვებს ზრდასრულობისთვის ამზადებს. ბავშვების ცხოვრებაში მთავარი ცვლილება სწორედ ოჯახიდან გასვლის შემდეგ ხდება. 'ოჯახისაგან დამოუკიდებელი ბავშვი, სკოლისა და ეზოს სივრცეში ორგანიზებულ სათამაშო მოედნებზე გადის ამ დროს იწარმოება თანატოლთა კულტურა (peer culture) პირველადი ფორმები. ეს ფორმები შეგვიძლია გავიგოთ როგორც

[3] Game is an arrangement where a codified system of rules is framed as much as to organize the use of objects, space, time, as well as player activities (Bateson 1979:192)

ზრდასრული ადამიანების კულტურაში შეღწევის მიზნით წარმოებული ნორმები, სიმბოლოები,ლინგვისტური კოდები და სოციალური ქცევის მოდელები (Corsaro and Rizzo 1988:881). მაგალითად, ანთროპოლოგმა ელეანორ ბურკე ლეკოკმა (Eleanor Burke Leackok) (1971) კენიის ერთერთ ტომში დაკვირვების დროს აღმოაჩინა, რომ 'ბავშვები თამაშის დროს ხშირად იმიტირებდნენ მათზე უფროსი ადამიანების ცხოვრებას და ამით შემოგვთვაზა თამაშის შესახებ ახალი თეორია ,რომ თამაში ზრდასრული ადამიანების კულტურისაგან დამოუკიდებელი არ არის' (Leackok 1971: 467-468). ან, როგორც სოციოლოგი ჯეიმს სემუელ კოულმენი (James Samuel Coleman) (1967) წერს: 'როდესაც სტუდენტი შეამჩნევს თუ რამდენად არის მისი მომავალი დამოკიდებული აწმყოში განხორციელებულ ქმედებებზე, ის ამ მომავალის მოსაწყობად სხვადსხვა ხერხებს მიმართავს, მათ შორის არის თამაშიც'(Colemen 1967:69-70). თამაშის მეშვეობით ზრდასრულობისათვის მომზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება იყო ბრუნო ბეთელჰაიმის (Bruno Bettelheim) ანთროპოლოგიაში. „რას ვსწავლობთ ბავშვების თამაშების დაკვირვების დროს - ბავშვი როდესაც დედის ან მამის როლს მოირგებს, ეს ამას იმიტომ აკეთებს, რომ მას სურს მამის ან დედის ადგილზე იყოს, მას სურს იყოს მათთნაირი.... ის იმიტაციის დროს სულაც არ ფიქრობს ოჯახში სამომავლო როლის შესრულებაზე, არამედ მას აინტერესებს და სურს მიიღოს ის საჭიროებრივი, ძალაუფლებრივი და სექსუალური პრივილეგიები რომელიც მის მშობლებს აქვთ"[4] (Bettelheim 1962: 110-111). ქართული ფსიქოლოგიის ფუძემდებლის დიმიტრი უზნაძის „ბავშვის ფსიქოლოგიაში". უზნაძის მიხედვით 'მოთამაშეები თამაშის დროს ემზადებიან რათა გახდნენ სერიოზული ზრდასრული ადამიანები, ისინი თამაშის დროს სწორედ იმ ფუნქციებს ამუშავებენ, რომლებიც მათ მოსალოდნელი პრობელმების დაძლევაში გამოადგებათ'(უზნაძე 1947: 147). (3) თამაში ეს არის თვითმყოფადი მოცემულობა რომელიც ახალ კულტურულ რეალობას ქმნის. მას აქვს საზრისი და

[4] What we learn by observing the child is that he plays –acts the role of father or mother because he wishes to be in their place, or at least to be like them – and at once. He is not thinking of his future role in the family, nor does he wish to emphasize his "indissoluble relation" to his parents. He imitates his parent because he is envious of or strongly attracted by the importance, the power, and sexual privilege of the parent(Bettelheim 1962;110-111)

გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის 'განვითრებაში, კულტურიზაციაში და სოციალიზაციაში'(Schwartzman 1976: 291; იხ. Opies 1969, Sutton-Smith 1997). მაგალითად სოციოლოგ ენტონი გიდენსის(Anthony Giddens) მიხედვით ჩვევად ქცეული სათამაშო რუტინები და როლური თამაშები ბავშვებს კულტურულ ჯგუფს მიკუთვნებულობას უყალიბებს, ეს განსაზღვრავს მათ უსაფრთხოებას და კულტურულ თვითმყოფადობას(Giddens 1964).(4) თამაშები სოციოკულტურული ცოდნის წარმოებას, ინტერპრეტირებასა და გავრცელებას უწყობს ხელს(Goffman 1974; Corsaro and Rizzo 1988: 880). მაგალითად როლურ თამაშებში ხშირ შემთხვევაში ზრდასრული ადამიანების კულტურაში დამკვიდრებული რუტინები და ჩვეულებები გამოიყენება(სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, მზრუნველობა და ბავშვის დისციპლინური აღზრდა)(Garvey [1977]1990; Corsaro 1985). თამაშების ინტერპრეტაციაში გარკვეული სიფრთხილის შენარჩუნებაც არის საჭირო. ისინი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც სოციო კულტურული რეალობის პირდაპირი ანარეკლი. ზოგჯერ ბავშვები თამაშის დროს აჭარბებენ მათთვის განსაკუთრებით მტკივნეულ საკითხებში. მაგალითად დისციპლინა და ძალაუფლების განაწილება მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის შესაძლოა ირონიზებულ და სარკასტულ ფორმაში იყოს გადმოცემული. მაგალითად ბავშვები როლური თამაშების მეშვეობით ხშირად მათთვის საძულველ მასწავლებლებს დასცინიან. ესეთ მასწავლებლებს მათ ცხოვრებაში დისციპლინა შემოაქვთ (see Corsaro 1979a, 1985).

აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომში თამაშების მაგალითზე, მოზარდების სოციალიზაცია შევისწავლე და სოციო-კულტურული დასკვნებიც გავაკეთე. თამაშებს სოციო-კულტურულ ანალიზს ვერ დავუქვემდებარებდი, თუ თამაშების მიღმა არსებულ სოციალურ ინსტიტუტებს გარკვეული პარადიგმებით შევხედავდი. მაგალითად, თუ „კანონიერი ქურდების" ინსტიტუტს განვიხილავდი როგორც კრიმინალურ ორგანიზციას(კრიმინოლოგიური პერსპექტივა). ესეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა ვიწრო კრიმინოლოგიური დასკვნები და სოციო-კულტურული ანალიზის გაკეთება გაგვიჭირდებოდა.საყურადღებოა ის გარემოება ,რომ ამ კრიმინალურმა ინსტიტუტმა ქართულ კულტურაში კაცურობისა და ვაჟკაცურობის რომანტიზაციას შეუწყო ხელი და

„კაცურობის“ საკულტო წარმადობა განაპირობა. სწორედ ამიტომ ეს კრიმინალური ინსტიტუტი უნდა გაანალიზდეს, სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური პერსპექტივიდან, როგორც გავლენიანი კრიმინალური სუბკულტურა რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წამყვანი კულტურის(mainstream culture) კოლექტიური ცხოვრების ფორმების განსაზღვრაში და ქართული კულტურული მეხსიერების ფორმირებაში.

წამყვანი კულტურის კოლექტიური ცხოვრების ფორმებზე სუბკულტურების გავლენის შესწავლა და პირიქით წამყვანი კულტურის სუბკულტურაზე გავლენის კვლევა ჯერ კიდევ 1920-1930 იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ქ. ჩიკაგოში, ჩიკაგოს უნივერსიტეტში(University of Chicago) დაიწყო.1920-30 იანი წლები ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში „დიდი დეპრესიის“ Great Depresion (1929-1939) პერიოდია. ამ დროს განვითრებულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა ახალგაზრდული სუბკულტურების წარმოქმნას შეუწყო ხელი(ი.ხ Anderson 1923, Sutherland 1937, Shaw and Mckay 1942). მოგვიანებით, 1950–1960-იანი წლებიდან, ჩიკაგოს უნივერსიტეტში თავი მოიყარა მეცნიერთა კოლექტივმა, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სუბკულტურის კვლევების თეორიულ და მეთოდოლოგიურ განვითარებაში (იხ. Cohen 1955, Cloward and Ohlin 1960, Becker 1963).

ამ სოციოლოგიის სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მილტონ გორდონის მიხედვით (Milton M.Gordon) სუბკულტურა „ეს არის კონცეპტი, რომელიც გულისხმობს ნაციონალური კულტურის სუბდივიზიას, რომელიც შედგება ისეთი ფაქტობრივი სოციალური გარემოებებისაგან, როგორიც არის კლასობრივი სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა, რეგიონალური, რულარული და ურბანული მოქალაქეობა და რელიგიური მიკუთვნებულობა. აქვე უნდა ითქვას, რომ სუბკულტურა ფორმირდება ამ გარემოებებთან კომბინაციაში, როგორც ფუნქციური ერთობა და გარკვეულ გავლენას ახდენს მასში ინტეგრირებული ინდივიდების ცხოვრებაზე[5]“ (Gordon 1947, 40-41).

[5] The sub-culture – a concept used here to refer to a sub division of national culture, composed of a combination of factorable social situations such as class status,ethnic background,regional, rural, or urban residence and religious affiliation,but forming in their combination a functioning unity which has an integrated impact on the participating individual.(Gordon 1947,40-41)

კლასიკურ სოციოლოგიაში სუბკულტურებს დევიაციურ კულტურებსაც უწოდებენ. დევიაცია ანუ გადახრა წამყვანი კულტურული ნორმების დარღვევას ნიშნავს და ეს ქმედება თავისი არსით კრიმინალურია. სოციოლოგიაში კრიმინალური ქმედება ეწოდება მოვლენას, როდესაც საზოგადოებაში გაბატონებული ნორმების ანუ „კოლექტიური ცნობიერების“ მიერ აღიარებული ძლიერი და დეფინირებული წესების დარღვევა ხდება. ეს წესები შესაძლოა არსებობდეს დაწერილი სახით და წარმოდგენილი იყოს სახელმწიფო და რელიგიური სამართლის წიგნებში, ან არსებობდეს დაუწერელი სახით და მას ნორმატიულობის სახე ჰქონდეს (დიურკემი,1893;2012). აღნიშნული წესების დარღვევა საზოგადოების სოლიდარობას აყენებს ზიანს, ხოლო ამ წესების პერმანენტული დარღვევა კი იწვევს სოციალური შრომის დეგრადაციას და წარმოიშობა სოციალური ანომია. ემილ დიურკემის (1893;2012) სოციალური ანომიის კონცეპტი „ჩიკაგოს“ სკოლის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა რობერტ მერტონმა (Robert Merton) თეორიად გარდაქმნა და მას მიზნების თეორია (Strain Theory) (1938) უწოდა. მერტონის მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფომ საშუალო კლასს განუსაზღვრა მიზანი, ე.წ. „ამერიკული ოცნება“ (American Dream). „ამერიკული ოცნება“ თანაბარ შესაძლებლობას აძლევდა ამერიკის შეერთბულ შტატებში მყოფ საშაულო კლასსა და ევროპის ქვეყნებიდან ემიგრირებულ ემიგრანტებს ინდივიდუალური მატერიალური და სოციალური კეთილდღეობა ლეგალური გზით, ანუ წამყვან კულტურაში არსებული წესებისა და ნორმების დაცვით, მიეღოთ. „ამერიკული ოცნების“ შესახებ ხელისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მასმედიის მეშვეობით მოსახლეობას ამცნობდა, რომ მატერიალური კეთილდღეობისა და სოციალური წარმატების მიღწევა თავდაუზოგავი შრომის შედეგად შესაძლებელი იყო. სინამდვილე კი სხვაგვარი იყო. ამერიკის სახელმწიფოში მე 20 საუკუნის დასაწყისში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ემიგრირებული მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილების დეფიციტი შეიქმნა. ამან წარმოშვა „ამერიკული ოცნებით“ გაჟღენთილ მიგრანტთა უკმაყოფილება და გარკვეული თვალსაზრისით იმედ გაცრუებასაც კი შეუწყო ხელი. ერთ-ერთი გზა ამ პრობლემების მოსაგვარებლად წამყვან კულტურაში არსებული შესაძლებლობების მიმართ პროტესტი

იყო. ეს პროტესტი საზოგადოებაში არსებული ლეგალური პროცედურების პარალელურად გაჩენილი არალეგალური ცხოვრების შესაძლებლობას იძლეოდა, რომელსაც რიგ შემთხვევებში უფრო ეფექტიანად შეეძლო მოქალაქის წინაშე წამოჭრილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება. მაგალითად, ამერიკაში „დიდი დეპრესიის“ პერიოდში (1929-1939) ფეხი მოიკიდა სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულმა კრიმინალურმა სუბკულტურებმა. ამერიკის ქ. ბოსტონში იტალიიდან ემიგრირებული მოსახლეობისაგან დასახლებულ კვარტალში წარმოიშვა კრიმინალური სუბკულტურა ე.წ. „ქუჩის ბიჭების საზოგადოება“. ეს საზოგადოება „ჩიკაგოს“ სკოლის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ვილიამ ფუტი ვაიტმა (William Foote Whyte) შეისწავლა. ნაშრომი „ქუჩის საზოგადოება“ (Street Corner Society) (1993) ჩიკაგოს უნივერსიტეტში 1943 წელს გამოიცა და ავტორის სადოქტორო კვლევითი პროექტი გახლდათ. ეს ნაშრომი ორი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. პირველი - ის არის მეთოდოლოგიური კლასიკა. ვაიტმა ლოკალური სუბკულტურის შესწავლა ჩართული დაკვირვების მეთოდის გამოყენებით შეძლო. ეს მეთოდი მოგვიანებით საფუძვლად დაედო ჩიკაგოს უნივერსიტეტში განვითარებულ სუბკულტურის კვლევებს. მეორე - ნაშრომი სიღრმისეულად აღწერს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სოციალური ანომიის ცალკეულ გამოვლინებას და მოგვითხრობს ქ. ბოსტონის გარეუბანში მცხოვრები იტალიიდან ემიგრირებული ახალგაზრდების მიერ ფორმირებული ქუჩის ბიჭების კრიმინალური სუბკულტურის შესახებ. აქ სიღრმისეულად არის შესწავლილი სუბკულტურის სოციალური სტრუქტურა, ქცევის მოდელები, ლინგვისტური კოდი, რიტუალური ქცევის მოდელები და კრიმინალური ქმედების ცალკეული გამოვლინებები (Whyte 1993).

ახალგაზრდების კრიმინალური სუბკულტურების კვლევაში ასევე საინტერესოა „ჩიკაგოს“ სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ალბერტ კოენის (Albert Cohen) ნაშრომი „დამნაშავე ბიჭი“ (Delinquent Boy) (1955). კოენმა ამ ნაშრომში განავითარა *სტატუსის ფრუსტრაციის თეორია.* ამ თეორიის მიხედვით, დაბალი სტატუსის მქონე ბიჭები აყალიბებენ ნორმების, ქცევის მოდელებისა და ფასეულობების

ალტერნატიულ სისტემას ანუ სუბკულტურას, რათა კოლექტიურად გაუმკლავდნენ არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს.

იმ ინდივიდებს, რომლებიც ასეთი სახის პრობლემებს (სტატუსის პრობლემა) გაიზიარებენ, ამ პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ გზად ერთმანეთის მიმართ გრავიტაცია და ახალი ნორმებისა და სტატუსების სისტემის ჩამოყალიბება მიაჩნიათ, ეს მათთვის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების კომპენსაციაც არის და ამ პრობლემების დაძლევის საშუალებაც[6] (Cohen 1955, 65-66).

სუბკულტურების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ კოენის სტატუსის ფრუსტრაციის თეორია და მერტონის მიზნების თეორია სინთეზურად განავრცო რიჩარდ კლოვარდმა (Richard Cloward) და ლოიდ ონილმა (Loyed Ohnil)(1960). მათი თეორია სუბკულტურას განიხილავს როგორც კულტურაში არსებულ შეზღუდულ შესაძლებლობებზე პასუხს და ჩამოყალიბების სამ წინაპირობას გამოყოფს. (1) *კრიმინალური სუბკულტურები* ყალიბდებიან უკვე არსებულ კრიმინალურ გამოცდილებაზე, სადაც მატერიალური და სოციალური წარმატების მოპოვების ერთ-ერთი გზა არალეგალურ ანუ კრიმინალურ ქმედებაზე გადის. ამ გზის წარმატებით გავლა კი გამოცდილ კრიმინალებთან დაახლოებითა და მათი წესების აღიარებით არის შესაძლებელი. (2) *კონფლიქტური სუბკულტურები* არსებობენ იქ, სადაც ბანდფორმირებებს შორის რეპუტაციისა და სიმტკიცის მოსაპოვებლად ძალადობრივი ბრძოლა მიმდინარეობს. თანატოლ ახალგაზრდებში ძალადობა და მუქარა პრესტიჟისა და სტატუსის მოპოვების ერთ-ერთი საშუალებაა. (3) *უკანდამხევი სუბკულტურები* - მათში გაერთიანდებიან ის ადამიანები, რომელთაც ვერ შეძლეს წამყვან კულტურაში და კრიმინალურ სუბკულტურაში ადგილის დამკვიდრება და ორმაგ წარუმატებლობას განიცდიან. ამის გამო ისინი მიეცემიან ინდივიდუალურ და ჯგუფურ ჰედონიზმს - თრობისა და გართობის სხვადასხვა საშუალებებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გარიყვას ძირძველი კონვენციური ცხოვრებიდან (Cloward and Ohnil 1960, 23-25).

---

[6] One solution(to status problem) is for individuals who share such problems to gravitate towards one another and jointly to establish new norms, new criteria of status which define as meritorious the characteristics they do posses, the kind of conduct which they are capable(Cohen 1955,65-66)

1960-1970-იანი წლებიდან სუბკულტურების შესწავლის სიმძიმის ცენტრმა ქ. ჩიკაგოდან დიდ-ბრიტანეთში, კერძოდ კი ბირმინგემის უნივერსიტეტში (Birmingham University) გადაინაცვლა. ამ პერიოდში დიდ ბრიტანეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში, გაძლიერდა საშუალო ფენიდან წამოსული სუბკულტურები. ასეთი სუბკულტურები კონკრეტული მუსიკალური ჟანრის ან მოდის ნაირსახეობის გარშემო ერთიანდებოდნენ. მაგალითად, 1960-1970-იანი წლების დიდ ბრიტანეთში ასეთები იყვნენ მოდისტები და როკერები (Mod's and Rockers). ზოგადად, დიდი ბრიტანეთი განსაკუთრებული ადგილი იყო სუბკულტურების განვითარების თვალსაზრისით და შემთხვევითი სულაც არ იყო ის გარემოება, რომ ბირმინგემის უნივერსიტეტში (Birmingham University), შედარებითი კულტურის სწავლებების ცენტრში (Center of Contemporary Cultural Studies)(CCCS), სუბკულტურების შესწავლა დაიწყო. „ბირმინგემის" სკოლა, „ჩიკაგოს" სკოლისაგან განსხვავებით, სუბკულტურებს იკვლევდა, როგორც საშუალო მუშათა კლასში მცხოვრები ახალგაზრდების კოჰეზიურ და კოლექტიურ კულტურულ ამბოხს დომინანტი კულტურის წინააღმდეგ. ეს სკოლა ეფუძნებოდა სოციალური კლასების შესახებ მარქსისა(Marx) და გრამშის(Gramsci) მემარცხენე იდეებს. ეს იდეები ეხებოდა სოციალური უთანასწორობის პირობებში მუშათა კლასის უუფლებო მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს უუფლებობა პირველ რიგში ჩანდა დომინანტ კულტურაში საშუალო ფენისათვის დაწესებულ დაბრკოლებებში, რომელიც მუშათა კლასს არ აძლევდა კეთილდღეობისა და წარმატების მიღწევის საშუალებას. „ბირმინგემის" სკოლა „ჩიკაგოს" სკოლისაგან განსხვავებით ინდივიდებზე ნაკლებ აქცენტს აკეთებდა და მათ შესწავლაში ეთნოგრაფიულ მეთოდსაც იშვიათად მიმართავდა. მაგალითად, „ბირმინგემის" სკოლა პრობლემის ჰოლისტურად შესწავლაზე კონცენტრირდებოდა და აკვირდებოდა ისეთი ცვლადების ურთიერთქმედებას, როგორიც იყო პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ეკონომიკური მდგომარეობა, სამუშაო ადგილები, საყოფაცხოვრებო პირობები, მასმედია და სხვა (Cohen1972, Jefferson and Roberts 1975,Willis 1977). მაგალითად, ფილ კოენი (Phil Cohen) მიიჩნევდა, რომ დიდ ბრიტანეთში 1960-1970-იან წლებში მუშათა კლასიდან წამოსული ახალგაზრდების სუბკულტურები წარმოიშვა სამუშაო პირობებისა და განსახლების ადგილების

ცვლილების შედეგად. ამ პერიოდში დიდ ბრიტანეთში ბევრი ტრადიციული სამუშაო გაქრა. ამან უმუშევართა რიცხვი გაზარდა, სოლიდარული ერთობა შეასუსტა და ხელი შეუწყო საშუალო კლასის მიგრაციას. შედეგად წარმოიშვა ახალგაზრდული სუბკულტურები, როგორც კოლექტიური პასუხი და პრობლემის მოგვარების კოლექტიური მცდელობა (Cohen 1971).

საბჭოთა კავშირი ჩიკაგოსა და ბირმინგემის სკოლების კვლევის ობიექტივში არ მოექცა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა უმთავრესი კი საბჭოთა სისტემის მართვის სტილი და სისტემის ჩაკეტილობა იყო. მიუხედავად დახურული სისტემისა საბჭოთა კავშირში ახალგაზრდული სუბკულტურები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც არსებობდნენ. ამის შესახებ ძირითადად 1990 იან წლებში და მოგვიანებით დაიწერა(Pilkington 1994; Karpova 2009).

კანონიერი ქურდების სუბკულტურა ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში მოძლიერდა.საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ(1991)სუსტი ინსტიტუციური კონტროლისა და სახელმწიფოს უუნარობის პირობებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენა სკოლებში გავრცელდა (Slade 2007). გავლენა ასევე თვალში საცემი იყო ქუჩაში ქუჩის აკადემიაში(Koehler 2000; Захарова 2010; Curro 2017) და ციხეში (Piachentini and Slade 2015; Slade 2015). ციხე კანონიერი ქურდების ტრადიციული საცხოვრებელია და ამ დაწესებულებაზე მათი გავლენა ჯერ კიდევ 1930 იანი წლებიდან იყო (Varese 1998; Oleinik 2003).

ამ სივრცეებზე სახელწიფოს კონტროლის დასაწესებლად ვარდების რევოლუციის(2003) შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ეფექტიანი ნაბიჯები გადადგა. პირველად 2005 წლიდან შემუშავდა „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელწიფო სტრატეგია“ და დაიწყო დანაშაულთა ბრძოლის „ნულოვანი ტოლერანტობის“ კამპანია. 2007 წლიდან ციხის და სკოლის რეფორმაც დაიწყო. ამ სტრატეგიის ფარგლებში 2006 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი 223[1] – ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა.

სახელმწიფო შეურიგებელი იყო დანაშაულის გამოვლენისა და დასჯის საქმეშიც.მის მიერ განხორციელებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის „ნულოვანი

ტოლერანტობის“ კამპანია კრიმინალური სამართალწარმოების თვალსაზრისით ანომალიურიც კი იყო. მაგალითად ამ კამპანიის შედეგად საქართველოში პატიმართა რაოდენობა 300% გაიზარდა (Kupatadze 2012, Slade 2012, 2013).

საჯარო სკოლის რეფორმის შედეგად სკოლები მკაცრ პოლიციურ კონტროლს დაექვემდებარა. 2010 წელს საქართველოს სკოლებში მანდატურები გამოჩდნენ. სახელწიფოს ინტერვენცია სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში გაიზარდა და ამან მოზარდების სოციალიზაციაზეც მოახდინა გავლენა. სკოლა შედარებით უსაფრთხო ინსტიტუციად ჩამოყალიბდა. ეს ყოველივე ნოდარ თანგიაშვილის და გავინ სლეიდის (Tangiashvili and Slade 2014) კვლევაში არის ასახული. მკაცრი რეფორმები გატარდა ციხეშიც. ციხეში კანონიერი ქურდების პრივილეგიები შეიზღუდა, ისინი ჩვეულებრივი პატიმრებისგან გამიჯნეს და მათთვის სპეცილურად აშენებულ N7 დაწესებულებაში მოათავსეს. კანონიერი ქურდები სახელწიფოს მიერ გაწვრთნილმა ახალგაზრდა ბადრაგმა ჩაანაცვლა. ამის შედეგად ციხე სახელწიფოს კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა (Piachentini and Slade 2015; Slade 2015).

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელწიფო კამპანიის აქტიურ ფაზაში (2006-2007) ჩატარებული კვლევების თანახმად კანონიერი ქურდები კრიმინალური ორგანიზაცია დამარცხდა (Slade 2012; Kupatadze 2012; Slade 2013). კანონიერმა ქურდებმა მოსახლეობის ნდობა დაკარგეს, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტების (პოლიცია, ჯარი) მიმართ ნდობა გაიზარდა (Slade 2012; 2013). მიუხედავად სახელწიფოს წარმატებისა კანონიერი ქურდების სუბკულტურა საბავშვო კრიმინალური თამაშების მეშვეობით კვლავ ნარჩუნდება (Kekoshvili and Slade 2019). ჩემი საკვლევი შეკითხვა სწორედ ამ ანომალიურობას ეხება და შემდეგი სახით ფორმულირდება:

საკვლევი კითხვა: *როგორ და რატომ ნარჩუნდება კანონიერი ქურდების სუბკულტურა საქართველოში ?*

მეთოდოლოგია

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული მონაცემები 2013-2015 წლებში ქ. თბილისში და ქ. ქობულეთში შევაგროვე. საველე სამუშაო 2013 წლის ზამთარში ქ. თბილისში დავიწყე. ქ. თბილისში ხუთი სხვადასხვა სკოლის მოწაფეები გამოვკითხე. ამ ხუთი სკოლიდან ერთი სკოლა იყო კერძო და დარჩენილი ოთხი საჯარო. სკოლების შერჩევა მიზანმიმართულად მოხდა, ცენტრალური და პერიფერიული უბნების გარემოების გათვალისიწნებით. მაგალითად, შერჩეული ორი სკოლა ეკუთვნოდა ვაკის უბანს, ერთი საბურთალოს, ერთი ნახალოვკას და ერთი დიდუბეს. ამ ადმინისტრაციულ ერთეულებს დღეს რაიონის სახელები ქვიათ და იწოდებიან, როგორც ვაკე-საბურთალო რაიონი ,დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი ,გლდანი-ნაძალადევის რაიონი. ამ ერთეულებს ურბანულ სივრცეში გავრცელებული სახელწოდებებით მოვიხსენიებ. მიმაჩნია, რომ ეს სახელწოდებები უფრო კონკრეტული და გასაგებია. მოსწავლეების კვლევა გაკვეთილების დასრულების შემდეგ განხორციელდა. მათი გამოკითხვა მასწავლებლებისა და მშობლებისგან მიღებული სიტყვიერი ნებართვის საფუძველზე მოხდა. მოზარდების კვლევაში გამოვიყენე ფოკუს ჯგუფის და დიალოგის ანალიზის მეთოდები(Conversation Analyzes) მეთოდები. მოწაფეთა ასაკი 13-14 წელი იყო, თითო ჯგუფი ოთხი კაცისაგან შედგებოდა. ფოკუს ჯგუფებში დასმული კითხვები ძირითადად კრიმინალურ თამაშებს ეხებოდა. ასევე ვიკითხე მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ მოვლენების შესახებ და ურთიერთობებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ჯამში, ფოკუს ჯგუფის მეთოდით 19 ბიჭი და 6 გოგო გამოიკითხა.

სავალე სამუშაოს მეორე ნაწილი 2013 და 2014 წლის ზაფხულში ქ. ქობულეთში ჩატარდა. ამ საზაფხულო სკოლაში მიწვეული ვიყავი, როგორც სახელოვნებო სკოლის პედაგოგი. საზაფხულო სკოლამ ორი ზაფხულის განმავლობაში 52 მოწაფეს უმანსპინძლა. ამ მოწაფეთა სრული უმრავლესობა ქ. თბილისის სხვადასხვა უბნებიდან იყო. საზაფხულო სკოლის დღის განრიგი რუტინული ცხოვრებისაგან შედგებოდა: დილის ვარჯიში,

საუზმე,ცურვა და სახელოვნებო გაკვეთილები. მოზარდები ოთახებში ჯგუფურად ცხოვრობდნენ, ერთ ოთახში ოთხი და ხუთი მოსწავლე იყო შესახლებული. რიგ შემთხვევებში მოწაფეები საზაფხულო სკოლის დაწყებამდე იცნობდნენ ერთმანეთს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს. საზაფხულო სკოლის მოწაფეები ძირითადად ქ. თბილისის საჯარო სკოლებიდან იყვნენ, რამოდენიმე მოწაფე ელიტური კერძო სკოლიდანაც გახლდათ. საზაფხულო სკოლა 10 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და გადასახადი 250 ლარი იყო. სკოლა შეღავათს უწევდა სოციალურად დაუცველ ოჯახებს და მათ სწავლის გადასახადს არ ახდევინებდა. საზაფხულო სკოლის 52 მოწფეთაგან, 40 მოწაფე საშუალო მშრომელთა კლასიდან და საშუალოზე დაბალი სოციალური ფენიდან იყო. ამ მოწაფეთა დიდი ნაწილი დიდუბე-ჩუღურეთის და გლდანი-ნაძალადევის რაიონებში ცხოვრობდა. ხოლო 10 მოწაფე საშუალოზე მაღალი მშრომელთა კლასიდან იყო და მათი განსახლების არე ვაკე-საბურთალოს რაიონი იყო. ასევე იყო გამონაკლისებიც, ერთი მამრობითი სქესის მოწაფე ქ. თბილისთან ახლოს მდებარე სოფ. ოქროყანაში ცხოვრობდა. ერთი მოწაფე მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აზერბაიჯანული თემიდან იყო და ქ. თბილისში ქირით ცხოვრობდა. საზაფხულო სკოლის მოწაფეთა ასაკი 11 დან 15 წლამდე მერყეობდა.

კვლევის დროს ფოკუს ჯგუფის გარდა დაკვირვებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდები გამოვიყენე. მოწაფეების ქცევას, საცხოვრებელ სივრცეში და საცხოვრებელი სივრცის მიღმა დავაკვირდი. მაგალითად მოზრდები კრიმინალურ თამაშებს სასტუმროს ოთახებსა და კალიდორებში თამაშობდნენ და ასევე თამაშობდნენ სასტუმროდან ზღვამდე და უკან გასავლელი მანძილის დროს. ისინი ამ თამაშებს თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებელში და სამარშუტო ტაქსშიც თამაშობდნენ. უნდა აღინიშნოს ,რომ ამ თამაშების გათამაშება მოზარდების ინიციატივით არ ხდებოდა. ისინი უბრალოდ ჩემს შემოთავაზებებს იღებდნენ გვეთამაშა სხვადასხვა ტიპის თამაშები, მათ შორის კრიმინალური თამაშებიც. რიგ შემთხვევებში, ბავშვებთან შეთანხმების საფუძველზე თამაშების ჩაწერა ხმის ჩამწერ მოწყობილობაზე მოხდა. ასევე გამოვიყე უბის წიგნაკიც. უბის წიგნაკში ავსახე ის მონაცემები, რომელთა აღწერა ხმისჩამწერი მოწყობილობის მეშვეობით არ მოხერხდა.მაგალითად, ემოციები, ჟესტების ენა,მიმიკები. უბის წიგნაკის

ჩანაწერების წარმოება დღიურად ხორციელდებოდა. კრიმინალური თამაშების კვლევა შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური ეთნომეთოდოლოგიის კვლევითი ინსტრუმენტებით მოხდა, რაც დიალოგების სიღრმისეულ ანალიზს გულისხმობს (Goffman 1961,Garfinkel 1991, Goodwin 2006)(Conversation Analyzes). კლასიკური ეთნომეთოდოლოგიით კვლევისას 'თამაშის დროს წარმოთქმული წინადადებები კონტექსტიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ. მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს სიტყვების ინტენსივობა, წარმოთქმის ხმოვანება, მახვილი, სინტაქსი, დიალოგის მონაწილეთა ხასიათი, გრძნობები და აქედან გამომდინარე გამოიტანოს დასკვნები' (Goodwin 2006,6).

ბავშვების კვლევის დროს, ეთნოგრაფის უცხოობა და განსხვავებულობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლებაა (Lange and Mierendroff 2009:91) ეს დაბრკოლება გაცილებით დიდ პრობლემად გადაიქცევა, მას შემდეგ, რაც საქმე თამაშების კვლევას ეხება. 'საბავშვო თამაშების კვლევაში მოზრდილთა მიმღებლობას ხელს რამოდენიმე ფაქტორი უშლის, მოზრდილები სხეულებრივი ზომით ბავშვებს გაცილებით აღემატებიან, ისინი უფრო ძლიერნი არიან, და ხშირ შემთხვევაში აღიქმებიან, როგორც ბავშვების თვისუფლების შემზღუდვისა და კონტროლის საშუალებები'(Corsaro 2011:54). ბავშვების კვლევაში გადამწყვეტ როლს ინფორმაცია თამაშობს(Corsaro and Streeck 1986: 20). ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ საინფორმაციო ქაღალდების მეშვეობით გავავრცელე. მოწაფეებს კვლევის მიზნების შესახებ ვერბალურადაც ეცნობათ. რესპოდენტებს ასევე განემარტათ ის, რომ მათი კონფიდენციალობა დაცული იქნებოდა. დიალოგებში წარმოდგენილი სახელები არ არის რესპოდენტების ნამდვილი სახელები. ამ დისერტაციაში კვლევის კონკრეტული ლოკაციებიც არ არის გამჟღავნებული. ლოკაციის გაუმჟღავნებლობა და რესპოდენტების სახელების დაფარვა მათი იდენტიფიკაციის საშუალებას არ იძლევა.

მოზარდების კვლევაში ნდობის ფაქტორი გადამწყვეტია. ნდობის ფაქტორი განსაკუთრებით მყიფეა მაშინ, როდესაც საქმე დევიაციური სუბკულტურების კვლევას ეხება. მოზარდები ფართო პოლიტიკურ საკითხებს კარგად იცნობდნენ და ამა თუ იმ საკითხზე პოზიციის გამოხატვას არ ერიდებოდნენ. მაგალითად, საზაფხულო სკოლის დროს მოზარდების ნდობის მოპოვება რთული არ იყო. მათთან პედაგოგიური მუშაობის

გამოცდილება მაკავშირებდა. ნდობის პრობლემა საჯარო სკოლებში გაჩნდა. საჯარო სკოლებში ვიზიტის დროს მოზარდებისთვის სრულიად უცხო ადამიანი ვიყავი. ამის გამო, ისინი ეჭვის თვალით მიყურებდნენ. მოწაფეები ხშირად სვამდნენ კითხვებს, თუ ვის აინტერესებდა კანონიერი ქურდების კვლევა, ვინ იყო ამითი დაინტერესებული, ვიყავი მე თუ არა პოლიციალი და რა გარანტია არსებობდა იმისა, რომ მათ ამ გამოკითხვის შემდეგ არ დააპატიმრებდნენ. ერთ-ერთი დიალოგის დროს სოფიმ (13) იკითხა:

> *„ვის აინტერესებს კანონიერი ქურდები, თქვენ ვინ ხართ და რატომ იკვლევთ ამ საკითხს?* ამაზე ბაჩი (13) პასუხობს: *ვის არ აინტერესებს,კანონიერი ქურდების თემა საქართველოში ეგ თემა ყველას აინტერესებს. ეხლა შეიძლება პატრული მოვიდეს და ჩვენ ყველა დაგვიჭიროს. ან ვინმე ამ ლაპარაკს ჩუმად ჩაიწერს და მომავალში ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენებს“ (02.03.2013 13-30:14-00).*

ჩემს კვლევაში ნდობის საკითხი გადამწყვეტი იყო. ქ. თბილისის სკოლებში ნდობის მოსაპოვებლად ვრცელი დამაჯერებელი საუბარი იყო საჭირო. მაგალითად, ვაკის ერთერთ სკოლაში მისვლის დროს, ჩემი წარსული გამოცდილება დამეხმარა. მოწაფეებს ვუთხარი, რომ მეც მათი სკოლა მქონდა დამთავრებული და მათთვის ნაცნობი პედაგოგების სახელები ჩამოვუთვალე. ამის შემდეგ, მათი მიმღებლობა გაიზარდა. ამ ხერხმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაამართლა. როგორც აღინიშნა ქ. ქობულეთში ნდობის პრობლემა ნაკლებად იდგა, თუმცა იქ, სხვა ტიპის პრობლემა წარმოიშვა. საზაფხულო სკოლაში მოსწავლეებთან გარკვეული პედაგოგიური დისტანცია მაშორებდა. თუმცა მათ ასაკობრივ ჯგუფთან ჩემი ასაკის სიახლოვე, და მათ მიმართ, ჩემი კეთილ განწყობა, ღრმა სოციალიზაციის პროცესებში მონწილეობის საშუალებას იძლეოდა. ჩვენ ერთად ვთამაშობდით ფეხბურთს, ფრენბურთს, ერთად ვცურავდით და ეს ჩვენს შორის დისტანციას საგრძნობლად ამცირებდა.

ჩემს მიერ შეგროვებულ მონაცემებს მნიშვნელოვანი ლიმიტები აქვს.პირველი, მკვლევარის მიერ ველში გატარებული დრო არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ საფუძვლიანი ეთნოგრაფიული სურათი შექმნილიყო.მეორე, კვლევაში მონაწილე

მოწაფეები მხოლოდ ქალაქ თბილისიდან იყვნენ და მათი რაოდენობა, არც თუ ისე ბევრი არ იყო. მოწაფეების ასაკი 11 დან 15 წლამდე მერყეობდა. აქედან გამომდიანრე მონაცემების განზოგადება სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე არ იქნება მართებული. ეს მონაცემები სპეციფიურია და მხოლოდ ერთ გეოგრაფიულ არეს ფარავს. მიუხედავად ამ ლიმიტებისა, მონაცემები მაინც იძლევა კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისა და ურბანული სივრცის შესახებ გაკრვეული დასკვნების საფუძველს. უდავოა, რომ საქართველოში მოზარდების სოციალიზაცია რურალურ და ურბანულ სივრცეებში განსხვავებულად მიმდინარეობს, და ასევე ისიც ცხადია, რომ სხვადასხვა ურბანულ ქალაქებს შორის განსხვავება დიდია. მაგალითად განსხვავებები აუცილებლად იქნება ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისს შორის ან ქ. თბილისსა და ქ. ბათუმს შორის. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, მოზარდების დამოკიდებულებების, ქცევის მოდელების, მეტყველების მანერისა და თამაშის ფორმების გამოკვლევით, სახელწიფოს მიერ მკაცრად დასჯილი კანონიერი ქურდების სუბკულტურის შესახებ გაკრვეული სოციო-კულტურული დასკვნების გაკეთება შესაძლებელია.

ამ სადისერტაციო კვლევითი პროექტის ფარგლებში, 2013-2015 წლებში კანონიერი ქურდების სუბკულტურის შესახებ დამატებითი ცნობებიც შევაგროვე. 2013 წელს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლი“ სამმართველოდან კანონიერი ქურდების ინდივიდუალური ფაილები მოვიპოვე. ეს მონაცემები მოიცავდა საქართველოში მცხოვრები 300-ზე მეტი კანონიერი ქურდის პირად საქმეს. მასში თავმოყრილი იყო განსახლების, ნასამართლეობის, კრიმინალური გამოცდილებისა და კანონიერი ქურდის რანგში აყვანის (მონათვლის) შესახებ ინფორმაცია. სადისერტაციო კვლევითი პროექტის ფარგლებში გავაანალიზე კრიმინალური პერიოდიკა, სატელევიზიო პროგრამები და საჯარო მოხელეების გამოსვლები. ასევე, ჩავატარე საბიბლიოთეკო და საარქივო სამუშაოები. საბიბლიოთეკო სამუშაო ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული წყაროების შესწავლას მოიცავდა. საარქივო სამუშაო საქართველოს ეროვნული არქივისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო ფონდების დამუშავებას ეხებოდა. ეს სამუშაოები 2014-2015 წლებში მიმდინარეობდა.

2013-2015 წლებში რამოდენიმე მნიშვნელლოვანი ინტერვიუც ჩავწერე. კვლევის პირველ ეტაპზე მიზნად დავისახე კანონიერ ქურდების ინსტიტუტის კველევა. ამ მიზანს ვერ მივაღწიე, რადგან 2006 წლიდან დაწყებული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახლეწიფო კამპანიის შედეგად კანონიერი ქურდები საქართველოში თითქმის აღარ ცხოვრობდნენ. მათი დიდი უმრავლესობა რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიასა და ევროპის ქვეყნებს აფარებდა თავს, გარკვეული ნაწილი კი სასჯელს N7 დაწესებულებაში იხდიდა. 2013 წლის იანვრის თვეში შსს-ს სამართველოდან მოპოვებული მონაცემების გამოყენებით გადავამოწმე კანონიერი ქურდების საცხოვრებელი მისამართები. ამ მისამართების გადამოწმება ქ. თბილისის მასშტაბით, მოხდა. გადამოწმდა დაახლოებით 20 მდე ლოკაცია. ამ ლოკაციებიდან მხოლოდ ერთ, ლოკაციაზე ცხოვრობდა კანონიერი ქურდი. ეს რესპოდენტი 1950 წლამდე დაბადებული ძველი ფორმაციის კანონიერი ქურდი იყო.ხანდაზმულობის გამო კრიმინალურ საქმიანობაში აღარ მონაწილეობდა, მიუხედავად ამისა, დუმილის , ანუ „ომერტას“ პრინციპს მაინც იცავდა. ამის დასაძლევად ერთგვარ ხრიკს მივმართე. მაგალითად, საერთო სალაროს, მონათვლის და კრიმინალური გარჩევის შესახებ შეკითხვები სხვა წყაროებიდან მოვიძიე და ,,კი“ და ,,არა“ პასუხების დაცვის პრინციპით გარკვეულ შედეგებამდე გავედი.

კვლევის წარმოების დროს ასევე ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები პოლიციის ყოფილ პოლკოვნიკთან, ციხის ყოფილ ზედამხედველთან, კრიმინოლოგებთან და სოციოლოგებთან. ამ სადისერტაციო ნაშრომში ასევე გაანალიზდა ონლაინ ფორუმები და დისკუსიები. ეს ფორუმები ძირითადად ქუჩის აკადემიას და ციხეს ეხებოდა.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ყოფილ მსჯავრდებულებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებიც ჩავატარე. ამ მონაცემების შეგროვება 2014-2015 წლებში მოხდა. პროექტი ტორონტოს უნივერსიტეტის მიერ იყო დაფინანსებული, და მას ერქვა „გარდამავალი ციხის სოციალური ცხოვრება პოსტ-საბჭოთა საქართველოში“ (Social life in Transition in post-Soviet Georgian Prisons). პროექტის ხელმძღვანელი დოქტორი გავინ სლეიდი იყო. კვლევაში რესპოდენტები თოვლის გუნდის პრინციპით შეირჩა და გამოიკითხა 81

ყოფილი პატიმარი. აქედან 26 სიღრმისეული ინტერვიუ ჩაიწერა და 65 ნახევრად სტრუქტურული კითხვარი შეივსო. გამოკითხვისას აქცენტი გაკეთდა 2003-2012 წლებში საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ძალადობის შეკავების მექანიზმებზე, ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ფორმებსა და კანონიერი ქურდების სუბკულტურის ფუნქციურ მახასიათებლებზე. კვლევის შედეგები 2015 წელს ორ სტატიაში გამოიცა. პირველი სტატიის ავტორები გავინ სლეიდი და ლაურა პიაჩენტინი ციხის სოციალურ ცხოვრებას საქართველოსა და რუსეთის ციხეების მაგალითზე განიხილავენ. ამ სტატიის სათაურია „არქიტექტურა და მიჯაჭვულობა: მსჯავრდებულთა კოლექტივიზმი და ციხის რეფორმის პრობლემა რუსეთსა და საქართველოში“ (Architecture and Attachement : Carceral collectivism and the problem of prison reform in Russia and Georgia) (Piachentini and Slade 2015). ხოლო მეორე სტატიაში „ძალადობა, როგორც ინფორმაცია ციხის რეფორმის დროს: ფაქტები პოსტ-საბჭოთა რეგიონიდან“ (Violance as Information During Prison Reform: Evidences from the Post-Soviet Region) (Slade 2015) სტატიაში სლეიდი განიხილავს საქართველოში ციხის რეფორმას, რომლის შედეგად ციხეებში ინფორმაციის ცირკულაცია შეიზღუდა. ამან პატიმართა შორის ძალადობის ფაქტების ზრდას შეუწყო ხელი. კვლევის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ამ კვლევის მცირედი ნაწილი ჩემს დისერტაციაშიც გამოვიყენე.

კვლევას ჰქონდა რამდენიმე შეზღუდვა. პირველი შეზღუდვა განპირობებული იყო 2013-2014 წლებში კანონიერი ქურდების თემის პოლიტიკური და სოციალური აქტუალობით. ამ პერიოდში ჩატარებული საველე სამუშაოს დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: (1) კანონიერი ქურდები და ამ ჯგუფთან დაკავშირებული აქტიური აგენტები საჯარო საუბარს ერიდებიან, ეს მათ დაუწერელ ნორმებს ეწინააღმდეგება. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფის პასიურ წევრებთან მაინც მოვახერხე რამდენიმე ინტერვიუს ჩაწერა, რომლებიც ძირითადად წარსულში მომხდარი ფაქტების შესახებ მოგვითხრობდა და ისტორიული ხასიათისა იყო. (2) თემის სიმწვავემ განსაზღვრა რესპოდენტი მოზარდების სიფრთხილეც. კვლევა 2013-2015 წლებში მიმდინაროებდა. მოზარდები ინტერვიუების

დროს ერიდებოდნენ ღიად საუბარს. მათი ნდობის მოპოვება რთული იყო და კვლევის მიზნების განმარტება ხშირად მიწევდა. ხშირ შემთხვევაში ჩემი განმარტებები საკმარისი არ იყო. ამ დაბრკოლებას ემატებოდა ჩემსა და რესპოდენტებს შორის ასაკობრივი სხვაობაც. ეს გარემოებები თანატოლთა კულტურის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას არ იძლეოდა. ამ დაბრკოლების აღმოსაფხვრელად საჭირო გახდა ფოკუსჯგუფის შექმნა, რამაც გაამართლა.

თავი 1 - ახალგაზრდული სუბკულტურები საბჭოთა კავშირში

შესავალი

1960-იანი წლებში საბჭოთა კავშირის „რკინის ფარდის“ მიღმა ახალგაზრდული სუბკულტურები მოძლიერდნენ. მათი გავლენის მოძლიერება რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა. უმთავრესი კი იყო 1960-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული „სექსუალური რევოლუცია“.ეს მოძრაობა სექსუალობისა და გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნით,ახალგაზრდულ მასობრივ მოძრაობად ჩამოყალიბდა(Gelder and Thorton 1997). საბჭოთა კავშირში ახალგაზრდების მსგავსი ტიპის მასობრივი ამბოხი არ ყოფილა, თუმცა მაინც არსებობდა მცირემაშტაბის მოძრაობები, რომელთაც არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ რეალობაზე ქონდათ რეაქცია. მაგალითად, საბჭოთა კავშირში 1950-იანი წლებიდან განვითარდა „სტილიაგების“ (стиляги) სუბკულტურა.

1.1 სტილიაგები და გოპნიკები

„სტილიაგა“ ინგლისური სიტყვიდან *style*, ნიშნავს ადამიანს რომელსაც მკვეთრად გამორჩეული ჩაცმის სტილი აქვს. ეს ახალგაზრდები ძირითადად საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ელიტის შვილები იყვნენ.სხვა საშუალო სტატისტიკური საბჭოთა მოქალაქისაგან განსხვავებით მათ დასავლეთის მედიასაშუალებებზე ქონდათ წვდომა. ამით მათ ჩამოუყალიბდათ სამუსიკო გემოვნება, დამახასიათებელი სპეციფიური ქცევის მოდელები და სასაუბრო ჟარგონი (Karpova 2009). „სტილიაგები“ ნიკიტა ხრუშჩოვის (1953-1964) მიერ წარმოებული ე.წ. „დათბობის პოლიტიკის“ პერიოდში გამოჩნდნენ და ახალგაზრდულ პოლიტიკურ ორგანიზაცია „კომსომოლს“ კონკურენციასაც კი უწევდნენ. საბჭოთა პოლიტიკურმა ნომენკლატურამ „სტილიაგების“ დასუსტების მიზნით ხელი შეუწყო ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაცია „კომსომოლის“ გაძლიერებას. ნიკიტა ხრუშჩოვის მართველობის დროს ორგანიზაცია კომსომოლს გარდა ახალგაზრდების პოლიტიკური აღზრდისა, მათი თავისუფალი დროის კონტროლიც დაევალა (Pilkington 1994).

საბჭოთა კავშირში „სტილიაგების“ გარდა არსებობდა ე.წ. „გოპნიკების“ სუბკულტურაც. „გოპნიკების“ *гопники* სუბკულტურა რადიკალურად განსხვავდებოდა „სტილიაგების“ სუბკულტურისაგან. ეს განსხვავება რამოდენიმე ნიშანში ჩანდა; (1) გოპნიკების სუბკულტურა „სტილიაგებისაგან“ განსხვავებით, არ იმეორებდა, რომელიმე სპეციფიურ სამუსიკო ჟანრს და დასავლეთიდან მომდინარე კულტურულ მოდელებს. (2) გოპნიკები საბჭოთა კავშირში ყველაზე დაბალი უუფლებო მუშათა კლასის შვილები იყვნენ. (3) მათი სოციალიზაციის ადგილი იყო ქუჩა, ისინი არასდროს მართავდნენ ბურჟუაზიულ წვეულებებს და ცეკვის საღამოებს(სტილიაგებისგან განსხვავებით). (4) ჩაცმის სტილი, შედარებით თვისუფალი, ხშირ შემთხვევაში სპორტული. (5) ქცევის მანერები ხშირ შემთხვევაში ძალადობრივი და კრიმინალური. ისინი ღია ცის ქვეშ სასმელის მიღებას არ ერიდებოდნენ და თავისუფლების გამოხატვის ამ ფორმას ხშირ შემთხვევაში კრიმინალური და ძალადობრივი ელემენტებით ამდიდრებდნენ (6) მათი ლინგვსტური კოდი ქუჩური სლენგი იყო (Pilkington 1994).

ქუჩის პოპულაცია განსაკუთრებით 1960-იანი წლებიდან გაიზარდა. ამას 1966 წელს საბჭოთა კავშირში მიღებულმა შრომითმა კოდექსმა შეუწყო ხელი. ამ კოდექსის მიხედვით 8 საათიანი სამუშაო დღე 6 საათამდე შემცირდა (Pilkington 1994). „გოპნიკები“ სუბკულტურა თითქოს იმეორებდა საბჭოთა კავშირში უსახლკარო და მიუსაფარი ბავშვების - „ბეზპრიზორნიკების“ *беспризорники* ცხოვრების სტილს. უსახლკარო და მიუსაფარი ბავშვების პრობლემა საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ 1920-1930-იან წლებში არსებობდა. ბავშვები, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო საჭმლისა და სითბოს მოსაპოვებლად სახლიდან შორს გარბოდნენ. მათი სხეულის პარამეტრების და რაოდენობის (9 მილიონი) გათვალისწინებით სახელმწიფოს მათი კონტროლი უჭირდა (Pilkington 1994,62-64).

„გოპნიკების“ სუბკულტურას თავისი მეხოტბე სამუსიკო შემსრულებლები და კომპოზიტორები ჰყავდა. მაგალითად, ალექსანდრ როზენბაუმი, რომლის სამუსიკო კარიერა 1970-1980-იან წლებში განვითარდა. მისი ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა *гоп стоп* „გოპნიკების“ სუბკულტურის შესახებ ეთნოგრაფიული ჩანახატია. ალექსანდრ როზენბაუმის (Александр Розенбаум) სამუსიკო გავლენით წარმოიქმნა სამუსიკო ჟანრი „ქურდული შანსონები“, რომელსაც მიხეილ კრუგი (Михаил Круг) ასრულებდა. კრუგის მიერ შესრულებულმა შანსონებმა პოპულარობა 1990-იან წლებში მოიპოვეს. უნდა აღინიშნოს, რომ „გოპნიკების“ სუბკულტურა კანონიერი ქურდების კრიმინალურ სუბკულტურასთან ღრმად იყო შეზრდილი და შემთხვევითი სულაც არ იყო ის გარემოება, რომ ალექსანდრ როზენბაუმის ქუჩის შანსონები მოგვიანებით კანონიერი ქურდების ფოლკლორად გადაკეთდა.

1.2 კანონიერი ქურდები

კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა სოციალურ და პოლიტიკურ სისტემებზე კარგად გამოკვლეული არ არის. ეს ჩავარდნა განპირობებულია ამ სუბკულტურის კვლევის ფოკუსით.

მოგეხსენებათ, რომ (1) კანონიერი ქურდები დანაშაულებრივი ქმედებების გარკვეული სტილით გამოირჩევიან. (2) ეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია ძირითადად არაფორმალური ბაზრის კონტროლით იყო დაკავებული. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა მოცემული ორგანიზაციით კრიმინოლოგთა დაინტერესება. ამ სამეცნიერო პერსპექტივიდან კანონიერი ქურდები ან, უბრალოდ "ქურდები", კრიმინალური ქსელის ლიდერები არიან და მონაწილეობენ მაფიოზურ აქტივობებში. მაფია ამ შემთხვევაში განიმარტება როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მთავარი ამოცანა ძალადობისა და მუქარის გამოყენებით არალეგალური და დაუცველი ბაზრის მართვა და რეგულირებაა (Gambetta 1993; Varese 2010 იხ. Slade 2013,18).

კანონიერი ქურდები როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ანუ „მაფია" გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული რიტუალური ქცევით, სტატუსის მქონე იერარქიული წესრიგისა და მკაფიოდ გაცხადებული, ხშირად ცვალებადი და გავრცელებული წესების კორპუსით. ხოლო, სიმბოლოები და ნარატივები კი ქმნიან ამ ინსტიტუტის პრაქტიკებს რომელიც თავისთვად მნიშვნლეოვანია ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის (Slade 2013,18).

ავტორთა დიდი ნაწილი თანხმდება იმ გარემოებაზე ,რომ კანონიერი ქურდები ისევე როგორც მაფიის სხვა ტიპის დაჯგუფებები ნდობის პრინციპს ეფუძნება. სოციოლოგიასა და პოლიტიკის მეცნიერებებში ნდობის ფენომენი საკმაოდ ღრმად არის შესწავლილი ისეთი მეცნიერების მიერ, როგორიც ნიკლას ლუმანი (Niklas Luhmann), დიეგო გამბეტა (Diego Gambetta), პართა დასგუფთა (Partha Dasgupta) და ერნესტ გელნერია (Ernest Gellner) (Gambetta 2008). პოლიტიკის მეცნირებებში აღიარებულ მკვლევარ ჩარლზ ტილის (Charles Tilly) მიხედვით ნდობა ქსელთან მიმართებაში უნდა გაანალიზდეს. ასეთი ტიპის სოციალური ქსელი ერთგვარი ნდობის ქსელია (trust network) და მისი ფორმირება ხშირ შემთხვევაში არაფორმალურ ურთიერთობებზე, სოლიდარობასა და ურთიერთსარგებელზეა დამოკიდებული"[7] (Tilly 2005,44). ეს უკანასკნელი (ურთიერთსარგებელი) გჯუფის წევრთა პრაგმატული არჩვანია და ურთიერთობების

[7]'trust network'… such a form of organization depends to a greater degree on (often informal) relations of trust, solidarity, and reciprocity (Tilly 2005, 44).

კაფსულირებას განსაზღვრავს. ურთიერთობების კაფსულირებას პოლიტიკის მეცნიერებების პროფესორი და მკვლევარი რასელ ჰარდინი (Russell Hardin) უწოდებდა „ნდობას“ - კაფსულირებულ ინტერესს, (encapsulated interest), რაც გამოთქმულია შემდეგ დებულებებში: „გენდობი, იმიტომ რომ ვფიქრობ, რომ შენს ინტერესში შედის ჩემი ინტერესის სათანადოდ შეფასება, შენთვის ძვირფასია ჩვენი ურთიერთობის გაგრძელება, იმიტომ რომ ჩვენი ინტერესები ორივესთვის მომგებიანია. ამით ჩვენ ინტერესების შეჯერებას მოვახდენთ და განვაგრძობთ ურთიერთობას. ჩემი ინტერესი შესაძლოა სხვათა ინტერესთან კონფლიქტში მოვიდეს და შენ ჩემი ინტერესის საწინააღმდეგოდ იმოქმედო. როგორც არ უნდა იყოს, ეს მაინც ჩემს ინტერესებში იქნება, რადგან შენი ინტერესები ჩემთვის ღირებულია“[8] (Hardin 2002,1).

კანონიერი ქურდების მაფიას ვრცელი ისტორია აქვს. კანონიერი ქურდების ისტორიული მეხსიერება შრომა გასწორების კოლონიებიდან იწყება (Varese 1998, 2010; Slade 2013). კანონიერი ქურდების რუსული შესატყვისი *воры в законе* მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო გავრცელებული (Gurov 1995,Varese 1998,Volkov 1999, 2002). საბჭოთა კავშირში კანონიერი ქურდები აკონტროლებდნენ ციხეებში და „ლაგერებში“ მყოფ პატიმართა ცხოვრებას, ხოლო 1960-1970-იანი წლებიდან მათ ამ ფუნქციას ჩრდილოვან ეკონომიკაში მოღვაწე „სპეკულიანტებისა“ და „ცეხავიკების“ კონტროლიც დაემატა (Volkov 1999, 2002; Varese 2010, Slade 2013). კანონიერმა ქურდებმა საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის ყურადღება საბჭოთა კავშირის (1991) დაშლის შემდეგ მიიპყრეს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში ყოველი მესამე კანონიერი ქურდი საქართველოში იყო დაბადებული და გაზრდილი. ეს პარადოქსულია იმ გარემოების გათვალისწინებით ,რომ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა მთელი საბჭოთა მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს უდრიდა (ლობჟანიძე და

[8]Trust as an Encapsulated interest - On this account, I trust you because I think it is in your interest to take my interests in the relevant matter seriously in the following sense: You value the continuation of our relationship, and you therefore have your own interests in taking my interests into account. That is, you encapsulate my interests in your own interests. My interests might come into conflict with other interests you have and that trump mine, and you might therefore not actually act in ways that fit my interests. Nevertheless, you at least have some interest in doing so (Hardin 2002,1)

ღლონტი 2004; Slade 2013). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დესტაბილიზაციამ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დიდი ნაწილი მოიცვა. ეს გარემოება ხელსაყრელი აღმოჩნდა კავკასიელი კანონიერი ქურდებისთვის, რომელთა უმრავლესობა ყოფილი დსთ-ს ქვეყნებში გადაბარგდა. ქართველი კანონიერი ქურდების იმპორტმა კრიმინალურ რუსეთში განსაკუთრებული ეთნიკურ კულტურული ხასიათი შეიტანა. კანონიერი ქურდების გავლენა თითქმის ყველა სფეროს ფარავდა.რუსეთში ამ საკითხით დაინტერესდა სამეცნიერო საზოგადოებაც და რამოდენიმე მნიშვნლეოვანი ნაშრომიც დაიწერა.

პოსტ-საბჭოთა რუსეთში კანონიერი ქურდების შესახებ წერდნენ მილიციის ყოფილი პოლკოვნიკი ალექსანდერ გუროვი (Gurov 1995) და ოქსფორდის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის პროფესორი ფედერიკო ვარეზე (Federico Varese 1998). ამ ავტორთა შრომები ძირითადად ისტორიული ხასიათისაა და კანონიერი ქურდების გენეალოგიას ეხება, მოიცავს რა როგორც პრე-საბჭოთა, ისე ადრეული საბჭოთა პერიოდის კვლევებს (Gurev 1995, Varese 1998). ამ თემატიკაზე ანალიტიკური თვალსაზრისით საინტერესო კვლევებს გვაწვდიან ვადიმ ვოლკოვი (Vadim Volkov 1999, 2002), ალენა ლედენევა (Alena Ledeneva, 1998) და ანტონ ოლეინიკი (Anton Oleinik 2003). ვადიმ ვოლკოვს (Vadim Volkov) რუსეთის მიწისქვეშა ეკონომიკაში კანონიერი ქურდების როლისა და მათი ძალაუფლების წყაროს გამოკვლევა სურდა და დაასკვნა, რომ კანონიერი ქურდები ძალადობისა და მუქარის გამოყენებით რუსეთის ეკონომიკასა და პოლიტიკაში აქტიურად მონაწილეობდნენ (Volkov 1999, 2002). რაც შეეხება ალენა ლედენევას ნაშრომს „როგორ მუშაობს რუსეთი სინამდვილეში: არაფორმალობა, რომელმაც განსაზღვრა პოლიტიკა და ბიზნესი პოსტ-საბჭოთა რუსეთში“ (How Russia Really Works: The Informal Practices That Shaped Post-Soviet Politics and Business), ის კანონიერ ქურდებს არაფორმალური სოციალური პრაქტიკების კონტექსტში განიხილავს, წარმოადგენს რა ბიზნესისა და პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც იწოდება როგორც „კრიშა“ (крыша) (Ledeneva 2006) ანუ პროტექცია. მნიშვნელოვანი და საინტერესო ავტორია ანტონ ოლეინიკიც (Anton Oleinik), რომელიც

ქურდების ინსტიტუციურ ცხოვრებას პოსტ-საბჭოთა რუსეთის ციხეებში დააკვირდა. ავტორის მიხედვით ქურდები ციხის სოციალურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ, განსაზღვრავდნენ რა უბრალო პატიმართა თანაცხოვრების ფორმებს (Oleinik 2003).

საქართველოში პირველად კანონიერი ქურდების კვლევით კრიმინოლოგები დაინტერსდნენ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კრიმინოლოგების გიორგი ღლონტის და გივი ლობჟანიძის მონოგრაფია „კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა“ (2004). ამ მონოგრაფიაში ვრცელი თავებია დათმობილი კანონიერი ქურდების ინსტიტუციური წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ასევე საინტერესოა 2009 წელს სოციოლოგ გიგი თევზაძის მიერ დაწერილი წიგნი „განჯადოება - ხუთი ესე თანამედროვე საქართველოს შესახებ“. ამ წიგნში თევზაძე კანონიერი ქურდების ფენომენის წარმოშობაზე საუბრობს და გენეალოგიურ და კრეაციონისტულ მოდელებს წარმოადგენს. საინტერესოა ავტორის მოსაზრება კანონიერი ქურდების დაუწერელი წესების შესახებაც. ის ამ წესებს ადარებს შუა საუკუნეებში ევროპაში მოღვაწე ბერების სამონასტრო ცხოვრების ეთიკას. თევზაძე ამ ნაშრომში ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირში კლასობრივი სოციალური ცხოვრების თავისებურებეს და განმარტავს, რომ საბჭოთა კავშირში პარტიული და დისიდენტური პერსპექტივების გვერდით კრიმინალური ცხოვრების პერსპექტივაც არსებობდა. “*ვფიქრობ ,რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრების სამი პარადიგმული კონსტრუქცია არსებობდა: პარტიული - ელიტარული გზა, რომელიც ძირითადად მემკვიდრეობით გადადიოდა, თუმცა დეკლარირებული მიზნების შესანარჩუნებლად უშვებდა ცხოვრების სხვა სტრატეგიების მატარებელი ინდივიდების ჩართვას; დისიდენტური - ეს ძირითადად ინტელექტუალების სტრატეგია იყო და დიდი ამპლიტუდა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ირონიიდან რეალურ,სახელწიფოსადმი დაპირისპირებულ პოლიტიკურ მოძრაობაში ჩართვამდე; ქურდული - ეს სტრუქტურა მოიცავდა საზოგადოების იმ ნაწილებს, რომლებიც ყოველდღიურ ფიზიკურ შრომაში ან მომსახურებაში იყვნენ ჩართულნი. საინტერესოა, რომ ამ სამი პარადიგმული*

კონსტრუქციდან ორს შორის საოცარი მსგავსება იყო, და რა გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ორი მსგავსი ქურდული და ელიტარული იყო" (თევზაძე 2009, 53).

ეს ესსე პირველია ქართულ სამეცნეირო დისკურსში შექმნილ ნაშრომებს შორის, რომელიც მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენის შესწავლა პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებზე დაკვირვებით უნდა მოხდეს. ამ პერსპექტივას იზიარებს მწერალი აკა მორჩილაძეც. მწერლის 2014 წელს დაწერილი წიგნი „ჩრდილი გზაზე" დოკუმენტური პროზის ჟანრს მიეკუთვნება, სადაც განხილულია ჩრდილოვან ეკონომიკაში(1960-70) კანონიერი ქურდების ცხოვრების თავისებურებები. ავტორის მტკიცებით საბჭოთა საქართველოში, განსაკუთრებით 70-იანი წლების შემდეგ, კანონიერი ქურდების მიერ შემოთავაზებული მორალი(გაგება) უფრო „ხალხური" და მძლავრი ჩანდა, ვიდრე საბჭოთა კავშირში გავრცელებული ოფიციალური ცხოვრების წესი(მორჩილაძე 2014)

1.3 ანტისისტემურობა სსსრ-ში

საბჭოთა პოლიტიკური ისტებლიშმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მის პოლიტიკურ საზღვრებში შემავალ რესპუბლიკებს. მეტროპოლია პერიფერიას ყოველთვის დამრიგებლური და აღმზრდელობითი რიტორიკით ესაუბრება. ამის საპასუხოდ, პერიფერიაში მეტროპოლიის მიმართ ანტაგონისტური და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ყალიბდება და საზოგადოებრივი ჯგუფები დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად პროტესტის ათასგვარ ხრიკს მიმართავენ(Spivak 1988;Chakrabarty 2000).ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა(სსსრ) იყო.

სსსრ-ში პროტესტის გამოხატვის ორგვარი ფორმა არსებობდა.პირველი, პროტესტის ფორმა ერთჯერადი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად წარმოიშობოდა. მაგალითად, 1956 წელს ნიკიტა ხრუშოვის მიერ სტალინის კულტის შეურაცხყოფას მასიური საპროტესტო რეაქცია მოჰყვა. ასევე, მასობრივ სამოქალაქო მღელვარებაში გადაიზარდა 1978 წელს ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების

საკითხი. მსგავსი ანტისისტემური პროტესტის მაგალითია „თვითმფრინავის ბიჭების საქმეც“ (1983) და 1989 წლის აპრილში დაწყებული დამოუკიდებლობის მოთხოვნის შესახებ მანიფესტაცია. მეტროპოლია მსგავსი ტიპის სოციალურ ამბოხს ძალის გამოყენებით ახშობდა და მსხვერპლსაც კი არ ერიდებოდა. მეორე, ტიპის პროტესტის ფორმა შედარებით გონიერი ანტისისტემურობით გამოირჩეოდა. ამისი მაგალითი საბჭოთა კავშირში დისიდენტური მოძრაობა იყო. დისიდენტური მოძრაობა წლების მანძილზე წინასწარ გათვლილი და დაგეგმილი სტრატეგიით ებრძოდა ტოტალიტარულ მართველობას. ეს მოძრაობა სულაც არ იყო რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური ან სოციალური ცვლილების წინააღმდეგ მიმართული მუშათა კლასის ამბოხი. მაგალითად ისეთი როგორიც მე-20 საუკუნეში დასავლეთ ევროპის დიდ ნაწილში ლეიბორისტთა რიგებში დამუშავდა. არამედ, ეს იყო საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური ხასიათის ამბოხი, რომელსაც სათავეში რეპრესირებული ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის წევრები ედგნენ. მაგალითად, ალექსანდრე სოლჟენიცინი და ვლადიმერ ბუკოვსკი რუსეთში, ხოლო საქართველოში ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე, გრიგორი და ისაია გოლდშტეინები. ამ მოძრაობას 1980-იანი წლებიდან ზურაბ ჭავჭავაძე და გიორგი ჭანტურია შეუერთდნენ (იხ. გამსახურდია 2015). საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში ასეთ ჯგუფებს ანტისაბჭოთა ელემენტებს უწოდებდნენ და მკაცრად დევნიდნენ. რეჟიმის განმარტებით მათი მთავარი მისია საბჭოთა იდეოლოგიის ძირგამომთხრელი პოლიტიკის წარმოება იყო. ეს ჯგუფები განსაკუთრებით 1970-1980-იან წლებში გაძლიერდნენ და ნაციონალისტურ- პოლიტიკურ მოძრაობად გარდაიქმნენ, ყოველ შემთხვევაში, ასე მოხდა საქართველოში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ანტისისტემური პროტესტის სხვა ფორმებიც არსებობდა. მაგალითად 1960-1970-იანი წლებიდან სოციალისტურ ყოველდღიურობაში ახალი სამუსიკო კოლექტივები გამოჩდნენ. ამ კოლექტივების უმეტესობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კარგად აპრობირებულ გამოხატვის ფორმებს იმეორებდა. მაგალითად, განვითარდნენ ბიტლომანების, როკერების და როკენ-როლის მოყვარულთა კოლექტივები. ეს კოლექტივები ძირითადად საუნივერსიტეტო ბაზაზე

იქმნებოდა და სტუდენტი ახალგაზრდებისაგან იყო დაკონპლექტებული. მაგალითად, ანსამბლი „ორერა“,თბილისის ენისა და კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე, 1958 წელს შეიქმნა. ეს კოლექტივი ჯგუფ ბიტლზს თითქმის იმეორებდა და „ცივი ომის“ პირობებში მას ეჯიბრებოდა კიდეც. მოგვიანებით 1960- იანი წლებიდან როკის კოლექტივები ჩამოყალიბდა, მაგალითად„ბერმუხა“ (ბაჩი ქიტიაშვილი), Blitz (ვალერი კაჩაროვი), „იდეალი“. ესეთი ტიპის გაერთიანებები რეგიონებშიც იქმნებოდა, მაგალითად არიში (ქ. რუსთავიდან), „ბონვარონი“ (ქ. ცხინვალიდან), და სხვა.

მსგავსი ტიპის სამუსიკო კოლექტივები სოციალიზმში მცხოვრები მოზადრი-ახალგაზრდების ერთგვაროვანი შეხედულებების პარალელურად, განსხვავებული ცხოვრების ფორმებს ქმნიდნენ. ეს სამუსიკო სოციალური რეპროდუქცია პოლიტიკური სისტემის მიერ ბოლომდე შეწყნარებული არ იყო. თუმცა, მათი აპოლიტიკურობა(დისიდენტებისაგან განსხვავებით) პოლიტიკურ სისტემაში საფრთხედ არ აღიქმებოდა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დისიდენტური და სამუსიკო სისტემური პროტესტის გვერდით არსებობდა ტრადიციული მოლხენისა და შეკრების ფორმა „სუფრა“. პარადოქსულია, რომ სუფრის წარმადობაში საბჭოთა პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები თავად მონაწილეობდნენ. სინამდვილეში კი ეს ტრადიციული რუტინა საბჭოთა სისტემურ წესრიგში ანტი-საბჭოთა ელემენტს წარმოადგენდა. (ნოდია 2004;Tuite 2005;Altman 2011; Curro 2017a). „სუფრას“ პოლიტიკის მეცნიერებების მკვლევარი გია ნოდია ასე განმარტავს; „სუფრა ადამიანთა თავისუფალი თვითორგანიზაციის ფორმაა,მასში საზოგადოება თავის ავტონომიურობას ახორციელებს სახელწიფოს მიერ თავსმოხვეული რეპრესიული გარემოს საწინააღმდეგოდ“(ნოდია 2004,6).

კანონიერი ქურდების კრიმინალური სუბკულტურა, როგორც ანტისისტემური პროტესტის ფორმა ჯერ კიდევ ადრეული გულაგის(1930) პერიოდიდან ჩამოყალიბდა (Gurev 1995; Varese 1998). ამ სუბკულტურის ანტისისტემურობა მათ დაუწერელ წესებში (გაგება) კარგად ჩანს (Slade 2013).

„გაგება“ რვა ძირითად წესს მოიცავს:

1. კანონიერ ქურდს არასოდეს არ უნდა ემუშავა ციხეში ან მის გარეთ;
2. კანონიერ ქურდს არ უნდა ქონოდა ქონება, ცოლი, შვილები, ოჯახური კავშირები;
3. კანონიერ ქურდს არ უნდა ეთანამშრომლა სახელმწიფოსთან;
4. კანონიერ ქურდს ქურდულ სალაროში უნდა შეეტანა ფული (,,ობშიაკი“) და მონაწილეობა მიეღო ქურდულ სასამართლო გარჩევებში (,,სხოდკა“);
5. კანონიერი ქურდი სხვა ქურდის მიმართ გულწრფელი უნდა ყოფილიყო;
6. კანონიერი ქურდი ქურდული იდეოლოგიისთვის თავდადებული უნდა ყოფილიყო;
7. კანონიერ ქურდს უნდა მოეზიდა ახალგაზრდები და ჩაება ქურდულ საქმიანობაში;
8. კანონიერ ქურდს უნდა ეკონტროლებინა ციხე და დაემყარებინა ქურდული წესრიგი ანუ ციხე ,,გაეშავებინა“[9] (Slade 2013,13).

ეს წესები შეგვიძლია გავიაზროთ, როგორც ანტისისტემური პროტესტი მიმართული ყოველგვარი სახელწიფოებრივის წინააღმდეგ. სხვა მხრივ საბჭოთა საქართველოს კონტექსტში ეს წესები შეგვიძლია გავიაზროთ, როგორც მასკულინური ტიპის ანტისისტემური პროტესტი მიმართული კოლონიალური მართველობის წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს ,რომ ამ სუბკულტურის ასკეზური ცხოვრების წესის გვერდით, ჩრდილოვანი ეკონომიკის(1960-1970) პირობებში საკმაოდ კომფორტული ცხოვრების

[9] A thief-in-law must never work or have ever worked in or outside prison;
- A thief-in-law must not take a wife, start a family, or maintain family ties;
- A thief-in-law must not collude with the state in any form;
- A thief-in-law must contribute to the criminal common fund (known as the *obshchak*) and the thieves' 'courts' (known as *skhodki*);
- A thief-in-law must be honest with other thieves;
- A thief-in-law must be dedicated to the thieves' idea;
- A thief-in-law must attract new recruits, especially from among the youth;
- A thief-in-law must control his prison and impose thievish jurisdiction there, known as 'turning it black'. (Slade 2013,13)

პერსპექტივა წარმოიშვა. ეს სუბკულტურა არასამართლებრივად მოწყობილი სოციალური და პოლიტიკური სისტემის პირობებში თავს კარგად გრძნობდა. ამ კონფორტს ძირითადად ჩრდილოვან ეკონომიკაში დოვლათის მოპოვებისა და განაწილების წესები განსაზღვრავდა, რომელთა სამართლებრივ დაცვაც კანონიერ ქურდებს ევალებოდათ (Volkove 1999, 2002; Slade 2013).

აქვე გთვაზობთ კანონიერ ქურდთან ვიზიტის მოკლე ეთნოგრაფიულ ჩანახატს:

> *„კანონიერი ქურდი საბჭოთა საქართველოში, პროფესორ- მასწავლებლების ოჯახში დაიბადა. სკოლა თბილისში დაამთავრა. კარგი სწავლითა და დისციპლინით არ გამოირჩეოდა, მასწავლებლებს კლასიდან კლასში იმ იმედით გადაჰყავდათ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სკოლას შეიცვლიდა. დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა, იქ ისწავლა ქურდული ცხოვრების ანბანი. უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია და არც ჯარში უმსახურია. არასოდეს უმუშავია. 1970- იან წლებში კანონიერი ქურდის სტატუსი მოიპოვა და დღემდე ამ სახელით ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*
>
> *საბჭოთა კავშირზე საუბრის დროს აღიარებს, რომ ხალხს არ უჭირდა და ქურდებსაც ჰქონდათ ფული. თანამედროვე ცხოვრებაზე კი გულგატეხილია: „თითქოს გადაგვარდა ყველაფერი, წამალს რომ ჩაგიგდებენ და ციხეში გაგიშვებენ. ცხოვრებაში წამალს არ მივკარებივარ და „მიშას“ დროს წამალზე დამიჭირეს. ქურდები რაოდენობაში აკლდათ, ეტყობა“.*

ეს მოკლე ამონარიდი კანონიერ ქურდთან ჩატარებული ინტერვიუდან გახლავთ. ინტერვიუ 2013 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩავწერე. ინტერვიუს დროს რესპონდენტმა გამაფრთხილა, რომ კანონიერი ქურდები არ ლაპარაკობდნენ. კრიმინალური ცხოვრების შესახებ მას მართლაც არ უსაუბრია. დუმილის პრინციპი ბოლომდე დაიცვა, თუმცა,ზოგადად, ქურდის სოციალური ცხოვრების შესახებ ფართოდ ისაუბრა. ხმის ჩამწერის ჩართვაზე უარი განაცხადა და მონათხრობი ფურცელზე

ჩავიწერე. მე ვუყვებოდი, თუ რა ვიცოდი ქურდების ცხოვრების შესახებ. ის კი მიდასტურებდა ან უარყოფდა.

რესპოდენტს ფრინველები ჰყავდა მოშინაურებული. ამის მნახველმა ინტერვიუს დროს ვიკითხე, ამით ხომ არ ვაჭრობდა. ამაზე ის გაბრაზდა. მეუღლეს ტელეფონით დარეკვა სთხოვა. რამდენიმე წუთში დაბალი ტანის კაცი მოვიდა. რესპოდენტი წამოდგა, შიდა ეზოში გამოსვლა მთხოვა. დაბალმა კაცმა ხელში ჩაქუჩი მოიმარჯვა და ჩემს წინ ჩამოჯდა. რესპოდენტმა საუბარი ფრინველებზე განაგრძო და გაიხსენა ვირთხის ამბავი: ვირთხა ფრინველების გალიაში შეძვრა და იქ მყოფი ყველა ფრინველი მოკლა. მე მივხვდი, ეს ამბავი მეტაფორული იყო და „ვირთხა“ მე ვიყავი. ამის შემდეგ ხელი მოვკიდე ზურგჩანთას და სწრაფად გამოვედი. შეკითხვა ვაჭრობის შესახებ ჩემი პროფესიული შეცდომა იყო. უნდა მცოდნოდა, რომ საბჭოთა ყაიდის კანონიერი ქურდები არ ვაჭრობდნენ. ვაჭრობა და ბაზარზე სპეკულაცია მათი ცხოვრების კოდექსს ეწინააღმდეგებოდა (Varese 1998;Volkov 1999, 2002;Slade 2013).

...

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში განვითარებული ანტისისტემური პროტესტის ფორმებს გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები განსაზღვრავდნენ. მაგალითად, კანონიერი ქურდების შემთხვევაში, ამ სუბკულტურის გახალხურება და გაძლიერება სამმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა. (1) 1960-1970-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში ჩრდილოვანმა ეკონომიკამ გაიდგა ფესვები. საბჭოთა საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებელი სამჯერ მაღალი იყო, ვიდრე სხვა საკავშირო რესპუბლიკებში(Mars and Altman 1983;Slade 2013). ამის შედეგად წამყვან კულტურაში გაჩნდა არაფორმალური ანუ კრიმინალური გზით ძალაუფლების მოხვეჭის საშუალებები. (2) 1960-იანი წლებიდან ჩრდილოვანი ეკონომიკის გაღრმავებას დაერთო, „კრიმინალური რომანის“ დაბადება. კრიმინალური რომანის ფურცლებზე შეითხზა, კანონიერი ქურდების ჰეროიკულ - რომანტიკული ხატი. ამ საკულტო წარმოდგენებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა კანონიერი ქურდების

სუბკულტურის მიმართ ახალგაზრდა მამაკაცების გაშმაგებული ლტოლვა. ჩრდილოვანმა ეკონომიკამ და კანონიერი ქურდების სუბკულტურის რომანტიზაციამ ახალგაზრდა კაცის ცნობიერებაში კრიმინალური კარიერის პერსპექტივა შვა.შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პერსპექტივა 1970 იანი წლებიდან მოზარდების სოციალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. (3) კრიმინალური ცხოვრების ეთიკა, რომელიც აკრძალვებისა და პრინციპების დაცვის საქმეში ძალიან გავს შუასაუკუნეების ევროპელი ბერების ცხოვრების წესს(თევზაძე 2009). აღნიშნული საკითხი ამ სუბკულტურას მკაცრ დისციპლინირებულ ინსტიტუტად აქცევს. ეს დისციპლინა განსაკუთრებულ საჭიროებას პოლიტიკური და სოციალური დესტაბილიზაციის პირობებში შეიძენს. საზოგადოებისთვის ესეთ პირობებში, ეკნომიკური სტაბილურობისა და მორალური სიმყარის შესანარჩუნებლად ყველაზე კრიმინალური წესრიგიც კი სასურველი ხდება.

თავი 2 - ჩრიდლოვანი ეკონომიკა და კანონიერი ქურდები (1960-1970)

შესავალი

1953 წელს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დიდი ტრაგედია დატრიალდა - გარდაიცვალა ი.ბ. სტალინი. მისი გარდაცვალება საბჭოთა კავშირს მყისიერად დაეტყო. სწორედ ამ პერიოდიდან გაიზარდა ცენტრალური გეგმიური ეკონომიკის პარალელურად არსებული ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი.

ჩრდილოვანი ეკონომიკა საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ქონების მიტაცებით საზრდოობდა. მოპარვის ეს ფორმა მოიცავდა ეკონომიკის ყველა სფეროს, ასევე სამუშაო დროსა თუ მატერიალურ რესურსებს და გავრცელებული იყო მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით (Feldbrugge 1984, Alexeev 1995). შექმნილ ვითარებას კარგად ასახავდა კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის (1964-1982) ცნობილი

ფრაზა: ,,თქვენ არ იცნობთ ცხოვრებას, საბჭოთა კავშირში არავინ არ ცხოვრობს მხოლოდ ხელფასის ამარა“.

სახელმწიფოსგან მიტაცებულმა ქონებამ 1975 წელს 63.7 მილიარდი რუბლი, ხოლო 1980 წელს 70.4 ბილიონი რუბლი შეადგინა (Alexeev 1995). საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებით, სამსახურში დაკავებული თანამდებობის შედეგად მიღებული კეთილდღეობა არა ხელფასით, არამედ იქ არსებულ რესურსებზე წვდომით განისაზღვრებოდა. სამსახურში მოწყობა კი სოციალურ კიბეზე დაკავებული პოზიციის შესაბამისად ხდებოდა, სადაც გავლენიანი სანაცნობო წრე და ნათესაური კავშირების ქსელი ასრულებდა გადამწყვეტ როლს. ეს ქსელი ჩრდილოვანი ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელ წინაპირობას - არაფორმალურ - მმართველობას უზრუნველყოფდა.აქედან გამომდინარე, საბჭოთა მოქალაქის ცნობიერებაში საფუძველი ჩაეყარა განცდას, იმის შესახებ , რომ ერთ სახელმწიფოში კიდევ სხვა სახელმწიფოც არსებობდა. ამ პერიოდში კანონიერი ქურდების სუბკულტურა მოძლიერდა

2.1 ჩრდილოვანი ეკონომიკა (1960-1970)

ჩრდილოვანი ეკონომიკაზე საუბრის დროს საინტერესოა ალენა ლედენევას მიერ ჩატარებული საბჭოთა არაფორმალური პრაქტიკების კვლევა (Ledeneva 1998). ლედენევა (1998) შენიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში სამსახურში მოწყობის არაფორმალური გზა არსებობდა. ის მოიხსნიებოდა როგორც ,,ბლატი“ (Blat), ანუ სამსახურში ბლატით მოწყობა. „ბლატი - ეს იყო ხელის გამართვის ფორმა, სახელმწიფოსგან პრივილეგირებული სოციალური კლასის მიერ, სელექციურად შერჩეული ადამიანების მიმართ. მატერიალური რესურსის სიმწირის პირობებში, სახელმწიფოს ვერტიკალური იერარქიული პირამიდის მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანები, სახელმწიფო ქონების მიტაცებისა და პირადი კეთილდღეობის მიზნით ქმნიდნენ ადამიანთა ქსელს, რომლებიც ურთიერთსამსახურითა და ერთმანეთის დახმარებით სოციალურ და მატერიალურ კაპიტალს აგროვებდნენ. ურთიერთობის ამ ფორმას მეგობრობის,

ნაცნობობის, კარგი ადამიანების დახმარებისა და რესურსის სხვისთვის განაწილების რიტორიკით ნიღბავდნენ“[10] (Ledeneva, 1998,37) .

ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი მახასიათებელი იყო სპეკულაციაც. სპეკულაცია შავ ბაზარზე სახელმწიფოსაგან მიტაცებული ნივთების შესყიდვასა და ხელმეორედ გაყიდვას გულისხმობდა. ამ პერიოდში ჩნდებიან „ცეხავიკებიც“, ცალკეული აგენტები, რომლებიც სახელმწიფოს საწარმოო საშუალებებით, ან მათივე შექმნილი კუსტარულად დამზადებული დანადგარების მეშვეობით ამზადებდნენ პროდუქციას და შავ ბაზარზე ყიდდნენ. შავი ბაზარი ვაჭრობის ყოვლისმომცველი ფორმა იყო და საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფოების ყველა დიდ ქალაქში ფუნქციონირებდა.

1960-დან 1980-წლამდე საბჭოთა კავშირში ჩრდილოვანი ეკონომიკა ოთხჯერ გაიზარდა და მისმა ხვედრითმა წილმა მოქალაქის სამომხმარებლო კალათის 20-30% შეადგინა. ჩრდილოვან ეკონომიკაზე საუბრისას მნიშვნელოვანია საბჭოთა საქართველოს ხვედრითი წილიც განისაზღვროს. 1970-1980-იან წლებში ერთიან საბჭოთა მატერიალურ რესურსში საბჭოთა საქართველოს საწარმოო წილი სამჯერ აღემატებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წილს. ბაზრის მონაპოვარი (GDP) ერთ სულ მოსახლეზე სამჯერ აღემატებოდა სხვა საბჭოთა ქვეყნების ერთიანი შიდა საწარმოო ბაზრის მოცულობას. შესაბამისად, მატერიალური რესურსის მიმოცვლის ინტენსივობა და რაოდენობა სამჯერ უფრო მაღალი იყო. (Mars and Altman 1983,Slade 2013)

საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა „ჩრდილოვან ეკონომიკაზე“ და მასში ჩაბმული ადამიანების საქმიანობაზე თვალს ხუჭავდა, რადგან ის, ერთის მხრივ, მცირე შემოსავლების მქონე მოქალაქეებისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს ქმინდა (ამით სახელმწიფო მის მიერ ნებადართული ეკონომიკის წიაღში უშვებდა ლიბერალური ბაზრისთვის დამახასიათებელ ვაჭრობის ფორმას - „სახელმწიფოს

[10] *blat* was an exchange of ‘favours of access’ in conditions of shortage and a state system of privileges. A ‘favours of access’ was provided at the public expense. It served the needs of personal consumption and reorganised the official distribution of material welfare. *Blat* exchange was often mediated and covered by the rhetoric of friendship or acquaintance: ‘sharing’, ‘helping out’, ‘friendly support’,’mutual care’, etc. Intertwined with personal networks *blat* provided access to public resources through personal channels. 37

სახელმწიფოში“. ორი ბაზარი განსხვავებული პრინციპებითა და ლოგიკით მოქმედებდა), ხოლო, მეორეს მხრივ, საბჭოთა პოლიტიკური სისტემა ამ დროისთვის საკმარისად კორუმპირებული იყო და ეკონომიკური ხასიათის დანაშაულისათვის სამართლებრივი დევნის თავიდან აცილება ქრთამით იყო შესაძლებელი. პერიოდულად, სისტემა ცდილობდა თვითგაწმენდის ოპერაცია ჩაეტარებინა, რასაც ხშირად კამპანიური ხასიათი ჰქონდა და ეს კამპანიურობა, კომუნისტური ლიდერების მიერ, კარიერული წინსვლისთვის გამოიყენებოდა. მაგალითად, ედუარდ შევარდნაძის მიერ ქართველი „ცეხავიკის“ ოთარ ლაზიშვილის დასჯა. ამ საქმის შესახებ 1997 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვრცელი წერილი გამოქვეყნდა. ჟურნალისტი ლაზიშვილების საქმის დეტალებს იძიებდა და გამოძიების ხელმძღვანელს გურამ გვეტაძეს ესაუბრა:

> *„ოთარ ლაზიშვილი 1963 წელს თბილისის დინამოს ბაზის დირექტორი იყო. ცნობილი ქართველი ფეხბურთელის სლავა მეტრეველის გადმოყვანა თბილისის დინამოში ოთარ ლაზიშვილის, მისი ძმის, სპორტის მეცენატის, მიშიკო ლაზიშვილისა და ერთ-ერთი ფაბრიკის დირექტორის ირაკლი ნემსაძის დამსახურება იყო. ლაზიშვილი მოგვიანებით მუშაობდა „ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ლაბორატორიის გამგედ. იგი არ წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესის ობიექტს, ეს მოგვიანებით მოხდა, როდესაც დანაშაული გაიხსნა თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკაში. აი როგორ მოხდა ეს: ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა შემნახველ სალაროში წარადგინა ლატარიის ბილეთი, რომელსაც წილად ხვდა მოგება ავტომანქანა „ვოლგა“. ლატარიის ბილეთი ყალბი აღმოჩნდა, რის გამოც საქმე აღიძრა. გაჩხრიკეს მთავარი ინჟინრის წყნეთის აგარაკი, სადაც სამარხში 50 ათასი მანეთი იპოვეს. ბუნებრივია, დაისვა ფაბრიკის შემოწმების საკითხი. აღიწერა მატერიალური ფასეულობანი, ჩატარდა დოკუმენტური რევიზია. თბილისის სავაჭრო ქსელში გამოვლინდა ამ ფაბრიკაში დამზადებული აღურიცხავი*

პროდუქცია. პასუხისგებაში მისცეს ფაბრიკის დირექტორი, მთავარი ინჟინერი, საამქროს უფროსები, ბუჰალტერი, საწყობის გამგე და ზოგიერთი სხვა მუშაკი - სულ 15 კაცი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ჯგუფს კავშირი ჰქონდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუშაკებთან და ამ სისტემის ზოგიერთი საწარმოს, კერძოდ, გარდაბნის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სოფელ ნორიოსა და კასპის ხელჩანთების საამქროს ხელმძღვანელებთან. საქმეში გარეულ სხვა პირებთან ერთად მოხსენიებული იყო ოთარ ლაზიშვილიც, როგორც ამ ჯგუფის ორგანიზატორი. საქმეს იძიებდა ახალგაზრდა ნიჭიერი გამომძიებელი ვახტანგ გვარამია. ოთარ ლაზიშვილს ბრალეულობა დაუმტკიცდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ცდილობდა გამოძიებაზე გავლენა მოეხდინა. მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს"[11] (საქართველოს რესპუბლიკა 1997, N107,3-4.).

ლაზიშვილების საქმის გამოძიების პროცესში უშუალოდ იყო ჩართული მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძეც. ლაზიშვილების საქმე მისი კარიერული წინსვლის ერთ-ერთი წინაპირობა გახდა. შევარდნაძე 1972 წელს ცკ-ს პირველ მდივნად დაინიშნა. როგორც აღვნიშნეთ, ლაზიშვილისა და მსგავსი ტიპის საქმეებს სახელმწიფო მოხელეები კარიერული წინსვლისთვის იყენებდნენ. ასეთ საქმეებს სახელმწიფო განგებ ანიჭებდა გარკვეულ პოლიტიკურ წონას. ხელისუფლება ამ სვლით მოსახლეობის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა, რათა საჩვენებლად დაესაჯა საბჭოთა კავშირში მომრავლებული „ცეხავიკები". ცხადია, ამ ტაქტიკურმა სვლამ არ გაამართლა, რადგან ჩრდილოვანი ეკონომიკა მისი მასშტაბურობით სახელმწიფოს კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასიურობამ საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული მმართველობის სისტემაში შვა სოციალური ფენა - ე.წ. „სპეკულიანტები"და

[11] მოგვიანებით ვახტანგ გვარამიამ მნიშვნელოვანი თანამდებობები დაიკავა. ის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე (1994-1999) და საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო (1999-2004).

,,ცეხავიკები“. სპეკულიანტი იგივე ქორვაჭარია, რომელიც საქმიანობას სახელმწიფოსგან მიტაცებული ქონების რეალიზაციაზე აფუძნებდა. 1961 წლის საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლის მიხედვით სპეკულაცია დასჯადი ქმედება იყო. „სპეკულაცია ეს არის ნედლეულისა და სხვა საშაულებების გამიზნულად შესყიდვისა და გაყიდვის შდეგად მიღბული მოგება. მსგავსი საქმიანობა ისჯება თვისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ორი წლისა, ქონების კონფისკაციით ან მის გარეშე, გამოსასწორებელი შრომით ერთი წლის განმავლობაში ან ჯარიმით არაუმეტეს 3000 რუბლისა”[12] (1961, 57). სპეკულიანტებისაგან განსხვავებით ცეხავიკების საქმიანობა საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯებოდა. ცეხავიკი *цеховики* რუსული სიტყვიდან *цех* მომცრო ზომის საწარმოს აღმნიშვნელია. ცეხავიკები საბჭოთა კავშირის იატაკქვეშეთში პროდუქციას აწარმოებდნენ და შავ ბაზარზე ყიდდნენ(Humphrey 2002; Ledeneva 1998). საბჭოთა ჩრდილოვან ეკონომიკაში ეს ორი სოციალური ფენა ისე გაიზარდა, რომ ერთგვარ ,,საბჭოთა ბურჟუაზიად“[13] ჩამოყალიბდა(ჯგერენაია 2013).

2.2 კანონიერი ქურდები ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში

ამგვარად, ჩრდილოვან ეკონომიკას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და მასთან ბრძოლა, პრაქტიკულად, შეუძლებელიც კი იყო. ამ ვითარებაში საბჭოთა კავშირში კანონიერი ქურდების სუბკულტურა მოძლიერდა. პუბლიცისტი და ისტორიკოსი აკაკი ბაქრაძე ჩრდილოვან ეკონომიკაზე საუბრის დროს სწორად შენიშნავს: როცა სსრკ-ში არაოფიციალურად ქურდობა გამოცხადდა არსებობის ერთდერთ წყაროდ და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა პარვა დაიწყო. პროფესიონალი ქურდი ზნეობრიობის შარავანდედით შეიმოსა. რატომ მოხდა ესე ? იმიტომ რომ პროფესიონალ ქურდს სხვა ქურდებისაგან განსხვავებით ქურდობისათვის სხვა სახელი არ დაურქმევია... როცა რიგითმა მოქალაქემ, უბრალო მშრომელმა ერთმანეთს შეადარა ორი

[12] “Speculation, that is, the buying up and resale of commodities or other objects for the purpose of making profit. This shall be punishable by the deprivation of freedom for a period not to exceed two years, with or without confiscation of property, or by corrective labor for a period not to exceed one year or by a fine not to exceed 3000 rubles.”(1961, 57). URL: https://www.cia.gov/library/readingroom/docs/CIA-RDP65-00756R000400010001-6.pdf

[13]ინტ.სოციოლოგ ემზარ ჯგერენაიასთან (12.03.2013).

ქურდი - პროფესიონალი და არაპროფესიონალი , -აღმოჩნდა რომ პირველი გაციელბით ალალი, გურწფელი და სუფთაა, ვიდრე მეორე. მას ბუნებრივად გაუჩნდა პროფესიონალი ქურდის პატივისცემის გრძნობა“(ბაქრაძე 1990; 104-105) კანონიერი ქურდების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ჩრდილოვანი ეკონომიკის მართვა და რეგულაცია იყო. ამას ისინი მუქარისა და ძალადობის გზით ახერხებდნენ(Slade 2013). ქურდები სელექციურად მოქმედებდნენ. მხოლოდ საბჭოთა ბურჟუაზიას ესხმოდნენ თავს, არჩევდნენ მათ შორის წარმოშობილ დავებს, არასოდეს იჭრებოდნენ სახელმწიფოს კომპეტენციაში, არ მონაწილეობდნენ პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმეების წარმოებაში. კანონიერი ქურდების მიერ საბჭოთა სისტემაში შესრულებულმა ფუნქციამ, ამ „პროფესიით“ დაინტერესებული ადამიანების რიცხვი გაზარდა. ეს პრაგმატული დაინტერესება ნათლად გამოჩნდა საბჭოთა საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკი მაგალითზე. საქართელოში ჩრდილოვანი ეკონონიკის ზრდა და კანონიერი ქრუდების მომრავლება ერთმანეთის კორელაციული იყო. მაგალითად, 1950-1960-იან წლებში სულ 16 კანონიერი ქურდი ,მოინათლა. 1960-1970-იან წლებში ეს ციფრი თითქმის გასამმაგდა და 57-ს მიაღწია. 1970-1980-იან წლებში მიღწეული ნიშნული გაორმაგდა, ხოლო 1980-1990-იან წლებში მონაცემი უცვლელი დარჩა (Slade 2013)

აქვე უნდა ითქვას, რომ 1990 წელს აღრიცხული კანონიერი ქურდების ჯამური მაჩვენებელი 1000-მდე ინდივიდს ითვლიდა (აღრიცხვა ლიტვა, ლატვია, ესტონეთის გარდა სხვა ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ჩატარდა). ამ რაოდენობის 1/3 საქართველოში ცხოვრობდა. ეს მონაცემი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მხოლოდ 2% შეადგენდა (Glonti, Lobjanidze 2004, Slade 2013). ამ პარადოქსის ერთ-ერთი ახსნა საბჭოთა საქართველოში შავი ბაზრისა და მატერიალური დოვლათის მოპოვების მკვეთრ ზრდას უკავშირდება. როგორც აღინიშნა, 1970-1980-იან წლებში ერთიან საბჭოთა მატერიალურ რესურსში საბჭოთა საქართველოს საწარმოო წილი სამჯერ აღემატებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წილს. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის GDP (მთლიანი შიდა პროდუქტი) სამჯერ აღემატებოდა სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების GDP-ს. შესაბამისად, საქართველოში მატერიალური რესურსის

მიმოცვლის ინტენსივობა და რაოდენობა სამჯერ უფრო მაღალი იყო (Mars and Altman 1983; Slade 2013). ასევე პარადოქსულია ისიც ,რომ „საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსში“ ტერმინი კანონიერი ქურდი არ არსებობდა. შესაბამისად, კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა ჩვეულებრივი მოქალაქის მიერ ჩადენილ ისეთ კრიმინალურ ქმედებას, როგორიც იყო ქურდობა, წვრილმანი ხულიგნობა, ყაჩაღობა და კანონიერი ქურდის მიერ ჩადენილ დანაშაულს. ამისგან განსხვავებით, პოლიტიკური რეჟიმი განსაკუთრებული სიმკაცრითა და დიდი სიფხიზლით ეკიდებოდა და აკვირდებოდა პოლიტიკური ან ეკონომიკური დანაშაულის ჩამდენ ინდივიდებს. მათ მიმართ ის სპეციალურ ტერმინოლოგიასაც კი იყენებდა, მაგალითად, „სახელმწიფოს მტრები“ ან სპეკულიანტები.

ჩამოთვლილი ფაქტორები გახდა იმის მიზეზი, რომ საბჭოთა სისტემის ორი მანკიერი მხარე -„საბჭოთა ბურჟუაზია“ და კანონიერი ქურდების სუბკულტურა - ერთმანეთს შეერწყა. აი რას ყვება კანონიერი ქურუდი მისი პროფესიული მოვალეობის შესახებ.

#1. ვის პარავდა, კანონიერი ქურდი? იმ ადამიანს, რომელსაც უჭირს ისედაც არ პარავ, იცი, რომ არ აქვს, დღეს ტაქსებს აყაჩაღებენ, რა უნდა ქონდეს ტაქსს, 20-30 ლარი და იკიდებენ 15 წელ სროკს. ჩვენ დროს სპეკულიანტებს და სხვადასხვა საქმიდან რომ ქონდათ ფული ნაშოვნი, იმ ადამიანებს ვპარავდით. მათთვის ალალი იყო, არასამართლიანად ნაშოვნი ფული უნდა წაართვა, აბა რა უნდა ქნა?! უყურებ მოხუცი პენსიონერი მოდის, იმას რა უნდა მოპარო. მარტივი ლოგიკაა: ვისაც იცი, რომ არ ექნება, არ ვართმევდით. ხოლო ვისაც ქონდა, ქონდა სპეკულიანტობით და მამაძაღლობით, ჩვენც ვართმევდით, უნდა წაგვერთმია, აბა რა უნდა გვექნა.?! (21.03.2013. 17-30:18-30).

კანონიერ ქურდებსა და ბურჟუებს შორის დამყარებულ ურთიერთობაში სახელმწიფოც ჩაერთო. შესაბამისად, ორმხრივი ურთიერთობა (ბურჟუა-ქურდი) სამ მოქმედ აქტორს შორის გაიშალა. კანონიერი ქურდები ბურჟუებისგან ნაძარცვ ფულს „ობშიაკის“ მეშვეობით სახელმწიფოს უბრუნებდნენ. სახელმწიფო ფულის გარკვეულ ნაწილს უკან ქურდების დატყვევებითა და შემდეგ მათი განთავისუფლებით იბრუნებდა. „ობშიაკის“ ფულს, ხშირ შემთხვევაში, კანონიერი ქურდის ციხიდან დასახსნელად იყენებდნენ.

თუმცა ქურდებმა იცოდნენ, რომ „ობშიაკის“ ფულის წაღება მათ ვალად დაედებოდათ და ადრე თუ გვიან უნდა გადაეხადათ.

„ობშიაკის“ ხარჯთაღრიცხვაში ფიქსირდებოდა თანხის ოდენობა და გატანის დრო. თანხის დაბრუნების თარიღი ღიად რჩებოდა, რადგან ქურდმა ზუსტად არასოდეს იცოდა, თუ როდის დააბრუნებდა წაღებულ ფულს (16.03.2013).

ამგვარად, სახელმწიფო ქურდის დაპატიმრებით ქონების მიტაცებული ნაწილის გარკვეულ ოდენობას უკან იბრუნებდა. ამ სქემას პირობითად ვუწოდე „ბერმუდის სამკუთხედი“ ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში, სადაც მოგებაზე ორიენტირებული ურთიერთობა (win win relationship) სამ ,,აქტორს“ შორის მიმდინარეობდა. სახელმწიფოს ამ აქტორების კონტროლი არ შეეძლო, რადგან ბაზრის მასშტაბურობა აღემატებოდა სახელმწიფოს ხელთ არსებულ ბერკეტებს. „ბერმუდის სამკუთხედს“ ამ სქემას შემთხვევით არ ვუწოდებ. „ბერმუდის სამკუთხედის“ მისტერია ხომალდებისა და მფრინავი ობიექტების გაქრობას გულისხმობს და ამ ანალოგიას ჩრდილოვანი ეკონომიკის მაგალითზე ვიყენებ. უკვე ითქვა, რომ კანონიერი ქურდები, საბჭოთა ბურჟუები და სახელმწიფო ამ სამკუთხედის კუთხეებს ქმნიდნენ. სახელმწიფო დაკარგული ანუ მოპარული ქონების რაღაც ნაწილს ისევ კანონიერი ქურდის მეშვეობით იბრუნებდა. ამ ქონების გარკვეული ნაწილი კი კანონიერი ქურდების ინსტიტუტის სიძლიერისა და სოლიდარობის განმტკიცებას ემსახურებოდა. მაგალითად ამ ფულის დიდი ნაწილი კანონიერი ქურდების საერთო ფონდში იყრიდა თავს და კრიმინალური სუბკულტურის მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა. ამით ციხეში ადმინისტრაციისა და ბადრაგის მოსყიდვა ხდებოდა,ასევე ხდებოდა ქუჩაში მილიციისა და ადგილობრივი უბნის ინსპექტორების მოსყიდვაც.

ეს ფუნქციური როლი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში კანონიერ ქურდს განსაკუთრებულ უფლებამოსილებასა და ავტორიტეტს ანიჭებდა. ის დანარჩენ მოქალაქეთა მიერ აღქმული უნდა ყოფილიყო როგორც ხელშეუხებელი და შესაბამისად, საკრალურიც. ის არ მუშაობდა, როდესაც ყველას უნდა ემუშავა, ჰქონდა პოლიტიკური რეჟიმის მხარდაჭერა და თავს ესხმოდა სახელმწიფოს მტრებს. ამის შესახებ 1937 წელს

დაბადებული კრიმინალური ავტორიტეტი იხსენებს (ინტერვიუში კრიმინალური ავტორიტეტის მეტყველების სტილი ზედმიწევნით დაცულია):

#2 საბჭოთა კავშირში ასეთი პოლიტიკა არსებობდა - ყველას უნდა ემუშავა. ქურდები კიდევ ფულს იხდიდნენ, რომ არ ემუშავათ. მეც ვაძლევდი უბნის ინსპექტორს ფულს, რომ დავეფიქსირებინე ლევად, რომ ვითომ ვმუშაობდი. თორემ გაწუხებდნენ, ქუჩაში რომ იდექი, რატომ დგეხარო და მიყავდი და ძალით გამუშავებდნენ, დრო იყო ეგეთი, აბლავებს უკეთებდნენ იმათ, ვინც არ მუშაობდა. (16.03.2013 19-20:20-10)

...

როგორც ირკვევა, 1960-1970-იანი წლებიდან საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში მოქალაქისთვის ალტერნატიული ცხოვრების პერსპექტივა შეიქმნა. ამასთან დაკავშირებით სოციოლოგმა გიგი თევზაძემ(2009) სწორად შენიშნა, რომ საბჭოთა სისტემაში პარტიული და დისიდენტური ცხოვრების გვერდით ქურდული პარადიგმაც არსებობდა.

ქურდული პარადიგმის გავლენის გაძლიერება ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ განაპირობა: 1) საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში წარმოშობილი ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელმაც განსაკუთრებულად საბჭოთა საქართველოში მოიკიდა ფეხი. ამ ფაქტორს ემატებოდა საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში კანონიერი ქურდების საკანონმდებლო სისხლის სამართლებრივი დაუსჯელობაც. ამ ყველაფერმა განსაზღვრა ჩრდილოვანი ეკონომიკის (1960-1970) ზრდასთან ერთად კორელაციურად კანონიერი ქურდების მომრავლება. 2) ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდამ ხელი შეუწყო საბჭოთა სისტემის დასუსტებას. კორუფციული სქემები, რომლითაც ცეხავიკები, კინბინატორები და სპეულიანტები ხელმღვანელობდნენ უკანონო წარმადობას ზრდიდა და არალეგალური ბაზრის მოცულობას აფართოებდა. არალეგალური ბაზრის კონტროლი კი არალეგალური კრიმინალური მეთოდებით, კანონიერი ქურდების მეშვეობით ხდებოდა. ამ და სხვა ფაქტორებს ემატებოდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ჩაკეტილობაც. ეს ჩაკეტილობა ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში თავისუფლებისა და ნონკონფორმიზმის გარკვეულ ხარისხებს წარმოშობდა. ამ ნონკონფორმისტული გზით

1960-1970-იანი წლებიდან მატერიალური და სოციალური კაპიტალის მოპოვებაც კი იყო შესაძლებელი. და შემთხვევითი სულაც არი იყო ის გარემოება, რომ 1960-იან წლებში საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში სრულიად ახალი სალიტერატურო ჟანრი კრიმინალური რომანი იშვა.

თავი 3 - კანონიერი ქურდების რომანტიზაცია: მხატვრული ლიტერატურა, პრესა და ფოლკლორი

შესავალი

1993-2004 წლებში „ქურდული ქრონიკების“ მასიურმა ტირაჟირებამ კანონიერი ქურდების ძალაუფლებისა და პოპულარობის ზრდას შეუწყო ხელი. კრიმინალური ქრონიკები ჯერ კიდევ ადრეული 1990-იანი წლებიდან ეხმაურებოდა ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებას და ამ საკითხის მიმართ მოსახლეობის დიდ ინტერესს აკმაყოფილებდა. 1990-იან წლებში არსებულმა მაღალმა კრიმინოგენურმა ვითარებამ და ბაზრის უკონტროლობამ კრიმინალური ფოლკლორის გავრცელება-გახალხურება განაპირობა. ქურდულ თემატიკაზე შექმნილი სიმღერები ლამის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. კანონიერი ქურდების რომანტიზაცია მნიშვნელოვან წილად მხატვრულმა ლიტერატურამ და პრესამ განსაზღვრა. რომანტიზაცია განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დანგრევის(1991) შემდეგ გაძლიერდა. თუმცა მანამდე არსებობდა ვრცელი ლიტერატურული ტრადიცია რომელსაც საფუძველი 1960-იანი წლებიდან ჩაეყარა. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დანგრევამ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციასთან ერთად სამკითხველო კულტურის ცენზურისაგან განთავისუფლებაც მოიტანა. კრიმინალური სახის ლიტერატურა ეხლა უკვე პრესის ფურცლებზეც გამოჩნდა. კანონიერი ქურდების შესახებ მასიურად იწერებოდა 1993-2004 წლებში გამოცემულ პრესაში. უცენზურობა და ქაოსი ქუჩის ფოლკლორსაც დაეტყო. თუ საბჭოთა სისტემაში ხელოვნების ეს დარგი მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა, პოსტ-საბჭოთა პერიოდში იგი თვითნებურად ვითარდებოდა. ამ პერიოდში გაჩნდა ხმის ჩამწერი და მუსიკის გადამწერი არალეგალური სტუდიები. გამოჩდნენ ახალი შემსრულებლები და ახალი სამუსიკო მიმდინარეობები. მაგალითად რეპი, მძიმე მეტალი და მათ შორის ქურდული შანსონები. ქურდული შანსონების უმეტესობა მეზობელი რუსეთიდან შემოდიოდა, თუმცა კანონიერი ქურდების სუბკულტურის

მეხოტბეები ჩვენთანაც მრავლად იყვნენ. მაგალითად 1990 იან წლებში პოპულარული მომღერალი დათო ხუჯაძე კანონიერ ქურდ ნოდარ ჩორგაშის(ნონო) (1966-2001) უმღეროდა[14].

3.1 მხატვრული ლიტერატურა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩრდილოვანი ეკონომიკის(1960-70) ზრდის პირობებში ლიტერატურაში ახალი ჟანრი გამოჩნდა, 1960 წელს გამოიცა ალექსანდრე იასაღაშვილის დეტექტიური რომანი „მგლის ბილიკი“. „მგლის ბილიკი“ საბჭოთა ბანდიტიზმის შესახებ მოგვითხრობს. აქ პირველად ჩნდება საგამოძიებო და ოპერატიულ საგამოძიებო მოქმედებების მთელი სერია და მოთხრობილია პოლიციის პოლკოვნიკისა და საშიში ბოროტმოქმედის ურთიერთპაექრობის შესახებ. რომანი მგლის ბილიკი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა საქართველოში. მისმა პოპულარობამ პოსტ-საბჭოთა საქართველომდეც მოაღწია. ის გადაიბეჭდა ორჯერ პირველად, 1990 წელს, ხოლო შემდგომ, 2013 წელს. რომანში აღწერილი ისტორია ეხება დეტექტივ არჩილ ჩოხელს და მის მიერ წარმოებულ გამოძიებას. სიუჟეტი გადაიკვეთება რუს კრიმინალურ ავტორიტეტ ვადიმ ურალოვთან. ურალოვი ამ რომანში ჰეროიკულ-რომანტიკულ ფიგურად გვევლინება და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ მებრძოლი გმირია. აღსანიშნავია, რომ რომანის ლიტერატურული კრიტიკა 1961 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ დაიბეჭდა სათაურით „მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ დეტექტიური ლიტერატურის გამოცემას ალ. იასაღაშვილის რომანის „მგლის ბილიკის“ ირგვლივ“. კრიტიკის ავტორი ქ. ქუთაისის პროკურორი ალექსანდრე ჟღენტია. კრიტიკა ეხება დადებითი და უარყოფითი გმირების აღრევას. მისი თქმით, რომანში უარყოფითი გმირები, მაგალითად, ურალოვი უფრო ნებისყოფიან და გამძლე ადამიანად არის წარმოდგენილი, ვიდრე გამომძიებელი ჩოხელი. „გერმან ბაზილი, იგივე ვადიმ ურალოვი, თითქმის ყოველთვის ჯობნის ოპერატიულ მუშაკებს მოსაზრებაში,

[14] დათო ხუჯაძე https://www.youtube.com/watch?v=8eaGrrAJujs

მოქმედებაში, ეს რეციდივისტი, ავაზაკი, მთელი ათეული წლები დაუსჯელია და ყოველი მისი მოქმედება სიკვდილსა და ძარცვას იწვევს“ (ჟღენტი 1961,94).

1960-იან წლებში კრიმინალური ჟანრის რომანში შემოაბიჯა ნოდარ ბუმბაძემ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მის მიერ 60-იან წლებში დაწერილი მოთხრობა „კუკარაჩა“. რომანები „თეთრი ბაირაღები“ (1973) და „მარადისობის კანონი“ (1978) მოგვიანებით, 1970-იან წლებში გამოჩნდა. დუმბაძის შემოქმედებაში „კანონიერი ქურდი“ ძლევამოსილი და ძლიერი პიროვნული ღირსებებით არის წარმოდგენილი. ასეთია მაგალითად, კანონიერი ქურდი მურტალო რომანში „კუკარაჩა“. მას რომანის მთავარი გმირი ინგა კუკარაჩასთან დიალოგში ასე ახასიათებს: “შენ შეგიძლია ყოველდღე ქალს ერთი კალათა წითელი ვარდი მიართვა?

- გაიკვირვა კუკარაჩამ. ზამთარშიც? ზამთარში ცოტა გამიჭირდება.“ (დუმბაძე 1984, 67)

ნოდარ დუმბაძეს არც ციხეში კანონიერი ქურდების ცხოვრება დარჩენია უყურადღებოდ. რომანში „თეთრი ბაირაღები“ (1973) დუმბაძე პირველად გვაწვდის ქურდის, როგორც სოციალისტური მორალის დამცველის იდეას, რაც მოგვიანებით ქურდობის შესახებ სოციალურ და კულტურულ წარმოდგენებში აისახა. რომანში აღწერილია კანონიერ ქურდ ლიმონა დევდარიანისა და „სპეკულიანტ“ შოშია გოგოლაძის დიალოგი. კანონიერი ქურდი საკუთარ კრიმინალურ ქმედებას ამართლებს საბჭოთა ბურჟუაზიის დაყაჩაღებით და სახელმწიფოს დამცველად გვევლინება.

„სპეკულიანტი“(შოშია): - მე სახელმწიფოს ვპარავ, თქვენ კი გაჭირვებულ კაცს!

ქურდი(ლიმონა): - გაჭირვებულს კი არა, შენისთანა დამპლებს ვპარავთ, საკუთარ ფულში რომ არ დაიხრჩონ!

„სპეკულიანტი“(შოშია): - ვშრომობ და ვშოულობ! წეღან არ თქვი, ვიპარავო? შენ რაღად მპარავ?

ქურდი(ლიმონა): - იმიტომ, რომ ,,ქურდის ქურდი ცხონდაო“.

„სპეკულიანტი“: - მე სახელმწიფოს ვპარავ, სახელმწიფო მაინც სხვაა.

ქურდი: - შენ გგონია სახელმწიფო კაცი არ არის? სახელმწიფოს ფული არ უჭირს? მიკვირს, სული როგორ უდგას, შენისთანა ვირიშვილები ვენიდან სისხლს რომ სწოვენ. - სახელმწიფოს ვპარავ! გამოაჯავრა ლიმონამ - სახელმწიფო, შენ რა, მეწველი ძროხა გგონია? თუ არ მეცოდებოდეს, შობელძაღლი ვიყო!

ავტორი - არ ვიცი, თვითონ დევდარიანი რას ფიქრობდა იმ წუთში, მე კი ნამდვილად შემეცოდა საწყალი სახელმწიფო, როდესაც წარმოვიდგინე, როგორ წუწნიდნენ ვენიდან სისხლს შოშია და მისი ძმაკაცები"(დუმბაძე 2011, 118).

აქვე უნდა აღვნიშნოთ 1973-1975 წლებში დაწერილი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია". რომანში სახელმწიფოსაგან განდეგილ კრიმინალ, „აბრაგ" და სამართლიანობის დამცველ დათა თუთაშხიას ამბავია მოთხრობილი. ნოდარ დუმბაძისა და ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოებები სცენაზე დაიდგა და ეკრანებზე გამოჩნდა 1980-1990-იან წლებში. 1970-იან და 1990-იან წლებში იბეჭდებოდა კრიმინალური ჟანრის ნაკლებად ცნობილი სხვა ნაწარმოებებიც, მაგალითად, იორამ ჩადუნელის „საზღაური"(1972) და რომან გვენცაძის „საბედისწერო გასროლა" (1990). ამ უკანასკნელმა საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება იმით მიიპყრო, რომ ავტორი, რომან გვენცაძე (1945-2017) მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა გახლდათ. ის პოლიციის გენერალ-მაიორი, თბილისის შს სამმართველოს უფროსი (1990-92), შსს მინისტრი (1992), შსს უმაღლესი სკოლის უფროსი (1993-1994) და საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის (1999-2004) წევრი იყო. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ გოჩა მანველიძის კრიმინალური რომანი „მგლები". რომანის გამოცემა საქართველოში ვარდების რევოლუციის (2003) პერიოდს დაემთხვა. „მგლების" პირველი ნაწილი 2004 წელს გამოიცა და პოსტ-საბჭოთა საქართველოს ბესტსელერი გახდა. „მგლებში" მოთხრობილია ფეხბურთელ ლუკა გეგეშიძის კრიმინალური ცხოვრების შესახებ. გეგეშიძე უსამართლობის მსხვერპლია, სამართლიანობის დაცვა კი მისი ცხოვრების მიზანი. ის სამართლიანობის აღსადგენად კრიმინალურ სამყაროს მიმართავს და ამისათვის კანონიერი ქურდის ტიტულსაც კი მოიპოვებს. მისი გავლენა მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეზე ვრცელდება.

კანონიერი ქურდების ძალაუფლება, სხვა ფაქტორებთან ერთად, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელთა მხარდაჭერითაც იყო განპირობებული. კანონიერი ქურდების შესახებ საუბრობდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი მსახიობები და რეჟისორები, ე.წ. „საბჭოთა ინტელიგენცია“ და ერთ - ერთი წარმატებული კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი თვითონ იყო ამ ინტელიგენციის წარმომადგენელი. *„ჰიბრიდი, ჯაბა იოსელიანი, საკმაოდ კარგად ცნობილი კრიმინალი(კანონიერი ქურდი) რომელმაც დაარღვია კრიმინალური კანონი(გაგება) (არ ჩაერთო საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში), თვითონ იყო მწერალი და ინტელიგენტი, ის გარდაიქმნა ნახევრად სამხედრო დაჯგუფების ლიდერად, ამან საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ამბოხს ახალი ფარული ეზოთრული მიმართულება შეძინა*[15]*(Manning 2009,2).* კანონიერი ქურდებისა და ქართული ინტელიგენციის ვალენტობა ნათლად გამოჩნდა 2003 წელს კანონიერ ქურდ ილო დევდარიანის ad memoriam წიგნში „ძველი სახლი მთაწმინდაზე - ილო დევდარიანი 1928-1963“. წიგნი 2003 წელს გამოიცა. წიგნში მოთხრობილია კანონიერ ქურდ ილო დევდარიანის, იგივე „ლიმონას“, ცხოვრების ისტორია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წიგნის წინასიტყვაობა ვარდების რევოლუციის(2003) შემდეგ შექმნილი ახალი სახელმწიფო ჰიმნის „თავისუფლების“ (2004) ტექსტის ავტორმა დავით მაღრაძემ დაწერა. ის დევდარიანის ოჯახის ახლობელია და ამ ოჯახისა და ილო დევდარიანის მიმართ განსაკუთრებულ სენტიმენტებს ამჟღავნებს. წიგნში წარმოდგენილია საინტერესო ფოტომასალაც. ერთ-ერთი მათგანია 1961 წელს გადაღებული ილო დევდარიანისა და ცნობილი ქართველი ფეხბურთელის მიშა მესხის ერთობლივი ფოტო. გარდა ფოტომასალისა, აქ თავმოყრილია საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების, მსახიობებისა და პოეტების შეფასებებიც. მაგალითად, ვახუშტი კოტეტიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი და გია ბურჯანაძე კანონიერი ქურდის მიმართ სიყვარულს არ მალავენ და მას კაცურობისა და ვაჟკაცურობის მაგალითად წარმოაჩენენ (ძველი სახლი მთაწმინდაზე 2003,15-16).

---

[15] ‘hybrid’, Jaba Ioseliani, a well-known criminal (‘thief of the law’, Georgian *k’anonieri kurdi*, Russian *vor v zakone*) breaking the criminal laws of non-engagement with public political life, who was himself also a writer and *intelligent* turned paramilitary leader, gives the coup another hidden, esoteric dimension.pp. 2.

აღსანიშნავია ,რომ 2005 წლიდან დაწყებული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელწიფო კამპანია კანონიერი ქურდების მარგინალიზაციასაც ემსახურებოდა. ამ პოლიტიკამ კრიმინალური რომანის შინაარსზეც იქონია გავლენა. 2011 წლიდან კრიმანალური რომანის მეშვეობით კანონიერი ქურდებისა და ამ სუბკულტურის დაკნინებას ცდილობდნენ დათო კოვზირიძე - „გელუჩა“ (2011) და თამარ თორაძე - „ვერელი თორაძეები“ (2015). თამარ თორაძის წიგნის „ვერელი თორაძეების“ შესახებ ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებ. ამჯერად შევჩერდები დავით კოვზირიძის ნოველათა კრებულზე. „ტუალეტში საკითხავი ლიტერატურა“ - ასე ჰქვია ამ გამოცემას. მასში მოთხრობილია უჩა თიკანაძის, ე.წ. „ლოშადას“ ისტორია. ამბის ერთ ეპიზოდში „ლოშადა“ ქ. თბილისის N4 საშუალო სკოლის მე-10 ა კლასის მოსწავლე ნუცა კალმახელიძის მეგობრობის დღიურს ავსებს. ნუცა კალმახელიძის დღიურიდან:

„სახელი გვარი: უჩა თიკანაძე

მეტსახელი: ლოშადა

რა უბნელი ხარ: თბილისელი ვარ ძმაო.

რა გევასება: ბლატაობა.

რა არ გევასება: ნასედკები.

შენი სიმპატია: გია გვაძავა.

ანტიპატია: ძაღლები, როდიონოვი.

რაზე ოცნებობ: სკოლა ღირსეულს გადავაბარო.

საყვარელი წიგნი: მგლის ბილიკი.

რას ვერ აპატიებდი მეგობარს: ნაბოზვრობას.

მეგობარმა რომ გიღალატოს, რას იზამ: მუხლში ვესვრი.

ვინ გინდა გამოხვიდე: განაბი.

რა გაგიხარდა ბოლოს: წიკვინამ რომ მოაგვარა“ (კოვზირიძე 2011, 8-9).

რაც შეეხება თამარ თორაძის წიგნს „ვერელი თორაძეები“ (2015), მასში 1991-1992 წლებში ქ. თბილისში მცხოვრები ოჯახის, ძმები თორაძეების, ისტორიაა მოთხრობილი. ძმები თორაძეები დაუპირისპირდებიან ე.წ. „ბოროტების საძმოს“ და ამ კონფლიქტის მოგვარებაში კანონიერი ქურდები ჩაერევიან. საქმეს არჩევს იმხანად ცნობილი კანონიერი ქურდი პაატა ჩლაიძე. წიგნი საინტერესოა მასში მოცემული ავთენტური დიალოგით კანონიერ ქურდსა და ძმებ თორაძეებს შორის. დიალოგში იკვეთება ქურდის მიმართ პატივისცემაც და უპატივცემულობაც. დიალოგი თამარ თორაძემ მათ სახლში კონსპირაციულად ჩაიწერა. მაშინ ის 13 წლის იყო. გარდა ამ დიალოგისა, წიგნში მოთხრობილია ძმები თორაძეების კრიმინალური ცხოვრების შესახებ ვრცელი ისტორიაც. ასევე აღწერილია თორაძეების მთელი ოჯახის ტრაგიკული ცხოვრების ამბავიც. თორაძეების ოჯახი 1992 წელს ჩაცხრილეს. განადგურებული თამარ თორაძე შვებას ლიტერატურაში პოულობს და ამხელს კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ბანდფორმირებების ეპოქას პოსტ-საბჭოთა საქართველოში.

3.2 პრესა და ფოლკლორი

1993-2004 წლებში „ქურდული ქრონიკების“ მასიურმა ტირაჟირებამ კანონიერი ქურდების ძალაუფლებისა და პოპულარობის ზრდას შეუწყო ხელი. კრიმინალური ქრონიკები ჯერ კიდევ ადრეული 1990 იანი წლებიდან ეხმაურებოდა ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებას და ამ საკითხის მიმართ მოსახლეობის დიდ ინტერესს აკმაყოფილებდა. 1993 წლიდან 2003 წლამდე გამოდიოდა ისეთი გაზეთები, როგორიც იყო: „კრიმინალური ექსპრესი“ (1998), „კრიმინალი და ეკონომიკა“ (1997-1998), „კრიმინალი და კორუფცია“ (1999-2003), „კრიმინალი და პოლიცია“ (2003-2004), „კრიმინალური გაზეთი“ (1996-1998), „კრიმინალური კოშმარი“ (1998-2004), „კრიმინალური ქრონიკა“ (1993-2002), „კრიმინალური ჯოჯოხეთი“ (1997-2003). ეს გაზეთები ვარდების რევოლუციის (2003) შემდეგ საგაზეთო ჯიხურებიდან გაქრა. თუმცა

მათი ადგილი და ფუნქცია სხვა გაზეთებმა შეითავსეს. მაგალითად, გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (1992-2017) და „კვირის პალიტრა“ (1995-2017) სპეციალურ გვერდებს უთმობდნენ კრიმინალური ქრონიკის მიმოხილვებს. კრიმინალური გაზეთის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო კანონიერი ქურდების პოზიტიური განდიდება, რაც სიახლე სულაც არ იყო. ამას ორი მიზეზი განაპირობებდა: პირველი - 1990-იანი წლების ქაოსში კანონიერ ქურდებს კულტურული გმირის ფუქნცია უნდა ეკისრათ და სოციალური წესრიგისა და სამართლის სადარაჯოზე დამდგარიყვნენ; მეორე - კანონიერი ქურდების ჰეროიკულობა მკითხველისთვის მიმზიდველი იყო. მიმზიდველობას კი განაპირობებდა ის, რომ მათი საქმიანობა გასაიდუმლოებული იყო, იცავდნენ ომერტას პრინციპს და საჯარო გამოსვლებს ერიდებოდნენ. ეს ყველაფერი განსაზღვრავდა გაზეთების კომერციულ წარმატებას. აქვე უნდა ითქვას, რომ გამომცემლები არ ერიდებოდნენ კანონიერი ქურდების ეპითეტებით შემკობას, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მათ შესახებ ინფორმაცია დაუზუსტებელი წყაროებიდან მომდინარეობდა. მაგალითად, გაზეთი „კრიმინალური ჯოჯოხეთი“ (1997-2003) აქვეყნებს ვრცელ წერილს „არსენა ოძელაშვილად დარჩება“ (1999). შემთხვევითი სულაც არ იყო ის გარემოება, რომ წერილის ავტორმა კანონიერი ქურდი , კულტურულ გმირს, ვაჟკაცობისა და კაცობის ეტალონს არსენა ოძელაშვილს შეადარა. სინამდვილეში წერილი ეხება კანონიერ ქურდ ჯემალ (არსენა) მიქელაძეს. წერილის პირველი გვერდი გაფორმებულია ფოტომასალით - მასიური ლომის თავის ფოტოს გვერდით მომცრო ზომის იარაღისა და არსენა მიქელაძის ფოტოებია გამოსახული. ცნობისათვის, არსენა მიქელაძე თბილისში 1993 წელს მოკლეს. მისი ორი შვილი ჯემალი (ჯემო) და მამუკა მიქელაძეები კანონიერი ქურდები არიან. ამავე ქურდის შესახებ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2001 წლის ოქტომბრის ნომერში, „ბაბუებისა და შვილიშვილების“ გრაფაში, ვკითხულობთ ვრცელ წერილს სათაურით „ბაბუაჩემის, არსენა მიქელაძის მკვლელობა“. სტატიის ავტორი ამჯერად არ არის დაფარული. ამ შემთხვევაში ჟურნალისტმა მაია კახიძემ ხრიკს მიმართა და კანონიერი ქურდის ოჯახის წევრს, მის შვილიშვილს, ნადია მიქელაძეს, ესაუბრა. კანონიერი ქურდის ოჯახის წევრის მიერ ქურდის შესახებ მოთხრობილი ამბავი, ან ისტორია დასაშვებია, რადგან ის თავად ქურდის მიერ

დუმილის, ანუ ომერტას პრინციპის დარღვევად არ ითვლება. შესაბამისად, ინფორმაცია კანონიერი ქურდების შესახებ მეორადი წყაროების მეშვეობით იქმნება და ხშირ შემთხვევაში, დაუზუსტებელია. ამ მხრივ გამონაკლისი იყო კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი. ზოგადად, ჯაბა იოსელიანი კანონიერი ქურდების სუბკულტურაში ანომალიურ მოვლენას წარმოადგენდა. ის გახლდათ პროფესორი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 1992 წელს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე გახდა. ჯაბა იოსელიანი პრესასთან საუბარს არ ერიდებოდა. მისი პიროვნული პოპულარობა დიდწილად კანონიერი ქურდის სტატუსმაც განსაზღვრა.

კანონიერი ქურდების სუბკულტურას გავლენა მხოლოდ ლიტერატურაზე არ ჰქონია. ამ თვალსაზრისით მუსიკაც საინტერესოა. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კომპოზიცია სახელწოდებით „ასეთია ქურდი კაცის ბედი“ (ტექსტის ავტორი პეტრე გრუზინსკი) ფილმიდან „ბედისწერა“ (1959). ეს სიმღერა 1990-იან წლებში ახალი არანჟირებით ხელახლა ჩაიწერა და ახალ სოციალურ კონტექსტში რეალიზდა როგორც სუბკულტურის ერთგვარი ჰიმნი. ამ სიმღერის გავლენა ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებაზეც კი აისახა. ამის მაგალითია სიმღერა „ამო“ 2001 გამოსული ალბომიდან, რომელშიც გამოყენებულია პასაჟი პეტრე გრუზინსკის ტექსტიდან „ასეთია ქურდი კაცის ბედი“.

„ციხეს რად უნდა რკინის კარები,

მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები

გავტეხავ ციხეს, გავიპარები,

შენ მე ვერ დამიჭერ შენ!“ (ჩარკვიანი 2001).

ფოლკლორიზდა და გახალხურდა ციხის თემატიკაზე შექმნილი სხვა სიმღერებიც: „ჭიანჭველა დაეჯახა სპილოს“, „რომ შემისრულდა ჩვიდმეტი წელი“ და მიხეილ კრუგის ქურდული შანსონები, მათ შორის „ვლადიმირის ბაზარი“ (владимирский централ). ზოგადად, ქართულ სოციალურ კონტექსტზე რუსული კულტურის გავლენა საკმაოდ დიდია. ეს ტენდენცია ყველაზე თვალსაჩინოა კანონიერი ქურდების სუბკულტურის

მაგალითზე და ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ფოლკლორის ანალიზი. პრაქტიკულად, ფოლკლორული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი პოპულარობა მიხეილ კრუგის შემოქმედებამ სწორედ საქართველოში შეიძინა. მისი ზეგავლენით არაერთი მუსიკალური ნაწარმოები შეიქმნა. ცხადია, შესრულების მანერითა და ხასიათით ისინი ქართული მუსიკალური ნაწარმოებებია. მათ ხალხურობაზე, ფოლკლორიზაციის ხარისხსა და პოპულარობაზე გავრცელების გეოგრაფიაც (ვაგზლის მოედანი, ლილოსა და სამგორის ბაზრები) მეტყველებს.

...

კრიმინალური რომანის დაბადება საბჭოთა საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის (1960-1970) გაძლიერებას დაემთხვა. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კანონიერი ქურდების პოპულარიზაციას. კრიმინალური რომანის დაბადებამ კი კანონიერი ქურდების შესახებ ზეპირი ისტორიების შექმნაც განაპირობა. ეს ისტორიები ნარატიული ხასიათისაა და მითებითა და ლეგენდებით არის გაჯერებული. მათი მეშვეობით კანონიერი ქურდების სუბკულტურის შესახებ საზოგადოებრივი აზრიც კი შეიქმნა. 1990 იან წლებში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე კრიმინოგენულმა ვითარებამ, უცენზურობამ და სამომხმარებლო ბაზრის უკონტროლობამ კრიმინალური პრესის მასიური ტირაჟირება და ქურდულ თემატიკაზე შექმნილი ფოლკლორის(ქურდული შანსონები) საზოგადოებრივ სივრცეებში გაჟღერება განაპირობა. ამ პერიოდში კანონიერი ქურდების სუბკულტურამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობაში ღრმად შემოაბიჯა.

თავი 4 - კანონიერი ქურდების სუბკულტურა(1991-2003)

შესავალი

1991 წელს საბჭოთა კავშირი სამოცდაათწლიანი არსებობის შემდეგ დაიშალა. „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად გამოვიდნენ, მათ შორის იყო საქართველოც. პოსტ-საბჭოთა საქართველო საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა, რასაც მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია. პოლიტიკურ ტრანზიციას სამოქალაქო ომი და ყოფილ ავტონომიებში, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ეთნიკური კონფლიქტები მოჰყვა. არც საბჭოთა გეგმიური ეკონომიკიდან ლიბერალური ბაზრის პრინციპებზე გადასვლას ჩაუვლია უმტკივნეულოდ. პოლიტიკურ ქაოსს ეკონომიკური კრიზისიც დაემატა და ქვეყანა კოლაფსში აღმოჩნდა. საზოგადოებას პრობლემა გაუჩნდა სოციალური წესრიგის მხრივაც. საბჭოთა სოციალისტური მორალი ახალ სოციალურ რეალობას ვერ შეუთავსდა. სახელმწიფომ ძველი ფასეულობების ახლით ჩანაცვლება ვერ მოახერხა. საბოლოო ჯამში საზოგადოება სოციალური ანომიის პირისპირ აღმოჩნდა, სადაც ერთადერთი ტრადიციული და ამავე დროს გამოცდილი ფასეულობათა სისტემა არაფორმალური, ანუ ქურდული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევასთან ერთად ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში შექმნილი სოციალური ქსელი არ გამქრალა. ამასთან დაკავშირებით სტივენ ჯონსი (2013) შენიშნავს, რომ 2002-2003 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 64% ჩრდილოვან ეკონომიკაში იქმნებოდა. ავტორი ასევე საუბრობს საბჭოთა კავშირის პირობებში დახელოვნებულ ცეხავიკებსა და სპეკულიანტებზეც. თუმცა აღმოჩნდა, რომ „ყოფილი „დელეცები“ და „მეწარმე კომბინატორები“ საბჭოთა კავშირის შავი ეკონომიკის პერიოდში თაღლითობასა და უკანონო საქმიანობაში დახელოვნებული მცოდნეები სულაც არ წარმოადგენდნენ იმ „სამეწარმეო ნიჭს“, რაც ლიბერალურ ბაზარს სჭირდებოდა“ (ჯონსი 2013,254).

4.1 კრიმინოგენური ვითარება საქართველოში - 1991-2003 წლებში

1980 - იანი წლების მიწურულს კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენის შესახებ წერდა პუბლიცისტი და ისტორიკოსი აკაკი ბაქრაძე ნაშრომში „მწერლობის მოთვინიერება“. ის ირონიით შენიშნავდა - „დაპატიმრებულ ახალგაზრდა მპარავს ეკითხებიან, ვინ მიგაჩნიათ ყველაზე მისაბაძ ადამიანად ქუთაისში? კუკურია თვალება... ჯონი ჭინჭველაძე და... . ვინ არიან ისინი? ქურდული ელიტის წარმომადგენლები“[16] (ბაქრაძე 1990,105).კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა 1990 იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა;

(1) პოსტ-საბჭოთა საქართველოს სისუსტე განსაკუთრებულად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლად არსებობის პირველ ხუთ წელს (1992-1997) დაეტყო. სუსტი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მოქალაქეთა წინაშე მდგარი ურთულესი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას. სახელმწიფო ინსტიტუტები სტაბილურად ვერ ფუნქციონირებდნენ, რადგან ქვეყანაში ომის შემდგომი ვითარება იყო (Goltz 2006; Jones 2013).

(2) ურბანული სივრცის მოსახლეობა გაიზარდა და ურბანულ ნიადაგზე წარმოშობილი სტატუსური განსხვავებები განსაკუთრებით გამოიკვეთა. მაგალითად, ელიტარულ დასახლებებში და იქ არსებულ სკოლებში გამოჩნდნენ სრულიად უცხო სიციალური იდენტობისა და გამოცდილების მქონე ინდივიდები. მაგალითად, ვაკის რაიონულ საზღვრებში მდებარე სკოლაში გლდანში, ან ნაძალადევში მცხოვრებ მოწაფეს სწავლა უპრობლემოდ შეეძლო. ასევე, თბილისის ცენტრალურ უბნებში კონფლიქტის ზონებიდან დევნილი მოსახლეობა ჩასახლდა. დევნილმა მოსახლეობამ თბილისში არსებულ საბჭოთა სანატორიუმებსა და სასტუმროებს შეაფარა თავი. ამ ობიექტების უმრავლესობა თბილისის ცენტრალურ უბნებში იყო განთავსებული. მაგალითად, „ტურბაზა ვაკე“ ბაგებში, სასტუმრო „აფხაზეთი“ ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სასტუმრო „ივერია“ რუსთაველის მოედანზე, „სტუდ-ქალაქი“ - სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ჭავჭავაძის გამზირზე და ბაგებში. ასევე იყო თბილისის ზღვის

[16]„კუკურია თვალება“- კანონიერი ქურდი, ზედაშიძე გიორგი (1927-2016).(შსს 2013)

დასახლება და დევნილთა განსახლების სხვა შედარებით მომცრო ზომის ობიექტები, რომელთა უმეტესობა თბილისის გარეუბნებში მდებარეობდა. დევნილთა დასახლებები ერთგვარ დახურულ სივრცეებს ქმნიდნენ და გეტოს ტიპის ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი სოციალური ცხოვრება სრულიად ამოვარდნილი იყო თბილისის ცენტრალური უბნების საცხოვრებელი რიტმიდან. ამ სივრცეებში მცხოვრებ საზოგადოებას მუდმივად ჰქონდა „სტატუსის ფრუსტრაციის“(Cohen 1955) პრობლემა. ამ პრობლემის კომპენსირებას ახალგაზრდები კანონიერი ქურდების კრიმინალური სუბკულტურის მეშვეობით ცდილობდნენ, ქმნიდნენ მცირემასშტაბიან დაჯგუფებებს და უპირისპირდებოდნენ ელიტარულ უბანში მცხოვრებ სხვა ახალგაზრდებს. ვაკეში სტატუსის ფრუსტრაციის პრობლემა მხოლოდ დევნილებს არ ჰქონიათ. მსგავსი პრობლემა რულარული სივრციდან საცხოვრებლად თუ სასწავლებლად ჩამოსულ ყველა მოქალაქეს ჰქონდა. მაგალითად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ვაკეში 1950-1960-იან წლებში ჩამოსახლებული რაჭველები. მათი განსახლების არეალი იყო ზემო და ქვემო ვაკის ტერიტორიები იყო. ეს სივრცეები ვაკის ერთგვარი გარეუბნებია და მაღალი რულარული მიკუთვნებულობით გამოირჩვა.მაგალითად, წყნეთის ქუჩა ვაკე-საბურთალოს გზაზე და რაზმაძის, ტაბიძისა და ცხვედაძის ქუჩები კუსტბის მთის ფერდობზე.

(3) 1992 წელს საქართველოს სამხედრო საბჭოს ერთ-ერთი წევრი კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი იყო. ჯაბა იოსელიანი ამავე დროს თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი და რამდენიმე წიგნის ავტორიც გახლდათ. ის პრესასთან საუბარს არ ერიდებოდა. მისი პოპულარობა დიდწილად პიროვნულმა თვისებებმა განსაზღვრა და კანონიერი ქურდების სამოქალაქო რომანტიზაცია გააღრმავა. ჯაბა იოსელიანის ფიგურამ მნიშვნელოვნად შეარყია კანონიერი ქურდების სუბკულტურის იდეოლოგიაც. ჯაბა იოსელიანი არ წარმოადგენდა საშუალო და დაბალი ფენის ხმას, ის პოლიტიკური ელიტის ნაწილი იყო, გამოირჩოდა დისიდენტური ქცევით და საბჭოთა ინტელიგენციის ნაწილიც გახლდათ. ჯაბა იოსელიანი კანონიერი ქურდების სუბკულტურაში ანომალიურ ფიგურად შეიძლება ჩაითვალოს. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.

(4) 1990-იან წლებში კანონიერი ქურდები და მათ შორის ჯაბა იოსელიანიც საზოგადოებაში აზრის შემქმნელთა (საბჭოთა ინტელიგენცია) მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მათ პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ პერიოდის ბეჭდვით მედიას. მათი საშუალებით მასიურად ხდებოდა კრიმინალური ქრონიკების ტირაჟირება. ასევე უკონტროლოდ ვრცელდებოდა ქურდულ თემატიკაზე შექმნილი სიმღერები, რამაც მათ ფოლკლორიზაციას შეუწყო ხელი.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების პირობებში კანონიერი ქურდების სუბკულტურამ სამოქმედო სივრცე გაზარდა. ისინი არჩევდნენ სამოქალაქო დავებს, ოჯახურ კონფლიქტებს და ახალგაზრდებს შორის მომხდარ დაპირისპირებებს. ამ და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით კანონიერი ქურდების სუბკულტურა გახალხურდა.

კანონიერი ქურდების სუბკულტურის გახალხურებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ სუბკულტურის გამოცდილებაზე კრიმინალური და ნახევრად კრიმინალური ბანდ ფორმირებები აღმოცენდა. მაგალითად, „მხედრიონი“ რომელსაც კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა. ასევე შეიქმნა ტერიტორიულ ნიადაგზე შექმნილი „საძმოები“, რომელთაც, ტერიტორიის შესაბამისად, ასევე ეწოდებოდათ „ვერის საძმო“, „ვაკის საძმო“, „გლდანის საძმო“ და ა.შ. (Manning 2009).

ეს ფორმირებები ერთმანეთს ძალადობაზე მონოპოლიისთვის ბრძოლაშიც კი ეცილებოდნენ, სადაც ძალაუფლება იარაღისა და ადამიანური რესურსის სიმრავლეზე იყო დამოკიდებული. სწორედ ამ პერიოდში განიცადეს კანონიერმა ქურდებმა მნიშვნელოვანი დანაკარგი. სლეიდი (2012) შენიშნავს, რომ 1994-1997 წლებში მოკლული კანონიერი ქურდების რაოდენობა ჯამში 99 შეადგენდა, რაც სამჯერ აღემატებოდა მანამდე ან მის შემდგომ სამწლიან პერიოდში მოკლული ქურდების რაოდენობას(Slade 2012).

მიუხედავად ამ დანაკარგისა, კანონიერი ქურდების მიმართ სამოქალაქო დაინტრესება არ შენელებულა. კანონიერი ქურდები სამოქალაქო ნდობით სარგებლობდნენ რადგან ის ერთადერთი იყო სხვა მრავალ კრიმინალურ დაჯგუფებას შორის რომელსაც მკვეთრად

გამოხატული იდენტობა ჰქონდა, მკაცრად იცავდა ნორმატიული ცხოვრების წესებს და მითებითა და ლეგენდებით გაჯერებული ისტორიებით იყო გამდიდრებული. ამ პერიოდისათვის მოშლილმა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურამ, ქვეყანაში არსებულმა ღრმა ენერგო და ეკონომიკურმა კრიზისმა და უმუშევრობის მაღალმა მაჩვენებელმა ქუჩის პოპულაციის ზრდას შეუწყო ხელი. ამ პერიოდიდან გავრცელდა საქართველოს სკოლებში თამაში „ქურდი ზონაში“: ამ თამაშით 11-13 წლის ბიჭები ციხის სოციალური ცხოვრების დრამატულ პერფორმანსს წარმოადგენენ. ისინი კანონიერი ქურდის როლს რიგრიგობით მოირგებენ, დებატების ტექნიკას და კრიმინალური ჟარგონის მეშვეობით კრიმინალური ცხოვრების თავისებურებებს ეზიარებიან და ითვისებენ. რაც შეეხება კარიერულ არჩევანს, ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 1993 წელს ქ. ქუთაისში გამოკითხულ სკოლის მოწაფეთა 25% ღიად აცხადებდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ კანონიერი ქურდი უნდოდა გამხდარიყო (Slade 2007).

ამ პერიოდში შექმნილ სოციალურ წესრიგს გამოეხმაურა მომღერალი „უცნობი“ (გიორგი გაჩეჩილაძე) სიმღერით „ვაგონი მიქრის“ (2001).

რეჩიტატივი:

„ტიპია პაგონი, ნუ არაფრის გამგონი,

არ ესმის ჟარგონი, შუბლი აქვს კარდონის,
გამვლელებს ესვრის, ტანი აქვს ნესვის,
შნირო ხო გესმის, პლედი და გესლი.
აქ არის კუპეში, გველი ჰყავს უბეში,
არამაქვს ნუგეში, ვისვრები წუმპეში,
მეზობელ კუპეში, აჰა, ვიპოვე ნუგეში,
გორდება დუბეში, ვიწვები წუთებში,
გოგონა ჩუსტებში, ბიჭები ქუჩებში,
ბინძური დუშებში, ჩეჩენი ბუნკერში,
დრო არ მაქვს ფიქრის, ვაგონი მიქრის...“ (უცნობი 2001)

პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიაციის პირობებში კანონიერი ქურდების ფუნქციური ადგილის პოვნა გახდა საჭირო. კანონიერმა ქურდებმა შეითვისეს საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალური მორალის დამცველის ფუნქცია. მათი სამართალი ეფექტიანი და სარწმუნო იყო.

აი რას ყვება ამ პერიოდში მოღვაწე კანონიერი ქურდი საქმის გარჩვის შესახებ.

კითხვაზე თუ - რა ტიპის საქმეები ირჩეოდა კანონიერ ქურდთან ? გვპასუხობს:

> *„პა ჟიზნენი ყველა საქმე, მაგალითად ესეთი შემთხვევა იყო, ქალს შეყვარებული ყავდა ანუ საყვარელი და ქმარიც. კაცები ერთმანეთს ცემდნენ და ქალმა უთხრა წადით ქურდთანო , რომ მოვიდნენ და მითხრეს რაში იყო საქმე მეც ვუთხარი, ქმარს შენ კენტ რიცხვებში გყავდეს და საყვარელს შენ ლუწშითქო, (და იცინის) არასერიუზულია ეგ როგორ უნდა გაარჩიო. მაგალითად ასევე იყო ქალის გამო მოუვიდათ კაცებს კონფლიქტი და მოსულან და მე ვუთხარი ქალს რომელიც უყვარს იმისი იყოსთქო. ჩვეულებრივ რა როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში. რა უნდა მტყვან მართალის გარჩევას. ..... მეზობლები, უბნელები სულ უცხო ადამიანები მოდიოდნენ და სამართალს ითხოვდნენ. ჩემი სახელით ადამიანებს სიგარეტი და სასმელი აუღიათ, და მერე მომსვლია ხმა რომ ჩემი სახელით აუღიათ და დამიბარებია. სახელი ავტორიტეტი მქონდა. მაგალითად ვიღაცეები ქართამსაც იღებდნენ საქმის გარჩევაში და სამართალს ადგენდნენ.*

- *ეგ როგორ თუ სამართლიანი უნდა იყო და თან ფულს იღებ მიკერძოებული ხარ ?*

> *არა, ამას იმით ხსნი, რომ არიფს ართმევ ფულს,გააჩნია საკითხს და სიტუაციას. არიფს უნდა წაართვა აბა რა უნდა ქნა. სპეკულიანტებს და ვაჭრებს რომ წილში*

უჯდებიან რა ეგ არ ნიშნავს ვაჭრობას და იმის ფულის აღებას ? მარა არიფს ართმევ და ეგ მოსულა".(09.03.2013/13.00-16.00)

კანონიერი ქურდების გარკვეული ნაწილი 1990 იანი წლებიდან საბაზრო ეკონომიკის ჩანასახოვან ფორმებს ადვიალდ მოერგო. ისინი იქცეოდნენ, როგორც საბჭოთა ბურჟუები. დაისაკუთრეს უძრავი ქონება, დაეპატრონნენ ბიზნესსფეროებს და მფლობელობაში აიღეს საფეხბურთო კლუბებიც კი. საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის ტორპედოსა" და „თბილისის თბილისს" კანონიერი ქურდები ხელმძღვანელობდნენ. ისინი ნიშნავდნენ მთავარ მწვრთნელს, მონაწილეობდნენ საფეხბურთო ტრანსფერებში და გავლენა ჰქონდათ საფეხბურთო მატჩების შედეგებზეც კი. ამით იზრდებოდა ქურდული სალარო ე.წ. ობშიაკი.

ახალ რეალობაში კანონიერი ქურდების გარკვეული ნაწილი ისევ ძველ ქურდულ გაგებას მისდევდა - უარს ამბობდა ქონებასა და ბიზნესსაქმიანობაზე. ამ გაგების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჩრდილოვანი ეკონომიკის მხარდამხარ ჩამოყალიბდა. ახალი, საბაზრო ეკონომიკის, რეალობა სხვა გამოწვევებს აწესებდა და ქურდული კი მოდიფიცირებას საჭიროებდა. ამ კოლეგიალურმა დაპირისპირებამ დღევანდელობამდეც მოაღწია. „ნუვორიში" ქურდები ძველი საბჭოთა სოციალისტი ქურდების მიერ გაკიცხვის ობიექტნი არიან და ეჭვქვეშ აყენებენ ახალ რეალობას. ამ რეალობაში ძველი ქურდების ძალაუფლება ძალიან მცირეა და მათი წუხილი რეალურ ქმედებებს მოკლებულია.

...

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 1990-იან წლებში, პოლიტიკური ქაოსისა და სოციალური დესტაბილიზაციის პირობებში, კანონიერი ქურდების მიმართ მაღალი სამოქალაქო ნდობა ჩამოყალიბდა. ეს რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა. (1) ქურდების დაუწერელი ნორმები ერთადერთი სტაბილური ფასეულობათა სისტემა იყო, რომელიც მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პრობლემებს ეფექტიანად აგვარებდა; (2) კანონიერი ქურდების სუბკულტურა ისტორიული გამოცდილების მქონე იყო. მისი ეს

გამოცდილება ჩრდილოვან ეკონომიკაში შესრულებული როლიდან მომდინარეობდა, რომლის ძირითადი ფორმები პოსტ-საბჭოთა კონტექსტში წარმატებით გადმოვიდა. ეს ძირითადად ბიზნესის დაცულობასა და პროტექციაში გამოიხატებოდა; (3) კანონიერი ქურდები საზოგადოებაში აზრის შემქმნელთა (საბჭოთ ინტელიგენცია) მიერ იყვნენ მხარდაჭერილნი. ამას თან ერთვოდა კრიმინალური ქრონიკებისა და ფოლკლორის მასიური ტირაჟირებაც. ამ ორმა ფაქტორმა კანონიერი ქურდების სუბკულტურის პოპულარობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი; (4) კანონიერი ქურდების სუბკულტურა მითებისა და ლეგენდებისგან შედგებოდა და ეს ბუნდოვანი ისტორია მის მიმართ სამოქალაქო ინტერესს ამძაფრებდა. ზემოთ ჩამოთვლილმა ოთხმა ფაქტორმა ამ სუბკულტურის მიმართ მოზარდების ინტერესი გაზარდა.

თავი 5 - კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლა (2005-2012)

შესავალი

2003 წელს საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა. ვარდების რევოლუციის (2003) შედეგად მოსულ ხელისუფლებას მძიმე პოლიტიკური მემკვიდრეობა ერგო. პოლიტიკური სიმძიმე პირველ რიგში განპირობებული იყო ავტონომიურ რესპუბლიკებში, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებული კონფლიქტებით. პრობლემას ქმნიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაც, რომლის ერთპიროვნულ მმართველობას რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე (1991-2004) განსაზღვრავდა. საქართველო სუსტი სახელმწიფოებრივი მოწყობის პირობებში პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურ ფუნქციონირებას ვერ უზრუნველყოფდა. ამ პირობებში კანონიერი ქურდების სუბკულტურა მისი ალტერნატიული წესებითა და კრიმინალური მეთოდებით თითქმის მთელს ქვეყანას აკონტროლებდა.

5.1 ვარდების რევოლუცია(2003)

2003 წლის გაზაფხულიდან პოსტ-საბჭოთა საქართველო მასიურმა სოციალურმა მღელვარებამ მოიცვა. სოციალური ამბოხი განპირობებული იყო გაზრდილი უმუშევრობითა და კორუფციის მაღალი დონით. მღელვარება გადაიზარდა საპროტესტო მოძრაობაში სახელწოდებით „კმარა!“ 2003 წლის 23 ნოემბერს განვითარებული მოვლენების შედეგად საქართველოს მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. ეს მოვლენა ისტორიაში ვარდების რევოლუციის (2003) სახელით შევიდა. ახალი ხელისუფლების მიზანი ქვეყანაში ძირეული რეფორმების გატარება იყო, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კრიმინალური ზეგავლენის მქონე სუბიექტების

პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემიდან ამოძირკვა გახდა. ეს ეხებოდა ინსტიტუციურ კორუფციას და კრიმინალურ სამყაროს, რომელიც ქვეყანაში სასამართლოს და სამართლის ალტერნატივას ქმნიდა. ეს ინსტიტუტები ამავე დროს იყვნენ საბჭოთა მეხსიერების მატარებლებიც და მნიშვნელოვნად აფერხებდნენ ქვეყნის განვითარებას. მაგალითად, პოსტ-საბჭოთა საქართველოს ციხეებში კორუფცია და უკონტროლობა ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანდა. პატიმრებს შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში ნებისმიერი პროდუქტის თუ პირობების მიღება შეეძლოთ (სლეიდი, კაჭკაჭიშვილი, ცისკარიშვილი, ჯეირანაშვილი, გობრონიძე 2014). საპატიმროებში არაფორმალური წესრიგი ქურდების მიერ იმართებოდა და მათი თავკაცები, რომელთაც მაყურებლებს უწოდებდნენ, ციხის ცხოვრებას განაგებდნენ. საპატიმროს ადმინისტრაცია მხოლოდ სიმბოლურად მართავდა ე.წ. „შავ“ ციხეებს, რომლებიც „ქურდული“, არაფორმალური კანონებით იმართებოდა. სლეიდის (2014) მიხედვით ასეთ საპატიმროებში ელიტარულ კრიმინალებს საუკეთესო პირობები ჰქონდათ მათთვის მობილური ტელეფონი, იარაღი და მეძავებიც ხელმისაწვდომი იყო (სლეიდი, კაჭკაჭიშვილი, ცისკარიშვილი, ჯეირანაშვილი, გობრონიძე 2014.). ამ ყველაფერს თან სდევდა სისტემური კორუფცია, მასიური უმუშევრობა და ჩრდილოვანი ეკონომიკის განსაკუთრებულად სახიფათო მაჩვენებელი (ნოდია 2005; ჯონსი 2013). სურათს ამძიმებდა კონფლიქტის ზონებიდან კონტრაბანდული საქონლის შემოდინება. ამის შედეგად ქვეყანაში ე.წ. შავი ხვრელების პრეცედენტი იქმნებოდა, რომლის კონტროლიც კანონიერ ქურდებს ევალებოდათ. 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც (1995-2003) კი აღიარა, რომ „კანონიერმა ქურდებმა ქვეყანა შეჭამეს“ (Slade 2013, 5) [17].

ვარდების რევოლუციის (2003) შემდეგ კორუფციასთან ბრძოლა, ინსტიტუციური მშენებლობა და რეფორმები ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცვლილებები განხორციელდა ქვეყნის აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეებზე(ორ ბორბლიანი ურიკის პრინციპი). ყველაზე წარმატებული მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს (პოლიცია) და თავდაცვის

[17] “thieves-in-law have eaten country” (Slade 2013, 5).

სამინისტროს (ჯარი) რეფორმა იყო. კორუმპირებული სისტემის გაჯანსაღების მიზნით მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროდან დაახლოებით 23,000 ადამიანი დაითხოვეს. ეს პროცესი ესე გამოიყურებოდა; სამინისტროში 2006 წლამდე 40,000 თანამშრომელი მუშაობდა.დაიხოვეს პოლიციელების თითქმის სრული შემადგენლობა და შემდეგ ხელახლა მოუწოდეს სამსახურში დაბრუნება. ამ შედეგად, დაკავებული თანამდებობა დაახლოებით 15,000 ადამიანმა დატოვა. ამ რეფორმის შედეგად პოლიციელთა რიცხვი 14,500 ადამიანამდე შემცირდა. აღიჭურვა და განახლდა პოლიციელთა სამსახურეობრივი ინვენტარი, შეიქმნა კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური დეპატრამენტები(სოდი)(Slade 2012,46). დასაქმებული პერსონალის სახელფასო სარგო თითქმის 200-300% გაიზარდა, კორუფციასთან და კრიმინალთან ბრძოლის პოლიტიკას მყისიერი შედეგები ქონდა. მაგალითად თუ 2000 წელს პოლიციელთა 80% კორუმპირებული იყო, 2006 წელს ეს ციფრი 24% მდე შემცირდა. გაიზარდა პოლიციის მიმართ სამოქალაქო ნდობა და საქართველო უსაფრთხო ქვეყნად გარდაიქმნა (Slade 2012, 45-46). კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლის უკომპრომისობამ საქართველოში პატიმართა რიცხვი მნიშვნელოვნად გაზარდა. მაგალითად შევარდნაძის პერიოდში 2002-2003 წლებში საქართველოს ციხეებსა და გამოსასწორებელ კოლონიებში სასჯელს 6000 პატიპარი იხდიდა. 2010 წლისთვის ეს ციფრი 300%-ით გაიზარდა და 24,000 პატიმარს გაუტოლდა(Slade 2012,49). საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენების პროცესში ეს პერიოდი სწრაფი გარდაქმნებისა და კრიმინალთან ბრძოლის უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

ქვეყანა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა სეცესიურად განწყობილი ლიდერების მამართაც. 2004 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სრული კონტროლი დამყარდა. სახელმწიფომ სწრაფად მოიცალა ე.წ. შავი ხვრელების კონტროლისთვისაც და უკანონო იარაღისა და პროდუქტის კონტრაბანდა აღკვეთა. 2004 წელს დახურა ე.წ. ერგნეთის ბაზრობა ცხინვალის რეგიონში და დაუპირისპირდა ადგილობრივ ავტორიტეტებს კოდორისა და პანკისის ხეობაში. ჰუსეინ ალიევის (2014) მიხედვით „2007 წლისათვის საქართველო, ერთ დროს მაღალი კორუფციული მაჩვენებლით ლიდერი ქვეყანა, კორუფციის ყველაზე დაბალი

მაჩვენებლების მქონე ქვეყანათა შორის აღმოჩნდა. მოსყიდვა და ქრთამი სხვა არაოფიციალურ ურთიერთდახმარების სერვისებთან ერთად ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა“ (Alyiev 2014, 21-22). [18]

სახელმწიფოს მიერ უკონტროლო სივრცეების გაკონტროლების ღონისძიებებს კანონიერი ქურდების გვერდის ავლით არ ჩაუვლია. უფრო მეტიც, მთავარი დარტყმა სწორედ მათ მიიღეს. ეს სიმწვავე განაპირობა მაშინდელი ხელისუფლების პირველმა პირმა, ვარდების რევოლუციის(2003) მთავარმა არქიტექტორმა და პოსტ-რევოლუციური შენების მთავარმა შემოქმედმა, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (2004-2012). მას ორი მიზეზი ჰქონდა კანონიერი ქურდებთან საბრძოლველად. პირველი მიზეზი პერსონალური იყო და მის ბავშვობის ტრავმას უკავშირდებოდა.პრეზიდენტი ამის შესახებ პირად ინტერვიუებში ხსირად საუბრობდა. მაგალითად 2017 წელს 1 დეკემბერს 51-ე სკოლის მოსწავლეთა შორის მომხდარ ქუჩურ გარჩევას, პრეზიდენტი სააკაშვილი ესე გამოეხმაურა.

> *"მე ვსწავლობდი 51-ე საშუალო სკოლაში და ორჯერ ვარ ნამყოფი 53-ე სკოლის მოსწავლეებთან გარჩევაზე და ჩხუბზე. ერთ-ერთი ჩხუბის დროს ფეხი გამიჩხაპნეს ე.წ. "შპიცით", მას შემდეგ მეზიზღებოდა ეს ქუჩის აკადემია და ყველაფერი გავაკეთე მის აღმოსაფხვრელად საქართველოში. მოხდა ისე, რომ ჩემს შემდეგ "ქუჩის აკადემიკოსები" მოვიდნენ ხელისუფლებაში და ჯერ ძეგლი დაუდგეს ვაზაგაშვილს, ახლა კი ჩემი სკოლის ორი მოსწავლის სიცოცხლე შეიწირა ქუჩის ყალბმა რომანტიკამ და ძველი ბიჭების და კრიმინალების გაიდეალებამ. ჩემი უღრმესი სამძიმარი დაღუპული მოსწავლეების ოჯახის წევრებს!*
>
> *P.S. 2007 წელს კამპანია "სკოლა დანაშაულის გარეშე" სწორედ 51-ე სკოლაში დავიწყეთ[19]"* (Ambebi.ge 2017).

---

[18] According to Alyiev (2014) by 2007, Georgia, once notorious for its high levels of corruption, was frequently ranked among the least corrupt countries in the world. “unofficial payments to institutions, bribery and clientelism, among other forms of rent-seeking behaviour, have notably decreased during the last decade“(21-22).

მეორე მიზეზი კი წარმატებული საქართველოს შესახებ მის ოცნებასთან იყო დაკავშირებული. ამ ოცნებაში არაფორმალური ზეგავლენის მქონე სუბიექტების ადგილი არ იყო, ხოლო ფორმალური მმართველობა კი ქვეყნის ყველა სფეროზე უნდა გავრცელებულიყო. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (2004-2012) 2006 წლის საპარლამენტო გამოსვლაში საჯაროდ განაცხადა: „სანამ მე საქართველოს პრეზიდენტი ვარ, ქურდები ამ ქვეყანაში ვეღარ გაიჯეჯილებენ, ქურდებს დავანგრევთ როგორც კლასს და ვეღარ აღორძინდებიან, ამოვძირკვავთ თავისი ფესვებიანად.[20]“

5.2 კანონიერ ქურდებთან ბრძოლის კამპანია

კანონიერ ქურდებთან ბრძოლის კამპანია აქტიურ ფაზაში 2005 წელს შევიდა. ქვეყნის საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ცხოვრებაში პირველად შემუშავდა მათთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია. ეს სტრატეგია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960-იან წლებში მიღებული „რიკოს“ კანონის ანალოგი იყო. კანონი „რიკო“ (RICO – Receteer Influenced Corrupt Organisation) ამეირკაში სიცილიური მაფიის რეკეტული საქმიანობის აღმოსაფხვრელად მიიღეს. ეს სახელმწიფო სტრატეგია ორბორბლიანი ურიკის ანალოგიით არის ცნობილი და ორ ტაქტიკურ სვლას გულისხმობს: პირველი - სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა გაძლიერდნენ. პირველ რიგში ეს ეხება პოლიციას, რათა მან ეფექტიანად შეძლოს მაფიის წინააღმდეგ რეაგირება; მეორე - საკანონმდებლო ბაზა უნდა მომზადდეს და ლეგალური აქტი შედგეს. სწორედ კანონის ძალით უნდა გაკონტროლდეს მაფიის საქმიანობა. როგორც აღინიშნა ამ მიდგომას მაფიის კვლევებში „სახელმწიფო ცენტრულ მიდგომას“ (State Centric Approach) უწოდებენ (Paoli 2007; Slade 2013). ვარდების რევოლუციის (2003) შემდეგ „რიკოს“ მიდგომის იმპლემენტაცია ორი მიმართულებით წარიმართა: პირველი - 2004 წელს სწრაფად განხორციელდა პოლიციის რეფორმა, გაჯანსაღდა და გაიწმინდა სისტემა. თანამედროვე ტექნოლოგიითა და

---

[19] Ambebi.ge(2017). Faceambebi. http://www.ambebi.ge/faceambebi/217641-mikheil-saakashvili-51-e-skolis-mostsavleebis-mkvlelobis-faqts-ekhmaureba.html

[20] საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საპარლამენტო გამოსვლა(2006) https://www.youtube.com/watch?v=LaCbbnFDV74 02:00 წთ.

ეკიპირებით აღჭურვილი პოლიციელები მოვალეობის პირნათლად შესრულებას შეუდგნენ; მეორე - 2006 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი 223[1] – ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა:

1. ქურდული სამყაროს წევრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.
2. კანონიერი ქურდობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ. (28.04.2006)

სახელმწიფო, პირველად მისი არსებობის ისტორიაში, კანონით დაუპირისპირდა კანონიერ ქურდებს. ამით ის შეეცადა ჩრდილოვანი ეკონომიკის გაკონტროლებას. ამ სვლას მოჰყვა არაფორმალური სოციალიზაციის აგენტებში სახელწიფოს კონტროლის დაწესება და იდეოლოგიური ომი. აღნიშნულს კანონიერი ქურდების სუბკულტურის ელიმინაცია უნდა მოეხდინა. ამ პოლიტიკის შდეგად მოსახლეობაში არაფორმალური ზეგავლენის მქონე სუბიექტების მიმართ ნდობა შეირყა და გაიზარდა სახელმწიფოს ფორმალური ინსტიტუტების მიმართ ნდობა. ამას 2007-2009 წლებში ჩატარებული სოციალური გამოკითხვებიც ადასტურებდა. 2009 წელს ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგად ეკლესიას, არმიასა და პრეზიდენტს შორის პოლიციაც მოსახლეობის მიერ დასახელებულ ოთხ ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტებს შორის აღმოჩნდა (Slade 2013,84).

კავკასიის კვლევითი რესურსცენტრის (CRRC) მიერ 2004 და 2007 წლებში ჩატარებული დამოკიდებულებების (attitudes) კვლევა გვაჩვენებს, რომ 2004 წლის ივნისში კანონიერი ქურდების ინსტიტუტის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას 13%, ხოლო ნეგატიურს კი 56% ამჟღავნებდა (31% აზრის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა). 2007 წლის სექტემბრის თვეში ამავე ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კანონიერი ქურდების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება 7%, ხოლო ნეგატიური კი 70% ჰქონდა (23% აზრის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა). (იხ. დანართი N1)

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად გამოკითხულ რესპოდენტთა 78% საჭიროდ არ მიიჩნია პრობლემის გადასაჭრელად კრიმინალური ავტორიტეტისთვის მიემართა. (იხ. დანართი N2)

კავკასიის კვლევითი რესურსცენტრის (Crrc) 2009 წლის ბიულეტენში კანონიერი ქურდების შესახებ დასმული შეკითხვა გვაფიქრებინებს, რომ კანონიერმა ქურდებმა პოლიტიკურ სისტემაში რელევანტურობა დაკარგეს და მათი გავლენა სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეებზე მნიშვნელოვნად შეირყა.

ქურდების მიმართ შერყეული სამოქალაქო ნდობა საკმარისი არ აღმოჩნდა ვარდების რევოლუციის(2003) შედეგად მოსული ხელისუფლებისათვის. კანონიერი ქურდების გავლენა სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დონეზე უნდა დასრულებულიყო. კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლამ ინსტიტუციურ კედლებში გადაინაცვლა. ამ მხრივ პირველი დარტყმა კანონიერმა ქურდებმა ციხეებსა და გამოსასწორებელ კოლონიებში მიიღეს.

5.3 ციხე გარდამავალ პერიოდში (2007-2012)

1991 წელს, საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა და ქვეყნის სადამსჯელო ინსტიტუცია გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდა. პატიმრებს ათავსებდნენ სულ უფრო გავერანებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ყოფილი საბჭოთა ტიპის კოლონიებსა (თუმცა შრომა-გასწორებითი ინდუსტრია იმ დროს განადგურებული იყო) და ციხეებში. თანამშრომლებს მწირი ანაზღაურება ჰქონდათ, ხოლო ციხის ინფრასტრუქტურის, პატიმართა კვების, ჯანდაცვის, ან საპატიმროში კონკრეტული სტრატეგიების და სიახლეების დანერგვის, ზოგადად, რეაბილიტაციის თვალსაზრისით ინვესტიციები არ ხორციელდებოდა. სამოქალაქო ომის შემდგომ წარმოშობილი სავალალო ეკონომიკური მდგომარეობის, ინდუსტრიის სრული განადგურებისა და სოციალური არეულობის გამო, სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეფორმა საერთოდ არ იდგა პოლიტიკურ დღისწესრიგში (სლეიდი, კაჭკაჭიშვილი,

ცისკარიშვილი, ჯეირანაშვილი, გობრონიძე 2014, 5). ამ პირობებში ციხის მართვა შეუძლებელიც კი გახდა და სახელმწიფომ ერთგვარ ხერხს მიმართა. მან ციხის მართვა თვითორგანიზებულ კრიმინალურ ჯგუფებს, კანონიერ ქურდებს, გადასცა. ეს ერთადერთი კრიმინალური სუბკულტურა იყო რომელსაც ციხის მართვის გამოცდილება ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან ჰქონდათ.

სლეიდის(Slade 2013) მიხედვით კანონიერი ქურდების მიერ მართული ციხე მკვეთრად იერარქიული იყო. ამ პირამიდის სათავეში კანონიერი ქურდები(ავორიტეტები) იდგნენ, მათ მოჰყვებოდათ მაკონტროლებლები, ე.წ. „მაყურებლების ინსტიტუტი“, ამის შემდეგ ე.წ. „კაი ბიჭები“, შემდეგ მოდიოდა მშრომელთა კასტა „მუჟიკები“, და მომსახურე პერსონალი, ე.წ. „კაზიოლები“(Slade 2013,13-14). კანონიერი ქურდები განსაზღვრავდნენ ციხის პოლიტიკას, ინახავდნენ ე.წ. საერთო ფონდს („ობშიაკს“), იცავდნენ პატიმართა შორის თანაცხოვრების წესებსა და უსაფრთხოებას. მაგალითად, ციხეში არსებობდა ხელის აწევის შესახებ ნორმატიული რეგულაცია. ამ ნორმის მიხედვით პატიმარს მეორე პატიმარზე ხელის დარტყმა, ანუ ხელჩართული ჩხუბი სასტიკად ეკრძალებოდა. კონფლიქტი ჯერ სიტყვით, ანუ საქმის გარჩევის გზით, მშვიდობიანად უნდა მოგვარებულიყო. ამ შემთხვევაში საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ პირველ რიგში საკნის ზედამხედველნი, იგივე „მაყურებლები“, შემდეგ, თუ საჭიროება მოითხოვდა, საქმე ქურდებამდეც უნდა „ასულიყო“. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო პატიმართა თანაცხოვრების რეგულირებაში და ამავე დროს პარადოქსულიც. პარადოქსული იმიტომ, რომ სახელმწიფო პრაქტიკულად არ დაუშვებდა ძალაუფლების მეორე, პარალელურ, ცენტრს. თუმცა ასეთი რამ პოსტ-საბჭოთა საქართველოში ციხის მმართველობის სახით მაინც დაფიქსირდა. ამგვარად, სახელმწიფომ ხელი შეუწყო ამ ინსტიტუციაზე არაფორმალური ძალაუფლების მქონე აგენტების გავლენის გაძლიერებას, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით სახელმწიფოში ძალაუფლების კიდევ ერთი ცენტრის დაშვებას ნიშნავდა.

ვარდების რევოლუციის (2003) შემდეგ დაწყებულმა რეფორმების ტალღამ პოსტ-საბჭოთა საქართველოს ციხის ცხოვრებაში გვიან შეაღწია. მიუხედავად პოლიტიკური

ნებისა და ციხეზე სახელმწიფოს კონტროლის გამკაცრებისა, აქ, განსხვავებით სხვა ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა პოლიცია და ჯარი, რეფორმა ოთხი წლის დაგვიანებით, 2007 წელს დაიწყო. ამ დაგვიანებას თავისი მიზეზები ჰქონდა. ქვეყნის წინაშე უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევები იდგა. მაგალითად, გაზრდილი კრიმინალი, სისტემური კორუფცია, კანონიერი ქურდები და სახელმწიფო ინსტიტუტებთან დაკავშირებული პრობლემები. ამ პრობლემების მოგვარება სახელმწიფომ დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარებით შეძლო, რის შედეგადაც ციხის პოპულაცია თითქმის 300% გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით გავინ სლეიდმა შენიშნა კიდეც, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება „კრიმინალზე გავლენით მართავდა ქვეყანას“[21] (Slade 2012, 51). მაგალითად, 2002 წელს საპატიმრო დაწესებულებებში 6794 პატიმარი იხდიდა სასჯელს, ხოლო 2010 წელს კი ეს ციფრი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და 23684 პატიმარს გაუტოლდა (ი.ხ დანართი N3)

2007 წელს ციხის სისტემის საფუძვლიანი გაჯანსაღების მიზნით მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა. ევროპის საბჭოს განვითარების ბანკმა ახალი ციხეების მშენებლობისთვის სესხები გამოყო. 2011 წელს გაცემული ერთი ასეთი სესხი 60 მილიონ ევროს შეადგენდა (სლეიდი, კაჭკაჭიშვილი, ცისკარიშვილი, ჯეირანაშვილი, გობრონიძე, 2014). ამ თანხიდან ციხის მშენებლობაზე გამოყოფილი თანხა დიდი მოცულობის საკნების ნაცვლად დასავლური ტიპის ინდივიდუალური საკნებით დაკომპლექტებული ციხის მშენებლობას მოხმარდა. ეს მინიმუმამდე დაიყვანდა პატიმართა შორის ურთიერთობას. ამას დაემატა კანონიერი ქურდებისა და სხვა კრიმინალური ავტორიტეტების სპეციალურად აშენებულ დაწესებულებებში გადაყვანა. ამ პოლიტიკას მარტივად შეგვიძლია ვუწოდოთ „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა. ამის შედეგად ციხის კონტროლზე პასუხისმგებლობა ციხის ადმინისტრაციამ აიღო თავის თავზე, რაც მარტივად განსახორციელებელი არ ყოფილა. ადმინისტრაცია ისევ ძველი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა მოხელეებით იყო დაკომპლექტებული. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ხელისუფლებამ საპოლიციო რეფორმის დროს აპრობირებულ მეთოდს მიმართა. ჯერ გაათავისუფლა ძველი თანამშრომლები და ახალი „თაობის“

[21] „Georgian state was governing through crime” (Slade 2012,51).

ზედამხედველების გაწვრთნას შეუდგა. ეს ცვლილება სტატისტიკურად ასე გამოიყურებოდა: „გათავისუფლება ზოგ დაწესებულებაში თანამშრომლების დაახლოებით 80% შეეხო. შედეგად, 3000-მდე ადამიანს უწევდა რეფორმირებული და მერყევი საპატიმრო სისტემის მართვა, სადაც თანამშრომელთა და პატიმართა თანაფარდობა უხეში გაანგარიშებით 10 პატიმარზე 1 თანამშრომელი იყო, თუმცა ეს თანაფარდობა დაწესებულებების მიხედვით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ეს ციფრი არ უნდა აჭარბებდეს 3 პატიმარზე 1 თანამშრომელს (სლეიდი, კაჭკაჭიშვილი, ცისკარიშვილი, ჯეირანაშვილი, გობრონიძე, 2014).

ციხის რეფორმას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, სხვა დაბრკოლებაც ჰქონდა. სავალალო მდგომარეობაში იყო ციხის ინფრასტრუქტურა. საბჭოთა ციხის ბარაკული მოწყობა პოსტ-საბჭოთა საქართველოს ციხეებში დიდწილად შენარჩუნებული იყო.საბჭოთა ციხის არქიტექტურული მოწყობა დიდწილად ბარაკული სისტემის იყო. ერთ საკანში განთავსებული ადამიანების რაოდენობა 500 კაცს შეადგენდა(Piachentini and Slade 2015,190). ამ სისტემის მართვის მოდელი მდგომარეობდა ციხის არქიტექტურულ მოწყობასა და პატიმართა შორის ინფორმაციის მიმოცვლაში. ამ გარემოებიდან გამომდინარე ბარაკებს შორის პატიმართა მობილობაც მაღალი იყო. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანდა პოსტ-საბჭოთა საქართველოს ციხეებში. პატიმართა მაღალი მობილობა ინფორმაციის ცირკულირებას უწყობდა ხელს. ამას ემატებოდა კორუმპირებული სისტემა და ციხის სუსტი ადმინისტრაცია, რომლის მეშვეობით ციხეში მსჯავრდებულს პერსონალური მობილურის ფლობის შესაძლებლობაც კი ეძლეოდა. ამდენად, ციხე სისტემურ მოდერნიზაციასაცთან ერთად, არქიტექტურულ ცვლილებებსაც საჭიროებდა(Slade 2015,5-6).

ციხის რეფორმის უმთავრესი მიზანი არაფორმალური ძალაუფლების მქონე სუბიექტების საპატიმრო დაწესებულებებიდან ელიმინაცია იყო. ეს პირველ რიგში ეხებოდა კანონიერი ქურდების სუბკულტურის წევრებს. სახელმწიფომ ასეთი ადამიანების წინააღმდეგ გეგმაზომიერად იმოქმედა და ეს ქმედება ორი უმთავრესი

მიზნის მიღწევას გულისხმობდა: პირველი - უნდა შეცვლილიყო პატიმართა განსახლების სტილი და კანონიერი ქურდები იზოლაციაში უნდა მოექციათ. ამისთვის სპეციალურად აშენდა N7 საპატიმრო დაწესებულება. ამან გამოიწვია ქურდებს შორის კონკურენციის ზრდა და მათ მიერ ერთმანეთის „გაფუჭება"; მეორე - ქურდების მოშორებით ციხეში ახალი წესრიგის შექმნა, სადაც ქურდული წესრიგის დამყარება შეუძლებელი იქნებოდა. აიკრძალა თამაშები, პატიმრებს ჩამოერთვათ მობილური ტელეფონები და აიკრძალა ქურდული ჟარგონით საუბარი(Slade 2015,6).ხელისუფლების ამ მოქმედებას თავისი უარყოფითი შედეგებიც ახლდა: (1) ციხიდან ქურდების მოშორებამ ადმინისტრაციას წესრიგის უზრუნველყოფა გაურთულა და (2) ის იძულებული გახდა ქურდების გარეშე წესრიგის დასამყარებლად თვითონ გამოეყენებინა არათანაბარზომადი ძალა და კანონსაწინააღმდეგო მეთოდები, რაზე საპასუხოდაც პატიმრებს კანონით დადგენილი წესები რჩებოდათ. აქ უკვე კანონიერი ქურდები პატიმრებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის მედიატორის ფუნქციას ვეღარ შეასრულებდნენ. შედეგად, გახშირდა პატიმართა უფლებების დარღვევისა და მათზე ძალადობის ფაქტები. პატიმართა საზოგადოებამ ეს სენსიტიურად გადაიტანა და მას პროტესტით უპასუხა. მაგალითად, 2007 წელს ორთაჭალის N5 დაწესებულებიდან კანონიერი ქურდების მათთვის სპეციალურად აშენებულ იზოლატორში გადაყვანამ პატიმართა რიგებში პროტესტის ტალღა ააგორა. ტალღა გადაიზარდა ბუნტში. ციხეში კანონიერი ქურდების დაბრუნების შესახებ პატიმართა მოთხოვნას სახელმწიფომ შტურმით უპასუხა. დაიღუპა ორი და მძიმედ დაშავდა შვიდი პატიმარი. ციხეზე სახელმწიფო კონტროლი აღდგა. წესრიგის დაწესების ასპექტში სახელმწიფო შეუვალი იყო. „ჯერ კიდევ 2004 წელს სააკაშვილმა ურჩია იუსტიციის მინისტრს, „ძალა ეხმარა საპატიმროში ნებისმიერი არეულობის ინსცენირების შემთხვევაში და გაეხსნა ცეცხლი, მოეკლა და გაენადგურებინა ნებისმიერი კრიმინალი, რომელიც მღელვარების მოწყობას შეეცდებოდა. ასეთი ადამიანების წინააღმდეგ ტყვიები არ უნდა დაგვენანოს" (სლეიდი, კაჭკაჭიშვილი, ცისკარიშვილი, ჯეირანაშვილი, გობრონიძე 2014, 20). სახელმწიფო შეუდგა ციხის ტოტალურ კონტროლს, რაც გამოიხატებოდა სატელეფონო კომუნიკაციების კონტროლში, პატიმართა საკნებსა და მის გარეთ დაწესებულ

თვალთვალში და წესრიგის, ხშირ შემთხვევაში, ძალის გადამეტებით დამყარებაში. 2010 წლისთვის საპატიმროები დახურულ სისტემებად იქცნენ და დამკვირვებლების მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოახერხა რეალურად შეესწავლა ციხეები საფუძვლიანად. ძალის გადამეტებისა და ციხეებში პატიმართა არაადამიანური მოპყრობის შესახებ ვრცლად იწერებოდა ომბუცმენისა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ანგარიშებში. მაგალითად, ომბუცმენის 2012 წლის ანგარიშში გლდანის N8 ახლად აშენებული დაწესებულების შესახებ ვკითხულობთ: „დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსებზე მუდმივად იგრძნობოდა ასეთი სიმძლავრის დაწესებულებისათვის არაბუნებრივი სიჩუმე“ (ომბუცმენი 2012, 12).

5.4 ინფორმაციაზე მონოპოლია როგორც ციხის მართვის საშუალება (2007-2012)

ვარდების რევოლუციის (2003) შედეგად მოსული ხელისუფლებისთვის ინფორმაციაზე მონოპოლია ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გახდა. ეს მათ ციხის არქიტექტურული მოწყობის ცვლილების ხარჯზე და საინფორმაციო საშუალებების აკრძალვით მოახერხეს. მაგალითად, 2006 წლიდან აიკრძალა მობილური ტელეფონებით სარგებლობა, ასევე აიკრძალა მანამდე კარგად აპრობირებული წინასწარი ინფორმაციის გაშვების, ე.წ. წერილის შეგზავნის პრაქტიკა. რაც შეეხება ციხის არქიტექტურულ მოწყობას, თუ ადრე პატიმრები, ტრადიციულად, „ბარაკულად“ ცხოვრობდნენ, ანუ ერთსა და იმავე სივრცეში ბევრი პატიმარი იყო გამომწყვდეული, ახლა უკვე საპატიმროში ორი, ოთხი, ექვსი ან რვა პატიმარი იყო განთავსებული. პატიმრების ამ პრინციპით განთავსება გლდანის N8 დაწესებულებიდან დაიწყო და ეტაპობრივად მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა. ამდენად, გლდანის ციხე შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სიმბოლური ადგილი, სადაც სახელმწიფო ძალაუფლება შეეცადა არაფორმალური სუბიექტების მიერ წარმოებული წესრიგის გაკონტროლებას, ხოლო სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ ციხის ზედამხედველობის ამ მოდელში მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო პატიმართა შორის ინფორმაციის მიმოცვლის კონტროლი და მის შინაარსზე მონოპოლია. ეს ინფორმაცია ციხეს აკავშირებდა სხვა

სოციალიზაციის აგენტებთან, მაგალითად, ქუჩის აკადემიასთან. თუ შევარდნაძის მმართველობის დროს ციხეში ქუჩიდან შეგზავნილი ინფორმაციის საფუძველზე ყალიბდებოდა ახალი „მოსახლის“ მიმართ დამოკიდებულებები, სააკაშვილის მმართველობის დროს ეს პრაქტიკა შეიცვალა. მაგალითად 2007 წლამდე ინფორმაციის გადასამოწმებლად შესაძლებელი იყო ციხის გარეთ დარეკვა. ამის შესახებ ყვება 2006 წელს ორთაჭალის N5 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული:

#3 *„ციხეში შესაძლოა პირადად არ იცნობდე ადამიანს, მაგრამ მასზე ინფორმაცია გქონდეს. შენ არ შეგეძლო ციხეში დარეკვა, თუმცა ციხის გარეთ დარეკვა შესაძლებელი იყო და ყოველთვის შეგეძლო ადამიანის შესახებ ინფორმაცია მოგეგროვებინა. მაგალითად, ასეთი შემთხვევა იყო, ვიღაც ტიპი შემოვიდა, ავჭალელი „კაი ბიჭი“ ვარო ამბობდა და „კაი ბიჭებთან“ ცხოვრობდა. ექვსი თვე ესე იცხოვრა. მერე ხმა გავარდა, ციხეზე ავჭალელები შემოდიანო, ამან ჩაალაგა ბარგი და სხვა ზონაზე გადაბარგდა. ავჭალელებს მასზე ჰქონდათ ინფორმაცია და იტყოდნენ, ვინ და რა იყო სინამდვილეში“ (ორთაჭალაში ყოფნის დრო 03.03.- 03.09.2006)(02.03.2014).*

სახელმწიფოს მიერ გადადგმულმა ქმედითმა ნაბიჯებმა თითქმის სრულად ჩაახშო ინფორმაციის მიმოცვლის ყველა გზა. შედეგად, როგორც რესპოდენტთა უმრავლესობა ამტკიცებს, 2007-2012 წლებში ინფორმაცია რთულად მოსაპოვებელი და გადასამოწმებელი გახდა. ინფორმაციის ცირკულირებისა და მის შინაარსზე სახელმწიფოს მონოპოლიის შესახებ საუბრობს გავინ სლეიდი (2015) სტატიაში „ძალადობა, როგორც ინფორმაცია ციხის რეფორმის დროს: ფაქტები პოსტ-საბჭოთა რეგიონიდან“ (Violance As Information During Prison Reform:Evidence From The Post-Soviet Region). ავტორი ამტკიცებს, რომ ინფორმაციის შეზღუდვამ გაზარდა ძალადობა პატიმართა შორის. გაართულა საკნებში რეპუტაციის მქონე პატიმართა ამოცნობა და მათი სტატუსის დადგენა. თუ მანამდე ე.წ. მაყურებლის მოვალეობა იყო ახლადშემოსული პატიმრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ამისათვის მობილურ ტელეფონსაც კი იყენებდა, ამჯერად მსგავსი ფუფუნების საგნები ციხის ყოველდღიური

ცხოვრებიდან ამოიღეს. ამის მიუხედავად, ციხის საზოგადოებაში ინფორმაციის მიმოცვლის ალტერნატიული საშუალებები, ე.წ. „ვალჩოკი," გაჩნდა. ვალჩოკი ეს არის კანალიზაციის, წყალგაყვანილობის მილიდან ან ფანჯრის სარქველიდან ძაფზე მობმული წერილის გაშვება მომდევნო, ან მის ქვემოთ მდებარე საკანში. ამ გზით პატიმრები ინფორმაციას სხვა საკანს გადასცემდნენ და ასე ირკვეოდა დასაზუსტებელი საკითხები (Slade 2015, 10).

მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა, აეღო ინფორმაციაზე მონოპოლია, ციხის საზოგადოებაში არსებობდა ინფორმაციის გადამოწმების კიდევ ერთი მეთოდი - დაკვირვება და გამოკითხვა. დაკვირვების და გამოკითხვის მეთოდები ძირითადად ახალ შემოსულ პატიმრებზე ვრცელდებოდა, შეკითხვა კაი ბიჭი ხარ ? ამ ინფორმაციაზე იყო დამოკიდებული ახალბედა პატიმრის ინსტიტუციური ცხოვრება და ციხის იერარქიაში დაკავებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც ფორმირდებოდა სოციალური დამოკიდებულებები. ამ ინფორმაციის საშუალებით უკავშირდებოდა ციხის საზოგადოება მის მიღმა მდებარე ქუჩის საზოგადოებას(ქუჩის აკადემია). ეს შეკითხვა საკმაოდ კარგად არის ადაპტირებული თამაშში ქურდი ზონაში. მოთამაშეები ამ შეკითხვით დაადგენენ კრიმინალურ იდენტობას, და დაკვირვებისა და ურთიერთზედამხედველობის ფორმებით შეეცდებიან ამ სტატუსის მქონე აგენტის სხვადასხვა სიტუაციური შეკითხვების მეშვეობით გამოცდას.

...

ამდენად, 2007 წლის ციხის რეფორმის შედეგად კანონიერი ქურდების სუბკულტურა ინფორმაციულ იზოლაციაში მოექცა. ქურდების სპეციალურად აშენებულ საპატიმროში გადაყვანამ და მაყურებლებისა და კანონიერი ქურდებისათვის საინფორმაციო არხების ჩაკეტვამ ციხეში პატიმართა სოლიდარობა შეარყია. ამ გარდაქმნამ ციხის ტრადიციულ რომანტიზმს საფუძველი გამოაცალა და მას მიმზიდველობა და კანონიერი ქურდის სტატუსის ფორმირებისათვის აუცილებელი გზის ფუნქცია დაუკარგა. ამით, სასურველი და ამავე დროს სავალდებულო სოციალიზაციის მესამე და საბოლოო აგენტის

მნიშვნელობაც დაიკარგა. ციხე კანონიერი ქურდების სუბკულტურით გატაცებული ახალგაზრდის მეხსიერებაში ძალადობისა და დასჯის სახელმწიფო ინსტიტუციად გარდაიქმნა.

სისტემური თვალსაზრისით ციხე არაფორმალური სოციალიზაციის აგენტთა შორის ყველაზე მძლავრია. აქ ხდებოდა ციხის გარეთ მოპოვებული რეპუტაციის დაცვა, გადამოწმება და ხშირ შემთხვევაში გამდიდრებაც კი. ციხეში ხდებოდა კრიმინალის მონათვლა და ამით სრულდებოდა ყველა კრიმინალური უფლებით აღჭურვილი კრიმინალური სხეულის ჩამოყალიბება(Slade 2013,18). ამ დროს „ფიზიკური სხეული" (BodyNatural) იქცევა პოლიტიკურად (BodyPolitic)[22] და შეაბიჯებს ნდობის ქსელში(trust network) (Tilly 2005), გადაეცემა რა რიტუალური ცხოვრების გამზადებული ფორმები და ქცევის მოდელები. კანონიერ ქურდებს, ისევე როგორც შუა საუკუნეებში მონარქებს, ჰქონდათ ორი სხეული. ერთი ფიზიკური სხეული, რომელიც მოკვდავია და სიცოცხლის განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს, დაზიანდეს ან მობერდეს, ხოლო მეორე სხეული კი „პოლიტიკურია" - კრიმინალური. ის უხილავი ნაწილებისგან შედგება, პოლიტიკური

[22] კონცეპტი სხეული ერნსტ კანტოროვიჩის (Ernst H.Kantarowicz) ნაშრომიდან "მეფის ორი სხეული" (The Kings Two Bodies) გახლავთ. ნაშრომი შუა საუკუნეების პოლიტიკური თეოლოგიის კლასიკაა, რომელშიც პირველად გამოითქვა იდეა „მეფის ორი სხეულის" შესახებ. ავტორის მიხედვით შუა საუკუნეებში ინგლისის მონარქთა სხეული ორი სახისა იყო - პირველი, „ბუნებრივი სხეული, რომელიც მოკვდავია და სიცოცხლის განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს, დაზიანდეს ან მობერდეს. მეორე სხეული კი პოლიტიკურია. ის უხილავი ნაწილებისგან შედგება, პოლიტიკური ხელისუფლების პირმშოა, უმკლავდება ხალხის ვნებასა და ადმინისტრირებას. ეს სხეული დაცლილია ყოველგვარი ბუნებრივისაგან, ის არ ბერდება, არ ზიანდება და უნაკლოა. სწორედ ამის გამოა, რომ მეფის ბუნებრივი ნაკლის მქონე სხეული მიიჩქმალება და პოლიტიკურ პროცესებში უნაკლოდ წარმოსდგება" (Kantorowicz H. Erns 1997.7) „Body natural is body mortal,subject of all Imfrimities that come by Nature or Accident, to the Imbecility of Infancy or old Age …., But his body politics is a body that cannot be seen or handled,consisting of Policy and Government,and constituted for the Direction of the People, and theManagment of the public weal, and this Body is utterly void of Infancy, and old Age, and other natural Defects and Imbecilities… and for this Cause, what the king does in his Body politics, cannot be invalidated or frustrated by any Disability in his natural Body(Kantorowicz H. Erns, 1997.7)

ხელისუფლების პირმშოა, უმკლავდება ხალხის ვნებას და მათ ადმინისტრირებაში მონაწილეობს. საკუთრივ კრიმინალური ავტორიტეტის სხეული საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ტურბულენციის შედეგია. მისი ფორმირება საბჭოთა კავშირში ჩრდილოვანი ეკონომიკის (1960-1970) წიაღში დაიწყო და პოსტ-საბჭოთა საქართველოში გაგრძელდა. ის სამი სოციალიზაციის ფაზისაგან შედგებოდა. თითოეული ცალკე წესრიგს ქმნიდა და ამ წესრიგს რიტუალებისა და პროცედურებით ინარჩუნებდა. ვარდების რევოლუციის (2003) შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ამ სხეულით აღჭურვის მსურველთა წინააღმდეგ ყრუ კედელი აღმართა. პრობლემის დასაძლევად კანონიერი ქურდების სუბკულტურამ ალტერნატიულ გზებს მიმართა. მაგალითად, თუ ციხეში ინფორმაციის ცირკულირება შეიზღუდა, ამისათვის საიდუმლო არხები, ე.წ. „ვალჩოკები“, გამოიყენეს. კანონიერი ქურდების ფიზიკური იზოლაცია მხოლოდ საპატიმრო დაწესებულებებში მათ გამომწყვდევაში არ გამოიხატებოდა. მათი ქვეყანაში შემოსვლაც კი პრობლემური გახდა, რამაც ნათლობის რიტუალში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება განაპირობა. მაგალითად, 2012 წელს კანონიერი ქურდი დავით ხიზანიშვილი თბილისში სკაიპით მონათლეს[23].

5.5 სუბკულტურასთან ბრძოლის სხვა მექანიზმები

ციხეში კანონიერი ქურდების სუბკულტურასთან ბრძოლის მთავარი ხერხი იყო იზოლაცია და ინფორმაციაზე მონოპოლია. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი დარტყმა განხორციელდა საჯარო სკოლებზე.2007 წლიდან პოსტ-საბჭოთა საქართველოში დაიწყო კამპანია „სკოლა დანაშაულის გარეშე“. 2010 წელს ამ კამპანიის ფარგლებში სკოლაზე სახელმწიფო ძალაუფლების დამყარების მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მანდატურის ინსტიტუტი შემოიღო(სკოლის რეფორმას დაწვრილებით მომდევნო თავში შევეხებით).

სახელმწიფომ, სუბკულტურის გავლენისაგან გათავისუფლების ინსტიტუციური პოლიტიკიდან, სოციალურზე გადაინაცვლა და მოსახლეობაში კარგად გამჯდარი

[23] „კანონიერი ქურდი თბილისში სკაიპით მონათლეს“ - http://www.myvideo.ge/v/1817989

რწმენა-წარმოდგენების დეკონსტრუქციას შეეცადა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვარდების რევოლუციის(2003) ხელისუფლება საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შედეგად წარმოქმნილ სტატუსების სისტემას ღიად უპირისპირდებოდა. ის მიზანმიმართულად აწარმოვებდა ე.წ საბჭოთა ინტელიგენციის მარგინალიზაციის პოლიტიკას, ქმნიდა ახალ კულტურულ ელიტას, ცდილობდა ურბანულ დეცენტრალიზაციას და მხარს უჭერდა ე.წ თვითნაკეთი კაცის(self made man) პრინციპს. ეს პოლიტიკა ხელისუფლების ქმედით ნაბიჯებში ჩანდა, მაგალითად 2005 წლიდან შემოიღეს ერთიანი ეროვნული გამოცდები,რომელიც თანაბარ შესაძლებლობას აჩენდა ქვეყანაში მცხოვრები ყველა ახალგაზრდისთვის ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის. განვითარდა და განახლდა თბილისის გარეუბნები და რაიონული ქალაქები. სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის მქონე ახალგაზრდებისთვის თვითნაკეთი კაცის პერსპექტივა დაიბადა. ყოველშემთხვევაში ესე არტიკულირებდა პოლიტიკური სისტემა, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მასმედიის საშუალებებით. ცხადია ქართულ სინამდვილეში აღმოცენებული ეს ერთგვარი "ამერიკული ოცნება"(American Dream) ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო და რეალობა კვლავ ძველი სტატუსების სისტემაზე იყო მოწყობილი.

კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ხელისუფლებამ გონების გამორეცხვის(brainwashing) პრინციპსაც მიმართა და ამ მოდელში მასმედიის საშუალებები აქტიურად გამოიყენა. გასაჯაროვდა კანონიერი ქურდების დევნისა და დაპატიმრების კადრები და ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი აზრი შეიქმნა. ასეთი იყო სახელმწიფოს დაკვეთით გადაღებული დოკუმენტური ფილმი „კანონგარეშე კანონიერი ქურდები“ (2007). ქურდული ქრონიკების ტირაჟირებაში ერთგვარი ცენზურაც დაწესდა. სახელმწიფომ მკაცრად გააკონტროლა ინფორმაციის გავრცელების საშუალებები და ქურდული სამყაროს შესახებ ინფორმაციის წარმოებაზე მონოპოლია აიღო, რაც დოკუმენტური ფილმების ჩვენებაში, პირადი სატელეფონო საუბრების გასაჯაროებასა და ციხეში სათვალთვალო კამერით გადაღებული კანონიერი ქურდების ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებაში გამოიხატა. მიუხედავად სახელმწიფოს ძალისხმევისა, „ასავალ-დასავალისა“ (1992-2017) და „კვირის პალიტრის“

(1995-2017) ფურცლებზე კვლავ მიმდინარეობს კრიმინალური ქრონიკის ტირაჟირება. ვარდების რევოლუციის (2003) შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ასეთი ტიპის მედიასაშუალებების მარგინალიზაციაც კი სცადა, თუმცა ეს პოლიტიკა ბოლომდე წარმატებული არ აღმოჩნდა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კამპანია სხვა სფეროებსაც შეეხო. 2007 წელს აიკრძალა ქურდულ თემატიკაზე შექმნილი სიმღერების საჯარო სივრცეებში გაჟღერება. ამ კამპანიის ფარგლებში დაიწერა და გავრცელდა კომპიუტერული თამაში „ქართული პოლიცია“ (2010). თამაშის პროგრამული ნაწილი აწყობილია თანამედროვე საქართველოს მიღწევებზე, ხოლო სიუჟეტი კი განახლებული ბათუმის ქუჩებში მიმდინარეობს, სადაც ოპერატიულ-სამძებრო ორგანოთა თანამშრომლები კრიმინალური დაჯგუფების ლიდერებს უმკლავდებიან. ეს სვლა, შეიძლება გაანალიზდეს, როგორც სახელმწიფოს მიერ, ვიდეოთამაშის მეშვეობით კანონიერი ქურდის ჰეროიკულ-რომანტიკული ფიგურის დეკონსტრუქციისთვის გამოყენებული ერთგვარი ხრიკი. ამით სახელმწიფო მოზარდებში პოლიციის პოპულარობასა და ნდობასაც ზრდიდა. ჩვენს ტექნოლოგიურ სამყაროში ვიდეოთამაშები ხომ კულტურული ნორმებისა და ქცევის მოდელების გავრცელებისა და გათავისების მძლავრი იარაღია. მას ვიდეოგეიმერთა თეორიაში „ვიდეოწიგნიერება“ (gaming literacy) ეწოდება. ვიდეოწიგნიერების თეორია ამბობს, რომ ვიდეოთამაშების ეპოქა ერთგვარი „ახალი განმანათლებლობის“ ფორმაა, რომელის იძლევა „სპეფიციური მნიშვნელობების წარმოებისა და გაგების საშუალებას“ (Zimmerman 2009, 24)[24].

სუბკულტურის ირონია და სარკაზმი, დაცინვა და გამასხარავება მასმედიისა და მასობრივი კომუნიკაციების საშაულებების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. მაგალითად 2009-2012 წლებში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გასართობ ტელეშოუში „კომედი შოუ“ კანონიერი ქურდების სუბკულტურის ირონიზაცია აქტიურად მიმდინარეობდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „კომედი შოუში“ სკოლის თემატიკაზე შექმნილი სკეტჩები: „სკოლა 2-2“ (2009), “ძველი ბიჭების სკოლა“ (2010), „კაი ბიჭების სკოლა“ (2011), “ძველი ბიჭები დირექტორთან“ (2012), „ძველი ბიჭების სკოლა“

[24] „Gaming literacy – it is the ability to understand and create specific kinds of meanings“(Zimmerman 2009,p.24).

(2012). მაგალითად, სკეტჩში „სკოლა 2-2“ (2009) შემდეგი სიტუაციაა წარმოდგენილი: კლასში შემოდის შავებში ჩაცმული მამაკაცი და ესალმება ბავშვებს - „გამარჯობა! ზოგადი უნარ-ჩვევებიდან ვარ, რამდენიმე შეკითხვა მაქვს. კარგად მომისმინეთ და პასუხი მინდა რომ გამცეთ. სახლში იწვის ხუთი ქურდი, მეხანძრეები მოვიდნენ და სამი ჩააქრეს, რამდენი ქურდი იწვის? პასუხი (კლასიდან) - ორი. პასუხი არ არის სწორი. ქურდები არ იწვიან!“[25]

სიტუაცია სკეტჩიდან „კაი ბიჭების სკოლა“: კლასში შემოდის შავებში ჩაცმული მამაკაცი და ბავშვებს ესალმება - „გამარჯობა! სამინისტროდან ვარ, სემესტრის ბოლოა და რამდენიმე შეკითხვა უნდა დაგისვათ: „კაი ბიჭმა“ მთის წვერზე დადო კვერცხი, მარჯვნივ დაგორდება ეს კვერცხი თუ მარცხნივ? პასუხი: იასნა მარჯვნივ. პასუხი არასწორია. კაი ბიჭის დადებული კვერცხი არ გორავს!“ (2011)[26]

„კომედი შოუში“ ქურდულ თემატიკაზე შექმნილი სხვა სკეტჩების შესახებაც უნდა ითქვას. სიტუაციური სკეტჩები, გარდა სკოლისა, მოიცავს ციხეს და მუზეუმსაც კი. მაგალითად, „კუკუშა ზონაში“(2012), “წუროს დაკითხვა“(2012), „ძველი ბიჭების მუზეუმი“(2012).

…

პოსტ-საბჭოთა საქართველოში, 2005 წელს არაფორმალური ზეგავლენის მქონე სუბიექტებისგან(კანონიერი ქურდები) გათავისუფლების პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. კანონიერი ქურდები იზოლაციაში აღმოჩდნენ, ხოლო სუბკულტურამ სამოქალაქო ნდობა და პოპულარობა დაკარგა. კანონიერ ქურდებს სამოქმედო სივრცე შეეზღუდათ და მათი ქონების კონფისკაციაც მოხდა. კარიერული პერსპექტივა, კანონიერი ქურდობა, წარსულს ჩაბარდა. ამ პერსპექტივას ახალ პოლიტიკურ დღის წესრიგში მომავალი აღარ ქონდა. სახელწიფომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია მედიასაშუალებების კონტროლის საქმეშიც. წარმატებით აწარმოა იდეოლოგიური ომი და ე.წ ბრეინვოშინგის(brainwashing)

[25] სკოლა 2-2(2009)https://www.youtube.com/watch?v=oYervSFhrBM 1.55: 3.12.
[26] კაი ბიჭების სკოლა(2011) https://www.youtube.com/watch?v=KWmlRnmvMmU წთ 4.98:5.32.

პოლიტიკა. სახელწიფოს ხისტი პოლიტიკის შედეგად კანონიერი ქურდების სუბკულტურა დაკნინებულად და დამარცხებულად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად ამის, კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა მოზარდებზე კვლავ ნარჩუნდება. საინტერესოა, როგორ და რატომ ნარჩუნდება კანონიერი ქურდების სუბკულტურა პოსტ-საბჭოთა საქართველოში ?

თავი 6 - სკოლა და ქუჩის აკადემია

შესავალი

სოციოლოგიაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, ბავშვის სოციალიზაციაში ოთხი ძირითადი სოციალიზაციის აგენტი მონაწილეობს. ესენია: ოჯახი, სკოლა, თანატოლთა კულტურა(peer culture) და მედია. ამ მხრივ პირველადი სოციალიზაციის აგენტია ოჯახი. ოჯახში ბავშვს გადაეცემა ნორმების, ფასეულობების, სიმბოლოების, ლინგვისტური კოდისა და ქცევის მოდელების პირველადი ნიმუშები (Corsaro 2009; Frønes 2016). ოჯახიდან ბავშვები ინსტიტუციური ცხოვრების შიდაგანაწესში შედიან (იგ. საბავშვო ბაღი და სკოლა). ბავშვები ექვემდებარებიან ინსტიტუციურ შიდაგანაწესს, მასწავლებლების ზედამხედველობის ქვეშ მოექცევიან და დაისწავლიან პოლიტიკურ კულტურაში ცხოვრების ძირითად დებულებებს. ამის მიხედვით უყალიბდებათ გარკვეული ქცევის მოდელები, სამომავლო მიზნები და ცხოვრების სტილი. სკოლა განსაკუთრებული დაწესებულებაც არის. აქ ინდივიდი უმეგობრდება თანატოლებს და ამით მისი სოციალიზაციის წრე ფართოვდება. თანატოლთა კულტურა სხვა ყველა სოციალიზაციის აგენტს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა (იხ. Corsaro 2009). „თანატოლთა კულტურა“ (peers culture) განიმარტება როგორც „სტაბილური აქტივობების, რუტინების, არტეფაქტების, ფასეულობებისა და წუხილების ერთობა,

რომელთაც ბავშვები ინტერაქციის მეშვეობით გაუზიარებენ ერთმანეთს“[27] (Corsaro and Eder 1990, 197). თანატოლთა კულტურის ჩამოყალიბებაში სკოლა გადამწყვეტ როლს თამაშობს. სკოლის შიდა-განაწესი და ადმინისტრირებული ცხოვრების რიტმი, ბავშვების ინტერაქციის ფორმებს აღრმავებს. ამ ინსტიტუციის სოციალური ცხოვრება დიდწილად პოლიტიკურ სისტემასთან სინთეხურად მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე სკოლას ყველაზე მნიშვნელოვან სოციალიზაციის აგენტად განვიხილავ.

საბჭოთა კავშირში სკოლას მოქალაქის სოციალისტურ აღზდაში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, სკოლის ცხოვრება ეროვნული ნაციონალისტური პათოსით გაიჟღინთა. 1991 წელს დაწყებულ სამოქალაქო ომს, ეთნიკური კონფლიქტებიდან მოსახლეობის მიგრაცია დაემატა და უკონტროლო პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების პირობებში სკოლის ყოველდღიური ცხოვრება ერთმნიშვნელოვნად შეიცვალა. გადავსებული საკლასო ოთახები, დანგრეული სკოლის ინფრასტრუქტურისა და ქუჩაში კრიმინალთა თარეში სკოლის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე უარყოფითად აისახებოდა. ამ პერიოდში სკოლის დაცვა კრიმინალური სუბკულტურის გავლენისაგა შეუძლებელიც კი იყო. სკოლის ფორმალური ცხოვრების გვერდით განვითრდა არაფორმალური სკოლის მოდელი. ამ მოდელს ირონიულად ქუჩის (სკოლას) აკადემიასაც უწოდებდნენ.რიგ შემთხვევებში სკოლის ეს არაოფიციალური სოციალური მოდელი უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე, სკოლის ოფიციალური პოლიტიკური მოდელი.

6.1 სკოლა საბჭოთა გამოცდილება

სკოლას საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რადგან პოლიტიკურ ელიტას სწამდა, რომ მომავალი თაობის აღზრდა სკოლაში უნდა მომხდარიყო. კარლ მარქსი, სოციალიზმის მთავარი იდეოლოგი, ამასთან დაკავშირებით მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა მომავალი თაობის აღზრდაში. ასევე ფიქრობდა ვ.ი. ლენინიც და მომავალ თაობას პასუხისმგებლობასაც კი

[27]By peer culture we mean a stable set of activities or routines,artifacts values and concerns that children and share in interaction with peers(Corsaro and Eder 1990,197).

აკისრებდა: ლენინის მიხედვით, მომავალ თაობას უნდა გაეთავისებინა, რომ მათი ცხოვრების საზრისი კომუნისტური საზოგადოების შენება იყო (Pilkington 1994). აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ამ პასუხისმგებლობას ნათლად აცნობიერებდა და სახელმწიფო ფორმალური სოციალიზაციის აგენტებს დიდ ყურადღებას უთმობდა. ამასთან დაკავშირებით ანთროპოლოგი ჰილარი პილკინგტონი (Hilary Pilkington) წერს, რომ საბჭოთა კავშირის აღმზრდელობითი პოლიტიკა რამდენიმე ძირითად თეზას ეფუძნებოდა. მათ შორის ყველაზე საყურადღებო იყო:

- ინდივიდი ბუნებას ინტერაქციის მეშვეობით იცვლის, რის შედეგადაც ბუნება ტრანსფორმირდება და ინდივიდი (lichnost) ჩამოყალიბდება;
- ამ გზით კულტურა მის მატერიალურ ფორმაში განსხეულდება;
- ისტორია სწორხაზოვნად მიედინება და პროგრესი წინარე კულტურების სოციალური მემკვიდრეობის შედეგად მიიღწევა;
- თაობები არიან ამ სოციალური მემკვიდრეობის მთავარი მამოძრავებელი ძალა და სოციალისტური საზოგადოება დაფუძნებულია არა კონფლიქტზე, არამედ კვლავწარმოებაზე. (Pilkington 1994,51-52)[28]

ამდენად, საბჭოთა კავშირში სოციალიზაციის საკითხები კარგად იყო გააზრებული და ამისათვის სახელმწიფომ პოლიტიკური ინსტიტუტები გამოიყენა. ფორმალური სოციალიზაციის პროცესში პირველი ინსტიტუცია, რომელსაც საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმი გვთავაზობდა, საბავშვო ბაღი იყო, ამის შემდეგ მოდიოდა სკოლა, ხოლო სკოლის შემდეგ კი უნივერსიტეტი. ეს გახლდათ საბჭოთა მოქალაქის სოციალიზაციის კლასიკური გზა. თუმცა რიგ შემთხვევებში ისეც ხდებოდა ,რომ უნივერსიტეტს სამხედრო სამსახური ან პროფესიული სასწავლებელი ანაცვლებდა. აღსაზრდელი

[28]-The individual interacts with nature as a result of which the nature is transformed and the individual *(lichnost*)is formed;
-in this way culture –in its material form - is developed;
-history moves in a linear fasion and p,rogress is achieved through the social inheritance of the cultural values of the previous era;
-generations are the vehicle of this social inheritance and socialists society is characterized by a continuity not a conflict of generations; (52)

საბავშვო ბაღში ინსტიტუციურ ცხოვრებას 3-4 წლის ასაკიდან იწყებდა (Kirschenbaum 2001). ბაღის დასრულების შემდეგ 6-7 წლის ასაკიდან გადადიოდა დაწყებით სკოლაში და პარალელურ რეჟიმში ერთვებოდა პოლიტიკური და იდეოლოგიური აღზრდის ახალგაზრდულ ორგანიზაციებში (Kelly 2007). ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციები სამ ეტაპად იყოფოდა: 1. ოქტომბრელები; 2. პიონერები; 3. კომკავშირელები (ახალგაზრდა კომუნისტების კავშირი ან „კომკავშირელები“) (Adelman 1992; Kelly 2007). საბჭოთა მოქალაქე სკოლას 16-17 წლის ასაკში ასრულებდა, გადაეცემოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქის დამადასტურებელი მოწმობა, სკოლის დამთავრების ატესტატი, ენიჭებოდა ხმის მიცემის უფლება, შიდა საკავშირო მოგზაურობისა და მუშაობის უფლება.

თითოეული სოციალიზაციის აგენტი განვითარების ერთ სწორხაზოვან პერსპექტივას წარმოადგენდა, სადაც ხდებოდა საბჭოთა სიმბოლიკის, ისტორიისა და იდეოლოგიის შესწავლა-გათავისება. თავის ამ ნაწილში, ზოგადად საბჭოთა კავშირში და კერძოდ საბჭოთა საქართველოში, ფორმალური სოციალიზაციის აგენტებს შევეხებით. მიმაჩნია, რომ თემა ანალიზს საჭიროებს, რადგან საბჭოთა კავშირსა და მის შემადგენელ ცალკეულ რესპუბლიკებში პოლიტიკური ცხოვრება განსხვავებული რიტმით მიმდინარეობდა. შესაბამისად, განსხვავდებოდა სოციალიზაციის აგენტებში ფორმალური წესრიგის იმპლემენტაციის ფორმებიც. ამ საკითხის ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლები, რადგან ჩემი კვლევის მიზანი არაფორმალური სოციალიზაციის აგენტების კვლევაა.

როგორც აღინიშნა, ფორმალური სოციალიზაციის მეორე ეტაპზე, ანუ სკოლაში, აღსაზრდელი ავტომატურად ერთვებოდა ახალგაზრდულ პოლიტიკურ გაერთიანებებში. ეს გაერთიანებები უნდა განვიხილოთ როგორც ინსტიტუციური სოციალიზაციის წესრიგში არსებული საორგანიზაციო წესრიგი. ამ წესრიგის პირველ რგოლს „ოქტომბრელები“ წარმოადგენდა. „ოქტომბრელების“ პოლიტიკური ორგანიზაცია ექვსიდან ცხრა წლამდე ბავშვებს აერთიანებდა, სადაც ისწავლებოდა ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის იდეალები. ორგანიზაცია არტიკულირებდა

შიდა საორგანიზაციო წესების და რიტუალური წესრიგის შესაბამისად. შეთხზული სიმღერები, დაწერილი ლექსები და საორგანიზაციო სოციოლინგვისტიკა კი ინსტიტუციური წესრიგის ყოველდღიურ ცხოვრებას აყალიბებდა.

ოქტომბრელის საორგანიზაციო წესრიგის დასრულების შემდეგ აღსაზრდელი ავტომატურად ხდებოდა პიონერი. შესაბამისად, იცვლებოდა მის მიმართ წამოყენებული სამოქალაქო და პოლიტიკური პასუხისმგებლობებიც. ახალგაზრდული ორგანიზაცია „პიონერების“ პოლიტიკურ მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამ დროს აღსაზრდელი მოწიფულობის ასაკს (13-14) აღწევდა. პიონერების განკარგულებაში იყო სკოლასთან არსებული შრომითი და რეკრეაციული სივრცეები, საზაფხულო ბანაკები, ე.წ. პიონერთა სახლები და სასახლეები(Adelman 1992, 245-246).
ოქტომბრელების მსგავსად, პიონერების ორგანიზაცია გარკვეული რიტუალური წესებისა და ინსტიტუციური წესრიგის დაცვით ცხოვრობდა. მაგალითად, ორგანიზაციაში გაწევრიანება საზეიმო რიტუალური დაპირებით ხორციელდებოდა და ფიცის დადებაში გამოიხატებოდა:

„მე - (სახელი და გვარი)
ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის პიონერთა
საკავშირო ორგანიზაციის რიგებში რომ შევდივარ,
ჩემი ამხანაგების წინაშე ვიძლევი საზეიმო დაპირებას:
მხურვალედ მეყვარება ჩემი სამშობლო,
ვიცხოვრებ, ვისწავლი და ვიბრძოლებ ისე,
როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა,
როგორც გვასწავლის კომუნისტური პარტია,
მუდამ შევასრულებ საბჭოთა კავშირის პიონერის
კანონებს“ (ნინუა 1984).

ასევე პიონერთა ორგანიზაციის წესდებაში ვკითხულობთ:

„პიონერი სამშობლოს, პარტიის, კომუნიზმის ერთგულია.
პიონერი ემზადება, რომ გახდეს კომკავშირელი.

პიონერი ბრძოლისა და შრომის გმირებს უსწორდება.

პიონერი პატივს სცემს დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას და ემზადება, რომ გახდეს სამშობლოს დამცველი.

პიონერი შეუპოვარია სწავლაში, შრომასა და სპორტში.

პიონერი პატიოსანი და ერთგული ამხანაგია, მუდამ გაბედულად იცავს სიმართლეს.

პიონერი ოქტომბრელთა ამხანაგი და წინამძღოლია.

პიონერი ყველა ქვეყნის პიონერთა და მშრომელთა შვილების მეგობარია (ნინუა 1984, 11).

პიონერთა გაერთიანება საბჭოთა სიმბოლიკით იყო გაჯერებული. პიონერს ჰქონდა კალენდარი - „შენი კალენდარი," სადაც აღირიცხებოდა საბჭოთა კავშირში არსებული დღესასწაულები! (ნინუა 1984) კალენდარში მონიშნული იყო საბჭოთა ბელადების დაბადებისა და გარდაცვალების დღეები, მშრომელთა დღე, გასაბჭოების დღე, ქალთა დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღე და ა.შ. (ნინუა 1984).

პიონერების ორგანიზაციას ჰქონდა ასევე დროშა, დევიზი, წითელი ყელსახვევი და ხუთქიმიანი ვარსკვლავი. თითოეული სიმბოლიკა გარკვეული ინფორმაციის მატარებელი იყო. მაგალითად, პიონერული ყელსახვევი იმიტომ არის წითელი, რომ ის რევოლუციური დროშის ფერია. მისი სამი ბოლო კი განასახიერებს სამი თაობის - კომუნისტების, პიონერებისა და კომკავშირელების ურღვევ კავშირს (ნინუა 1984, 22). „პიონერული ვარსკვლავი ხუთქიმიანია, შუაში ვ.ი. ლენინის თავია გამოსახული და აქვს წარწერა „მზად ვარ"! ვარსკვლავს ზემოთ აღმართულია ცეცხლის ალის სამი სვეტი, როგორც სამი ორგანიზაციის -„ოქტომბრელების", „პიონერებისა" და „კომკავშირელების" გამაერთიანებელი სიმბოლო" (ნინუა 1984, 23).

როგორც აღინიშნა, ახალგაზრდის პოლიტიკური აღზრდის შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა კომკავშირელი. აღსაზრდელი ,,კომკავშირელების" რიგებში 14 წლიდან წევრიანდებოდა და შეეძლო წევრის სტატუსი 28 წლამდე ეტარებინა. კომკავშირელს ფუნდამენტური ადგილი ეჭირა საბჭოთა მოქალაქის იდეოლოგიურ განათლებაში. მის ხელში იყო ორასზე მეტი სახეობის საბავშვო და ახალგაზრდული გაზეთი, სამი საგამომცემლო სახლი, სატელევიზიო და რადიო პროგრამები. ,,კომკავშირელები" ასევე

აქტიურად იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებში (Adelman 1992). აღსანიშნავია, რომ „კომკავშირელების“ რიგებში გაწევრიანება ინდივიდუალურ ნებაზე იყო დამოკიდებული. თუ წინა ორი ორგანიზაცია ბავშვს არჩევანის საშუალებას არ უტოვებდა, ამ შემთხვევაში ასე არ იყო. ,,კომკავშირელებში“ გაწევრიანება სავალდებულო არ ყოფილა. თუმცა, მისი წევრობის გარეშე სამოქალაქო ან პოლიტიკური კარიერის გაკეთება წარმოუდგენელი იყო. ბავშვის პოლიტიკური მოშინაურების ეს მოდელი საბჭოთა კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში უნივერსალური ფორმით ხორციელდებოდა და მას, პოლიტიკური რეჟიმის მსგავსად, ვერტიკალური ფორმა ჰქონდა. გამონაკლისი არც საბჭოთა საქართველო იყო. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკაში არჩეულ პიონერს შეეძლო მოსკოვში პიონერთა სრულიად საკავშირო ორგანოს დელეგატი გამხდარიყო. საქმიანობას ხელმძღვანელობდა „ნორჩ ლენინელთა სახელობის პიონერული ორგანიზაციის საბჭო“, რომელიც მოსკოვში მდებარეობდა. ხოლო ადგილზე პიონერთა მუშაობას ადგილობრივი რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური საბჭოები ახორციელებდნენ (ნინუა 1984).

პოლიტიკური რეჟიმი კონტროლს მიღმა არც საბავშვო თამაშებს ტოვებდა. ამის მაგალითია თამაში ,,ესტაფეტა პიონერული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებაზე“. თამაშის დროს მოწმდებოდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ისტორიული ფაქტების ზეპირი ცოდნა და იდეოლოგიის მამათა სახელების ცოდნა. მსგავსი თამაშების კატეგორიას განეკუთვნებოდა თამაში „პიონერეთის თანავარსკვლავეთში“ (პლიევა, გაზაევა და კლიმენკო 1987). თამაშების მნიშვნელობა პოლიტიკურ რეჟიმს გააზრებული ჰქონდა. მას დიდ ყურადღებას უთმობდნენ საბჭოთა დიდაქტიკოსები და ფსიქოლოგები. მაგალითად საბჭოთა ფსიქოლოგები ლევ ვიგოცკი(1896-1934) და დიმიტრი უზნაძე(1886-1950) კონსტრუქტივისტული თეორიური ჩარჩოს კვლევაში საბავშვო თამაშების მნიშვნელობაზე აქტიურად წერდნენ. მათი კვლევები როგორც სამეცნიერო ისე პოლიტიკურ და სოციალურ ფენებში ფართოდ იყო გაზიარებული.

6.2 სკოლა საბჭოთა კავშირის დანგრევის (1991) შემდეგ

საბჭოთა კავშირის (1991) დანგრევის შემდეგ საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემა ინერციით არსებობდა.ახალგზრდულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ დროს დაკარგეს მნიშვნელობა.1991 წელს დაწყებულმა სამოქალაქო ომმა სკოლის ინფრასტრუქტურა და შინაგანაწესი თითქმის გაანადგურდა. ამას დაემატა თბილისის მოსახლეობის ზრდა, რაც პირველ რიგში განაპირობა “აფხაზეთიდან” და “სამხრეთ-ოსეთიდან“ მიგრირებულმა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა. მოშლილმა საემიგრაციო სისტემამ და 1996 წელს ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმებამ გაანთავისუფლა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის მიერ გამოკეტილი მოსახლეობა. მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო გამოირჩეოდა (Manning 2009; Kaiser 2015;Meladze and Loladze 2017).

1990-იანი წლების საემიგრაციო ტალღამ ქ. თბილისში წარმოქმნა საცხოვრებელი ფართის დეფიციტი და ქალაქის ურბანული სივრცის გარკვეულ ნაწილებში ინფრასტრუქტურული პრობლემები გამოიკვეთა. მაგალითად, სკოლებში საკლასო ოთახებისა და სკამების პრობლემა შეიქმნა. სკოლების დიდი უმრავლესობა ერთ საკლასო ოთახში 20-25 მოწაფეზე მეტს ვერ იტევდა. ეს ლიმიტი დაწესებული იყო საბჭოთა საემიგრაციო პოლიტიკის შედეგად, რომლის მიხედვით სკოლის ტევადობა განისაზღვრებოდა რაიონის მაცხოვრებლებთან თანაფარდობით. დედაქალაქი მსგავსი საემიგრაციო ტალღისთვის მზად არ აღმოჩნდა. სკოლაში მოწაფეთა რაოდენობა (ერთ კლასში) 40-45 მოსწავლემდე გაიზარდა.სკოლები ჭრელი სოციალური იდენტობის მატარებელი მოწაფეებით გადაივსო. ამას ემატებოდა ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება და ენერგო კრიზისი. ამის შედეგად საკლასო ოთახები, პრაქტიკულად, არ თბებოდა, მასწავლებლები ხელფასს ვერ იღებდნენ და გაკვეთილების ცხრილი ბოლომდე თითქმის არასდროს სრულდებოდა. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვები, ქუჩაში იზრდებოდნენ. ამან ქუჩის საზოგადოების ზრდას შეუწყო ხელი. სკოლის პოპულაციის ზრდამ კი წარმოშვა მნიშვნელოვანი განსხვავებები სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსებს შორის. ეს სტატუსები გარკვეული სტიგმის(Goffman 1963)

მატარებელნიც კი იყვნენ მაგალითად, სოფლელი, ლტოლვილი გოიმი ქაჯი. პოლ მანინგის მიხედვით სტატუსები გოიმი და ქაჯი საბჭოთა კავშირის პერიოდში წარმოებული საბინაო პოლიტიკის შედეგი იყო (Manning 2009).

სკოლა "სუბ-კულტურული კაპიტალის"(Bourdieu 1986; Gelder and Thornton 1997) მიმოცვლის ბირჟად გადაიქცა, სადაც ტერიტორიულ ნიადაგზე წარმოქმნილი სოციალური "სტატუსის ფრუსტრაცია"(Cohen 1955) ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. სტატუსის ფრუსტრაციის შედეგად წარმოქმნილი იმედგაცრუება განსაკუთრებით მწვავედ აღიქმებოდა სკოლის მოწაფე ბიჭებში და ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად კანონიერი ქურდების კრიმინალური სუბკულტურა რჩებოდა. ამდენად, შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ სკოლა კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ქვეშ მოექცა. განათლების მკვლევარი სიმონ ჯანაშია სკოლაში კანონიერი ქურდების სუბკულტურის შეღწევის შესახებ:

„1990-იანებში, როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა სკოლის აღჭურვას კონტროლის მექანიზმებით, აღმოჩნდა, რომ ბავშვებს შეეძლოთ ამისი გაკეთება. თუ მე-7 კლასამდე მასწავლებლები ახერხებდნენ მოსწავლეების დაშინებას, მე- 7 კლასის შემდეგ მოსწავლეები აშინებდნენ მასწავლებლებს. იყო შემთხვევები, როდესაც სცემდნენ დირექტორებს, გარედან მოჰყავდათ კრიმინალური ავტორიტეტები და ისინი აშინებდნენ მათ. მაგალითად, 2007 წელს, სკოლის რეფორმის პიკში, როდესაც სკოლებმა დაიწყეს დაცვის დაყენება გარე პერიმეტრზე, მაგალითად, ვაკის ერთ-ერთ სკოლაში უბნის ნარკოტიკების გამსაღებლები მივიდნენ და უთხრეს, რომ ესე არ გამოვიდოდა ეს ამბავი და მათთვის სკოლა უნდა გაეხსნათ. ასევე იყო მაყურებლების პრობლემაც, რომლებიც ფულს აგროვებდნენ იმ მოტივით, რომ ციხეში უგზავნიდნენ ვიღაც კრიმინალებს"[29](რადიო თავისუფლება 2017).

სკოლა, სხვა სახელმწიფო ინსტიტუციების მსგავსად, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის გადმონაშთი იყო, რაც გამოიხატებოდა მის ინსტიტუციურ მოწყობაში, დისციპლინაში და პედაგოგების მსოფლმხედველობაში. საბჭოთა სისტემური გადმონაშთი იყო ჯარი და ციხეც. მაგალითად, კანონიერი ქურდების სუბკულტურას ჯარზე გავლენა არ ჰქონია, იქ

[29] რადიო თავისუფლება (2017) საბჭოთა აღზრდა დღვანდელ სკოლაში. https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/28560634.html 26:55-27:50.

არსებობდა არაფორმალური წესრიგი ე.წ. „დედოვშინა“[30], რომელიც ფორმალური წესრიგის ალტერნატივას ქმნიდა და განსხვავდებოდა კანონიერი ქურდების მიერ ციხეში შექმნილი წესრიგისაგან. კანონიერი ქურდების ნაკლები ინტერესი ჯარის მიმართ მათი პროფესიული მოვალეობიდან გამომდინარეობდა. კანონიერი ქურდი ჯარში არ უნდა ყოფილიყო ნამყოფი. მსგავსი დახურული ტიპის დაწესებულება იყო ფსიქიატრიული საავადმყოფოც. ამ სივრცეში სოციალური ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ კანონიერი ქურდები ამ სივრცით დიდად არ სარგებლობდნენ. რაც შეეხება სკოლას, შიდა განაწესი, გაკვეთილების ცხრილი და პედაგოგიური დისციპლინა მას „ტოტალურ ინსტიტუციად“ აქცევს.„ტოტალური ინსტიტუციის“კონცეპტი სოციოლოგ ირვინგ გოფმანს (Erving Goffman) შემოაქვს. გოფმანის მიხედვით „ტოტალური ინსტიტუცია“ შეიძლება განიმარტოს, როგორც გარკვეული დროის მანძილზე ადამიანების გარესამყაროსაგან იზოლირებული ცხოვრების ადგილი, სადაც მუშაობა ან უბრალოდ ცხოვრება ამ ინსტიტუტის ფორმალურ შიდა განაწესს ექვემდებარება“[31] (Goffman 1961, 11).

თუმცა,სკოლა სხვა ინსტიტუციებისაგან განსხვავებით(ციხე,ჯარი) გარესამყაროსთან მაღალი ინტერაქციის ფორმებით გამოირჩევა,მისი ეს თვისება განსაზღვრავს კულტურული ნორმებისა და ინსტიტუციური წესრიგის ერთმანეთში ადვილად მონაცვლეობას. მაგალითად 1990-იან წლებში სკოლის ინსტიტუციური ღიაობა გარედან შემომავალი ფასეულობების გავრცელებას უწყობდა ხელს,მათ შორის ქუჩის აკადემიაში ღრმად ინკორპორირებული კრიმინალური „გაგებაც“ იყო.

6.3 სკოლის რეფორმა 2005-2010

---

[30] დედოვშინა - რუსული სიტყვიდან дед(პაპა). დედოვშინა შეიძლება გავიგოთ როგორც უხუცესთა ან უფრო გამოცდილ ჯარისკაცთა მიერ ახალბედა და გამოუცდელი ჯარისკაცების მიმართ ძალადობის გზით თავს მოხვეული წესრიგი.

[31]“Total institution may be defined as place of residence and work where a large number of like –situated individuals, cut off from the wider society for an appreciable period of time.together lead an enclosed, formally administered round of life.(Goffman 1961,11)

2005 წლიდან სახელწიფომ სკოლაში წესრიგის დაყენების მიზნით ძველი დირექტორების ახლით ჩანაცვლების პოლიტიკა წამოიწყო.ახალი დირექტორების სკოლებში დანიშვნა ლოტოტრონის მეშვეობით შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ხდებოდა. ამ პერიოდიდან დაიწყო მასწავლებლების გადამზადებაც, შეიცვალა სკოლის სახელმძღვანელოები და გაჩნდა განცდა, რომ სახელმწიფო ამ ინსტიტუციაზე სრული კონტროლის დაწესებას ცდილობდა. ამას მოჰყვა მასწავლებლებისა და დირექტორების მხრიდან პროტესტი. სახელმწიფო კი შეუდრეკელი იყო მსგავსი წინააღმდეგობრივი მოძრაობების მიმართ. სახელწიფოს მიერ სკოლაზე კონტროლის დაწესების მაგალითად 2011 წელს მომხდარი საპროტესტო აქციაც გამოდგება. თბილისის N53 სკოლაში ასეთი შემთხვევა მოხდა. იმჟამინდელი მინისტრის დიმიტრი შაშკინის (2009-2012) ინიციატივით ამ სკოლაში დირექტორად დაინიშნა ტარიელ შავშიშვილი. შავშიშვილმა 2011 წელს სადისციპლინო კონდექსის დარღვევისათვის სამაგალითოდ დასაჯა მე-11 კლასის ორი მოწაფე - ირაკლი მჭედლიშვილი და მიხეილ ალექსიძე. ისინი სკოლიდან გარიცხა და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამას მოჰყვა სკოლის მასწავლებელთა, მოწაფეთა და მშობელთა პროტესტი, რის გამოც სკოლა რამდენიმე დღის განმავლბაში არ ფუნქციონირებდა. ამ ფაქტით შავშიშვილმა სკოლაში არაფორმალური ზეგავლენის მქონე სუბიექტების მიმართ გამოცხადებული ბრძოლის შესახებ მიანიშნა და სკოლის ცხოვრებაში ახალი დროის დაწყებას გაუსვა ხაზი.

„სკოლა არ არის ქუჩური გარჩევების ადგილი და წარსული აღარასოდეს დაბრუნდება“ - განაცხადა შავშიშვილმა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში[32](Ambebi.ge 2011).

სკოლაში უსაფრთხოების დაცვისა და სახელწიფოს ძალაუფლების გავრცელების მიზნით შემუშავდა პოლიტიკა სახელწოდებით „სკოლა დანაშაულის გარეშე“ (2007). ამ პოლიტიკის ფარგლებში 2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის ბრძანებით მანდატურის ინსტიტუტი იქნა შემოღებული. მანდატური ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და *manus* - ხელს და *datur* - მესამე

[32] Ambebi.ge (2011)http://www.ambebi.ge/sazogadoeba/48952-53-e-skolis-direqtorma-mikheil-aleqsidzis-garickhvasthan-dakavshirebith-komentari-gaaketha.html?add=1

პირს ნიშნავს. მანდატური გაწვრთნილი სამოქალაქო პირია და სკოლის ცხოვრებაში ღრმად არის ინტეგრირებული. მის მოვალეობაში შედის სკოლის უსაფრთხოების დაცვა და მოსწავლეთა შორის კონფლიქტის აღკვეთა (Tangiashvili and Slade 2014). მანდატური მოქმედებს როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი და სკოლის ადმინისტრაციასა და მოსწავლეს შორის შუალედური რგოლის ფუნქციას ასრულებს. მანდატურის უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ" (2011). ამ კანონში გაწერილია მანდატურისთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობები (მუხლი 48[3]), მის მიერ ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შემთხვევები და წესები (მუხლი 48[3]). 2017 წლისთვის საქართველოს 445 საჯარო სკოლაში 1275 მანდატური ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას (ხალიანი 2017). ამ პოლიტიკის იმპლემენტაციას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გარდა, აწ უკვე რეფორმირებული პოლიცია და პროკურატურა ახორციელებდა. ამ პერიოდიდან გახშირდა სკოლებში რეიდები და გამკაცრდა კონტროლი.

> *„2007 წელს კახა ლომაიას (განათლების მინისტრი) 27 მარტის ბრძანება დღეს მოულოდნელი რეიდის დროს თბილისის სამ სკოლაში 135-ე, 55-ე და 61-ე სკოლებში გააცნეს. რეიდი განათლების სამინისტროსთან ერთად მერიამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურის თანამშრომლებმა ჩაატარეს. ცივ იარაღზე და ნარკოტიკებზე შემოწმდა მე-8-დან დაწყებული და მე-11 კლასის ჩათვლით. განათლების მინისტრის ამ ბრძანების მიხედვით მოსწავლე, რომელსაც ცივი იარაღი ექნება, დაჯარიმდება 500 ლარით, რომლის გადახდა მშობელს მოუწევს"[33](რადიო თავისუფლება 2017).*

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან მანდატურების უფლებები მნიშვნელოვნად შეიკვეცა, რადგან ეს ინსტიტუტი 2012 წელს მოსული ხელისუფლების მიერ აღქმული იყო როგორც სააკაშვილის პოლიციური მმართველობის ერთ-ერთი გამოხატულება. 2012 წელს მანდატურების ინსტიტუტის გადახედვის მოთხოვნით საქართველოს

[33] რადიო თავისუფლება (2017)https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/28560634.html 41:06 – 41:50.

კათოლიკოს-პატრიარქიც კი გამოვიდა. მან ერთ-ერთი საკვირაო ქადაგების დროს განაცხადა:

„ბავშვის აღზრდაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს, ოჯახს, ეკლესიას და სკოლას. მაგრამ ჩვენ ამას არ ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას და დავუნიშნეთ ისეთი ზედამხედველები, რომლებიც სკოლებში ეგრეთ წოდებული მანდატურები რომელნიც კი არ ზრდიან ჩვენს შვილებს, არამედ აქცევენ მათ ენის მიმტანებად, მიაქვთ ენა თავის მასწავლებლებზე, მეგობრებზე, ამიტომ ეს საკითხი კიდევ შესასწავლია“[34] *(18.06.2012).*

მიუხედავად სახელმწიფოს ძალისხმევისა, სკოლა კრიმინალური ზეგავლენებისგან ბოლომდე ვერ განთავისუფლდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია არაფორმალური ცხოვრების გამოცდილება, რომელიც სკოლას ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან მოსდევს. 1960-1970-იანი წლებიდან, გარდა იმისა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა ყვაოდა, საბჭოთა ეთნიკურ-ნაციონალისტური პოლიტიკის გავლენით სკოლის პროგრამაში ნაციონალისტური სახის ლიტერატურაც შეიტანეს. სკოლის პროგრამაში ნაციონალური კულტურული გმირების ჰეროიკულმა და რომანტიზებულმა სწავლებამ ვიწრო ეთნიკურ-კულტურული რწმენა-წარმოდგენები გააძლიერა და სისტემის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი წარმოშვა. ამას დაემატა 1960-1970-იან წლებში საყმაწვილო ლიტერატურაში ნოდარ დუმბაძის რომანების გამოჩენაც. ძმაკაცობის, კაცურობისა და ვაჟკაცურობის მოდელების ინტერპრეტირება, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღში“ და ხალხურ პოემა „არსენას ლექსში“ (ლექსი ყაჩაღ არსენა ოძელაშვილის შესახებ) ხდებოდა. ყაჩაღობა, ვაჟკაცობა და კანონიერი ქურდობა, პრაქტიკულად, ერთმანეთს დაუკავშირდა და თითოეული ცალკე და სამივე ერთად საბჭოთა პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობად გარდაიქმნა. ამასთან დაკავშირებით მწერალი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე წერდა, რომ საბჭოთა მოქალაქეს პროტესტის გამოხატვა არ შეეძლო, რადგან ის საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მიერ კონტროლდებოდა. საბჭოთა მოქალაქე რეპრესირებული ბუნებისა იყო და მისი ზნეობა საბჭოთა სისტემის

[34] პატრიარქის საკვირაო ქადაგება(18.06.2012)https://www.youtube.com/watch?v=6MbfjJZjCMY [0:28-1:48]

მხარდაჭერის პროპორციულად ყალიბდებოდა. პროტესტის გამოვლენის ერთადერთი ფორმა ყაჩაღობა იყო. „ყაჩაღობა, როგორი სახითაც უნდა გამოვლინდეს იგი, სოციალური, პოლიტიკური, ეროვნული პროტესტია“(ბაქრაძე 1990, 75).

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ აკაკი ბაქრაძის ამ მოსაზრებას და უფრო მეტიც, დავამატებდით, რომ „ყაჩაღობა“, როგორც ანტისისტემური პროტესტის ერთ-ერთი ფორმა, სწორედ საბჭოთა საქართველოს სკოლებში მუშავდებოდა. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი ის გარემოება, რომ სკოლა კრიმინალური სუბკულტურის სუბტიტრებით ხელმძღვანელობდა. ამის შესახებ იცოდა ყველამ, მათ შორის მასწავლებლებმა და დირექტორებმა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ამ სუბკულტურის მიმართ ლოიალურები იყვნენ.

ამაზე მეტყველებს ერთი ფაქტი:

> *„2007 წელს რაღაც ძალადობის ფაქტები იყო სკოლებში და განათლების სამინისტრომ სცადა, რაღაც საჩვენებელი რეიდი გაეკეთებინა სკოლებში. სამინისტრო სკოლებში დირექტორებს შეუთანხმდა. უთხრა, რომ სკოლებში პოლიციის ქვედანაყოფები მოულოდნელად შევიდოდნენ, გაჩხრეკდნენ ბავშვებს და ცივი იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში ჩაუტარებდნენ ლექციას, თუ რა საშინელებაა ცივი იარაღი. რომ მივიდნენ სკოლებში, არ დახვდათ არაფერი, მათ შორის ცივი იარაღიც კი. შემდეგ, როცა დავიწყეთ გამოკვლევა, ან დირექტორი ატყობინებდა წინასწარ სკოლას, ან მასწავლებელი ინახავდა მოსწავლეთა იარაღს ან აყრევინებდნენ ფანჯრებიდან. საბოლოოდ იყო ბრძოლა ჯიგარ სკოლასა და ცუდ სახელმწიფოს შორის“*[35] *(რადიო თავისუფლება 2017).*

სახელწიფოს ხისტი პოლიტიკის მიუხედავად სკოლაში კვლავ რჩება ე.წ. შავი ხვრელები ღრმად შეჭრილი კრიმინალური მორალის სახით. ამაზე 2017 წლის 1 დეკემბერს ქ.

[35] https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/28560634.html 40:10 - 41:08.

თბილისში საზარელი მკვლელობა მეტყველებს. ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობების გამო N51 სკოლის ორი მოსწავლე, დავით სალარიძე და ლევან დათუნაშვილი, გარდაიცვალა. სისხლიანი საქმის გარჩევა მე-9 და მე-11 კლასელ ბიჭებს შორის მოხდა და ჯამში 15 მოზარდმა მიიღო მონაწილეობა. ამ ფაქტმა საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის ყურადღება მიიპყრო. ერთი ნაწილი ამ შემთხვევას განიხილავდა როგორც სკოლაში ე.წ. მანდატურების ინსტიტუტის უფლებების შეზღუდვის შედეგს. მეორე ნაწილი კი კანონიერი ქურდების ტრადიციასა და მის დაბრუნებაზე ალაპარაკდა. ასევე გამოითქვა მოსაზრება სკოლაში უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მიზნით მეტალოდეტექტორების დამონტაჟების შესახებ და სკოლებში რეიდების განხორციელების აუცილებლობასაც გაესვა ხაზი.

6.4 ქუჩის აკადემია

სახელწოდება „ქუჩის აკადემია“ სკოლის ირონიული ანალოგიაა. „ქუჩის აკადემიკოსების“ მიერ სკოლის ირონია და სარკაზმი ამ სივრცის დამოუკიდებობისა და თვითმყოფადობის განმსაზღვრელია. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით ,ქუჩის აკადემია ოჯახისა და სკოლისაგან დამოუკიდებელი თვითმყოფადი სოციალიზაციის სივრცეა. ეს თვითმყოფადობა რიტუალური შეკრების ადგილებში(ბირჟა) გამოიხატება. ქუჩის აკადემია განიხილება, როგორც სახელწიფოში არსებული ფორმალური ძალაუფლების ალტერნატიული წყარო და ხშირ შემთხვევაში სოციალური ორგანიზაციის ანტისისტემური მოდელი, რომელსაც მაღალი კრიმინალური წარმადობა აქვს (Koehler 2000;Захарова 2010;Curro 2017).

ქუჩის საზოგადოებაში სოციალური ცხოვრება პრაქტიკული თვალსაზრისით არ განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირში ღრმად ინკორპორირებული სოციალური ცხოვრების სტილისგან, რომელიც ეფუძნებოდა კოლექტიური კონტროლის პრინციპს - „ზედამხედველობა ყველასი ყველას მიერ“ ანუ ურთიერთზედამხედველობა(Kharkordin 1999). ამ უკანასკნელის შესახებ საბჭოთა კავშირის საზოგადოებისა და პოლიტიკის

მკვლევარი ოლეგ ხარკორდინი(Oleg Kharkordin) წერდა: „ზედამხედველობა ყველასი ყველას მიერ“ სოციალური კონტროლისათვის გამოგონილი ერთი კონკრეტული ხრიკი არ გეგონოთ, ის არის პირამიდის ძირი, რომელსაც მიადგება ყველა, ვინც პირამიდის დალაშქვრას განიზრახავს. თუ პირამიდას ეს საძირკველი გამოეცლება, ის დაინგრევა, იერარქიები გაქრება და საბჭოთა ძალაუფლება გაუჩინარდება. საყოველთაო ზედამხედველობა საბჭოთა ძალაუფლების ხერხემალია; ამის გარეშე საბჭოთა კავშირი ვერასდროს იარსებებდა“ (Kharkordin 1999.110)[36].

ქუჩის აკადემიაში ურთიერთზედამხედველიბის ფორმების შესახებ „კაი ბიჭი“ საუბრობს.

#4 *უბანში ჩვენ ყველამ ყველაფერი ვიცით ვინ ვინ არის, არა? მე 1990 წლიდან იმ უბანში ვცხოვრობ, სადაც ვცხოვრობ. უბანში შეიძლება პირადად არ იცნობდე სხვა მაცხოვრებლებს, მაგრამ ზოგადად ინფორმაცია ვიცით ვინ ვინ არის და რას წარმოადგენს. მაგალითად, შენ მე ვიცი ვინ ხარ და რას აკეთებ, შესაძლოა პირადად არც გიცნობდე, არა? (14.06.2014, 21-10 22-40).*

ქუჩის აკადემია აქტუალური საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად წარმოქმნილი სოციალური და პოლიტიკური ანარქიის პირობებში გახდა. ამ პირობებში არაფორმალური სოციალიზაციის სივრცეების მნიშვნელობა თითქმის გაუტოლდა წამყვანი კულტურის ფორმალური აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მნიშვნელობას.

არაფორმალური სოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ქუჩის აკადემია, გადამწყვეტ როლს თამაშობდა ახალგაზრდა კაცის რეპუტაციის ფორმირებაში. რეპუტაცია სტატუსის მოსაპოვებლად ერთმნიშვნელოვნად საჭირო იყო. რეპუტაციას

[36]Mutual surveillance is the reliable bedrock of Soviet power […] surveillance of everybody by everybody else is not a clever institutional trick adopted as a last resort when nothing else is working; on the contrary, this is the ever present rock bottom that one reaches upon dismantling mountains of power. If this bedrock dissolves, Soviet power disappears: hierarchies crumble and pyramids collapse. Mutual surveillance sets the cornerstone of Soviet power: without it, the Soviet Union could never have existed (Kharkordin1999.110)

დაახლოებით ისეთივე დატვირთვა ქონდა, როგორც ფორმალური სოციალიზაციის გზაზე ინდივიდის ავტობიოგრაფიას ან მის პროფესიულ რეზიუმეს. მაგალითად საბჭოთა კავშირში კარგი რეპუტაცია აკადემიური მიღწევებისა და სამაგალითო ქცევის შედეგი იყო.კარგი აკადემიური მოსწრების მქონე ინდივიდი, გარკვეული თვალსაზრისით, ფორმალურ ინსტიტუციასთან თანამშრომლობაში იყო შემჩნეული.

ამ ყოველივეს კრიმინალური სუბკულტურა ეწინააღმდეგებოდა. კრიმინალურ სუბკულტურაში სტატუსის უნაკლობას/უზადობას განსაზღვრავდა კანონიერი ქურდების დაუწერელი ნორმების ცოდნა. ლინგვისტური კოდის, სიმბოლოების და ზეპირი ისტორიების ცოდნა დამატებითი მოთხოვნა იყო. ამ აკუმულირებული ცოდნის სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი კანონის დარღვევას ანუ დანაშაულის ჩადენას ეჭირა. ინდივიდის მიერ დანაშაულის ჩადენა იყო მკაფიო განაცხადი და ერთგვარი გადასვლის რიტუალი (rite de passage)(Gennep 1961), რომლის დროსაც აგენტი ფორმალურ წესრიგს უპირისპირდებოდა და მას არაფორმალურით ანაცვლებდა. ამ დროს ქუჩის სოციალური ცხოვრება, ციხის სოციალური ცხოვრებით ჩანაცვლდებოდა.

6.5 ქუჩის აკადემია 2005-2010 წლებში

ქუჩის აკადემიისრეპუტაცია ვარდების რევოლუციის (2003) შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ეჭვს ქვეშ დააყენა. ჯერ კიდევ 2004 წელს სახელმწიფომ ამ სივრცეზე წესრიგის დასამყარებლად საპოლიციო რეფორმის შედეგად ფორმირებული დანაყოფები გაამწესა. სახელმწიფოს ეს პირველადი რეაქცია ქვეყანაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარებით იყო განპირობებული, თანმდევი ქრონიკული წარმოდგენებით გაიდეალიზებული კრიმინალების შესახებ. ამას ემატებოდა კორუმპირებული და დემორალიზებული პოლიციელი, რომელსაც საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. სახელმწიფოს ბრძოლა იყო უკომპრომისო და მას უსისხლოდ არ ჩაუვლია. სამწუხაროდ იყო მსხვერპლიც - ბუტა რობაქიძე 2004 წლის 23 ნოემბერს ერთ-ერთი საპოლიციო რეიდის დროს მოკლეს. 2006 წელს გახმაურდა ე.წ. კორტების საქმეც, რომელსაც ზურა ვაზაგაშვილისა და

ალექსანდრე ხუბულოვის სიცოცხლე ემსხვერპლა. ქუჩებში გახშირდა რეიდები, ბირჟებზე შეკრებილი ახალგაზრდები მიჰყავდათ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. უბნებში გამოჩნდნენ უბნის ინსპექტორები, რომელთაც დაევალათ უბანში მცხოვრები ყველა ახალგაზრდის აღწერა. სახელმწიფო „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელწიფო სტრატეგიით“ კანონიერ ქურდებს, კანონის ძალით დაუპირისპირდა. ამან განაპირობა ე.წ. ქუჩის აკადემიიდან არაფორმალური ზეგავლენის მქონე სუბიექტების ელიმინაცია. გაიზარდა ძალადობის ფაქტები ქუჩის საზოგადოებაში, რაც განპირობებული იყო ქუჩის საზოგადოებიდან არაფორმალური წესრიგის დამცველ/მოსამართლე კანონიერი ქურდების ელიმინაციით.

არაფორმალური წესრიგის ჩასანაცვლებლად სახელმწიფომ ერთგვარ ხერხს მიმართა. დამრიგებლის გარეშე დარჩენილ ახალგაზრდებში მოზღვავებული ფიზიკური ენერგია სპორტულ მოედნებსა და გამაჯანსაღებელ სკვერებში უნდა დახარჯულიყო. ამისათვის სახელმწიფო მასიურად შეუდგა უბნებსა და სკვერებში სტადიონებისა და სავარჯიშო მოედნების მშენებლობას. ეს კამპანია 2007 წლიდან დაიწყო და თითქმის მთელ საქართველოს მოედო. უბნების სათამაშო მოედნებით აღჭურვის შემდეგ დამონტაჟდა ღამის განათებაც. ამ პერიოდის ქ. თბილისის მერიის სლოგანი იყო „თბილისი სინათლის ქალაქი“[37](რადიო თავისუფლება 2010). უბნების განათებამ და ქუჩაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებამ შედეგი გამოიღო. გაიზარდა მოქალაქეთა უსაფრთხოების შეგრძნება და ამაღლდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, კერძოდ, საპატრულო პოლიციის მიმართ, ნდობა (Slade 2012; Kupatadze 2012). ამის შედეგად ბირჟებზე მდგომმა ახალგაზრდებმა განათებულ მოედნებსა და სკვერებს მიაშურეს და ქალაქის სპორტული ცხოვრების დინამიკა ერთიორად გაიზარდა. თუმცა „ბირჟამ“ და თბილისის ქუჩამ ტრადიციული ცხოვრების რიტმზე უარი ადვილად ვერ თქვა. ახალ რეალობაში ქუჩაზე გამკაცრებული სახელმწიფო კონტროლი „ბირჟებსაც“ დაეტყო. „ბირჟაზე“ დგომა უსაფრთხო აღარ იყო და აქედან გამომდინარე, შედარებით უსაფრთხო სივრცე,

[37] რადიო თავისუფლება.2010. ინტ. თბილისის მერობის კანდიდატების წარმომადგენლებთან მამუკა ახვლედიანი (მერობის კანდიდატის გიგი უგულავას წარმომადგენელი) URL: https://www.radiotavisupleba.ge/a/2046404.html

ელექტრონული მედია და სოციალური ქსელი, შეირჩა. „ბირჟებზე“ განსახილველმა საკითხებმა ონლაინფორუმებსა და დახურული ტიპის „ფეისბუკის“ ჯგუფებში გადაინაცვლა.

ქუჩაზე ფორმალური ძალაუფლების დამყარების მოტივით წარმოებული სახელმწიფო კამპანია წარმატებული აღმოჩნდა. ქუჩაზე არაფორმალური ძალაუფლების მქონე სუბიექტების გავლენა შესუსტდა. ქუჩის საზოგადოების წევრები ქუჩაში ცხოვრებას სამომავლო პერსპექტივად აღარ ისახავენ. ის სოციალურ აღიარებას არის მოკლებული და ეკონომიკური დაინტერესებაც ნაკლებია. ამის დასადასტურებლად გთავაზობთ ფორუმიდან ამონარიდს, სადაც ადმინისტრატორი სვამს შეკითხვას ქუჩის აკადემიის მნიშვნელობის შესახებ ახალგაზრდა მამაკაცის სოციალიზაციის თვალსაზრისით.

- *„ბიჭებო! არის თუ არა ქუჩა აკადემია? ყალიბდება თუ არა ბავშვი „დედიკოსბიჭად“ ამ აკადემიის გარეშე? ბიჭებო, რა როლი ითამაშა თქვენს ცხოვრებაში ქუჩამ და რა ისწავლეთ?“*
- *,,ადამიანმა ქუჩაც უნდა იცოდე და „დედასაც უნდა უჯერებდე“. ქუჩაში დგომას არ აქვს მომავალი, თუმცა არც მის გარეშე შეიძლება(Forume.ge 05.12.2013,22:34).*

თუმცა, მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ქუჩა კვლავ რჩება ახალგაზრდა მამაკაცის სოციალიზაციის ერთერთ ფორმად. გარდა ამისა, ქუჩა ოჯახისგან და ფორმალური ინსტიტუტებისგან დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას იძლევა. აქ ახალგაზრდა მამაკაცები იქცევიან კაცებად, გაივლიან რა ხიფათით აღსავსე გზას. ამასთან ერთად, ეს სივრცე პოზიტიურობით ხასიათდება უფროს თაობაშიც. ისინი ქუჩის ცხოვრების წესების მოყოლით და მათი რიტუალური შესრულებით მომავალ თაობას მყარი ფორმის მქონე რეკვიზიტებით კარგად აღჭურვილ ერთგვარ სახელმძღვანელოს გადასცემენ. ეს სახელძღვანელო სოციო-კულტურული ცოდნით არის გაჯერებული და მომავალ თაობას წამყვან ქართული კულტურასთან ადაპტაციაში ეხმარება.

...

2010 წლიდან სკოლის ცხოვრებაში მანდატურების გამოჩენამ სკოლა საფრთხის შემცველი ინსტიტუციიდან შედარებით უსაფრთხო ინსტიტუციად გადააქცია. ქუჩის აკადემიაში გატარებულმა რეფორმამ რაც გამოიხატა უბნებში მკაცრი რეიდების გატარებაში, ურბანული(უბნის) სივრცის კეთილმოწყობაში, გასართობი და რეკრეაციული სკვერების ხელმისაწვდომაბაში და გარე განათების დამონტაჟებაში, ამ ყოველივემ ქუჩაში ძალადობისა და კრიმინალის ფაქტები შეამცირა. ბირჟებმა თითქოს სათამაშო მოედნებზე გადაინაცვლა. თუმცა, ძველი ბირჟის ლოკაციებს არ დაუკარგავს სოციალიზაციისა და აკულტურაციის მნიშვნელობა. ეს მეხსირება განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანებში ნარჩუნდება. თბილისის სკოლებში შედარებით განსხვავებული ვითარებაა. იქ კრიმინალური ფასეულობების გავრცელება და ინკორპორირება კრიმინალური თამაშების მეშვეობით ხდება. ამას რამოდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. (1)კანონიერი ქურდების სუბკულტურა სკოლაში შეჭრილი სხვა ახალგაზრდული სუბკულტურებისაგან განსხვავებით (გეიმერები, როკერები, პანკები, გოთები, ემოები) ერთადერთია, რომელიც პოსტ-საბჭოთა საზოგადოების ღირებულებით რუკაზე ფიქსირდება. ყველა სხვა სუბკულტურა ახალი, გარედან შემოტანილი, თავსმოხვეული და ზედმეტად პრო-დასავლურია.(2)სკოლის უსაფრთხოებამ ავტომატურად არ მოიტანა ღრმად გამჯდარი კრიმინალური რწმენა წარმოდგენების დავიწყება.(3)კანონიერი ქურდების სუბკულტურა კვლავ მოწონებით სარგებლობს უფროს თაობაში (მშობლები,ნათესავები,მასწავლებლები). ის სიამაყის, ღირსების, თვისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადო დაცვის გარანტორია.

თავი 7 - კრიმინალური თამაშები

შესავალი

საბავშვო კრიმინალურ თამაშებს საზაფხულო სკოლაში და ქ. თბილისის საჯარო სკოლებში დავაკვირდი. კრიმინალური თამაშები კანონიერი ქურდების დაუწერელი წესების მიხედვით იმართება. ამის გამო ის შეიძლება გაანალიზდეს, როგორც "პატარა თამაშები"(little games)(Kaminski 2004). „პატარა თამაშები" კამინსკის Kaminski(2004) მიხედვით პოლონეთის ციხეებში იმართებოდა. ამ თამაშების მეშვეობით პატიმრები ერთმანეთს ტესტურ შეკითხვებს უსვამდნენ.როგორც ჩანს, საბავშვო კრიმინალური ტესტ თამაშები თბილისში მცხოვრები მოზარდებისთვის გარკვეული მნიშვნელობისა და ფუნქციის მქონეა: (1) ტესტ თამაშები ბავშვებში სტატუსის გამჟღავნების ერთ-ერთი ფორმათაგანია და ის არის კანონიერი ქურდების დაუწერელი წესების ცოდნის დემონსტრირების საშუალება. ამ წესების ცოდნა მნიშვნელოვანი იყო 1990 - იანი და 2000 - იანი წლების დასაწყისში სოციალიზებული ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც კრიმინალურ სუბკულტურასთან აფელირებას ცდილობდა, მაგალითად, „კაი ბიჭების" სტატუსის მქონე ახალგაზრდები. (2) ციხის კონტექსტში კამინსკიმ(Kaminski 2004) „პატარა თამაშების" კვლევის დროს დაადგინა, რომ ამ თამაშების მეშვეობით პატიმრები თავის დამკვიდრებას ცდილობდნენ. უფრო მეტიც, ეს თამაშები პატიმრების სოციალურ მიკუთვნებულობას და ამავე დროს ციხის სოციალურ იერარქიაში მათ დაწინაურებას უზრუნველყოფდა(Kaminski 2004).რა ფუნქცია და მნიშვნელობა აქვს კრიმინალურ თამაშებს მოზარდების სოციალიზაციაში ?

7.1 ქურდი ზონაში

პოსტ-საბჭოთა საქართველოს ციხეებში პატიმართა სტატუსის დადგენა ერთგვარი ტესტური თამაშების მეშვეობით ხდებოდა. ახალშემოსულ პატიმარს პირველივე დღიდან ეკითხებოდნენ: „კაი ბიჭი ხარ ?“ მსგავსი მეთოდი პოლონეთის ციხეშიც იყო მიღებული. პოლონეთის ციხეში ყველა ახალშემოსულმა უნდა უპასუხოს ერთ ფუნდამენტურ შეკითხვას: „გრიპსმენი ხარ?“[1] (Kaminski 2004,16). გრიპსმენები პოლონეთის ციხეში პატიმართა ყველაზე დიდი ჯგუფია. ის დომინირებს მის ქვემოთ მდგომ კასტებზე, მაგალითად, საკერსებზე და ფაგებზე (Suckers and Fags). გრიპსმენები, სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, სარგებლობენ ურთიერთმხარდაჭერისა და პრობლემის დაძლევის კოლექტიური უნარით. ისინი სელექციურად არჩევენ მათ რიგებში მოხვედრის მსურველებს და ამისათვის დაკითხვისა და გამოცდის მრავალ მეთოდს იყენებენ. ერთ-ერთი მათგანია დაკვირვების მეთოდი. ამ დროს გრიპსმენი აკვირდება კანდიდატის ქცევის მანერას, ლაპარაკის უნარს და სხეულის მოხატულობას (სვირინგები) (Kaminski 2004,16-17).

საქართველოს ციხეებში ეს გაცნობითი სახის შეკითხვა ეხებოდა ყველას, განურჩევლად მისი კრიმინალური წარსულისა. შეკითხვის დასმის უფლება „მაყურებლის“ პრეროგატივა იყო, რადგან ის განსაზღვრავდა პატიმართა განსახლებისა და თანაცხოვრების ნორმებს. ამ საკითხს იხსენებს 2006-2007 წლებში ორთაჭალის N5 დაწესებულებაში მყოფი მაყურებელი.

#5 „ჩემი მოვალეობა ახალი პატიმრების შესახებ ინფორმაციის მოგროვება იყო. ვინ რომელი რეგიონიდან იყო, რა ტიპის ადამიანი, იყო თუ არა „კაი ბიჭი“ და რა ტიპის ცხოვრებით ცხოვრობდა. ამის შემდეგ ვიცოდით მისგან რა უნდა მოგვეთხოვა“ (ორთაჭალის N5 დაწესებულებაში ყოფნის დრო 2006-2007) (31.05.2014 16-25:17-05).

საქართველოს ციხეებში პატიმრის სტატუსის გარკვევის შემდეგ ხდებოდა ამ სტატუსის გადამოწმება. ამისთვის ორი მეთოდი არსებობდა:პირველი, დაკვირვების მეთოდი. ამ დროს პატიმრები ერთმანეთის ქცევას ციხის კედლებში ყოველდღიურად

აკვირდებოდნენ. ამით ისინი ხვდებოდნენ, რამდენად თავსებადი იყო მის მიერ გაცხადებული სტატუსი მის ქცევასთან. მეორე, გადამოწმების მეთოდი. პატიმარს შესაძლოა ეთქვა, რომ მიეკუთვნებოდა „კაი ბიჭების“ ჯგუფს, თუმცა ეს ინფორმაცია უნდა გადამოწმებულიყო. ინფორმაციის გადამოწმება 2007 წლემადე მობილური ტელეფონების საშუალებით ხდებოდა.

საქართველოს ციხეებში პატიმრის სტატუსი შედგებოდა პატიმრის ოფიციალური და არაოფიციალური რეზიუმეებისაგან. ოფიციალური რეზიუმე (იგულისხმება პატიმრის პირადი საქმე) წერილობითი სახით მოჰყვებოდა პატიმარს და მასში დატანილი იყო ბრალმდებლის მიერ წაყენებული ბრალი და ბიოგრაფიული მონაცემები. ხოლო არაოფიციალური რეზიუმე, ხშირ შემთხვევებში, ციხის კედლებს მიღმა შექმნილი პიროვნული რეპუტაცია იყო. რეპუტაცია, როგორც წესი, თან სდევდა კრიმინალს, თუმცა რიგ შემთხვევებში ეს ინფორმაცია წინ უსწრებდა პატიმრის ფიზიკურ გადაადგილებას. მაგალითად, არსებობდა ციხეში წერილის შეგზავნის პრაქტიკა. ამას აკეთებდნენ მაღალი კრიმინალური სტატუსის მქონე აგენტები, რომლებიც მკვეთრად გამოხატული კრიმინალური ქცევით გამოირჩოდნენ და კანონიერი ქურდების დაუწერელ კანონებს მისდევდნენ. ხშირ შემთხვევაში ამ წერილის ადრესატები იყვნენ ციხის არაფორმალური წესრიგის დამცველნი, ანუ კანონიერი ქურდები, ხოლო მათ გარედან მიმართავდნენ სხვა კრიმინალური ავტორიტეტები, რათა ახლად შესული პატიმრისათვის სათანადოდ მიეხედათ. ინფორმაციის გაშვებით ციხის მომავალი ბინადარი მკაფიოდ აცხადებდა თავის კრიმინალურ სტატუსს და თავიდან იცილებდა ციხეში ახლად შემოსული პატიმრის გამოცდისა და გამოკითხვის უსიამოვნებებს. ის ამით, ციხის საზოგადოებაში არსებულ კლასობრივ იერარქიაში ადგილს წინასწარ დაიჯავშნიდა. მაგალითად, „კაი ბიჭების“ კასტა, „კანონიერი ქურდების“ კასტა და ე.წ. „კაზიოლებისა“ და „პეტუხების“ კასტები განსხვავებულ პირობებში და განსახლების ადგილებში ცხოვრობდნენ(Slade 2013,13-14). ამ პატიმართა კასტებს შორის კანონიერი ქურდების ელიტას ცხოვრებისთვის განსაკუთრებული კომფორტი ჰქონდა შექმნილი.

თბილისში მცხოვრები მოზარდების კვლევის დროს არ გამოჩნდა რაიმე ტიპის სპეციფიური იერარქია, რომელიც სტატუსების მიხედვით იქნებოდა მოწყობილი. ასევე არ გამოჩნდა რაიმე ტიპის რიტუალური ინიციაციის, ან გამოცდის ფორმები. ეს თამაშები ასევე მოკლებული იყო კონსპირაციულობას. მათში მონაწილეობა ყველას შეეძლო, ის ძირითადად ჯგუფს გარეთ მყოფი მოზარდების თვალწინ იმართებოდა.ამის გამო თამაშების დაკვირვება,მოსმენა და გავრცელება დაუბრკოლებლად ხდებოდა. ამ გარემოების გათვალისწინებით თამაშების დროს მოპოვებული ინდივიდუალური რეპუტაცია სწრაფად ვრცელდებოდა სკოლის მოწაფეებში. დროთა განმავლობაში, საზაფხულო სკოლის ორივე შემთხვევაში, მოზარდები, რომლებიც კრიმინალური სუბკულტურის ცოდნას ამჟღავნებდნენ სკოლის სხვა მოსწავლეებს გამოეყვნენ და მოიპოვეს მათზე მაღალი სტატუსი.ესეთი ტიპის მოზარდების მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ პედაგოგები და მშობლები.

„ქურდი ზონაში“

„ქურდი ზონაში“ არის როლური თამაში. ამ დროს მოზარდები კანონიერი ქურდების პრაქტიკებს დრამატული პერფორმანსის საშუალებით წარმოადგენენ. თამაშს განვიხილავ , როგორც პერფორმანსს, ან სასცენო დრამას, რიტუალისა და პერფორმანსის ანთროპოლოგის ვიქტორ ტერნერის (Victor V. Turner) მიხედვით - „პერფორმანსი(დრამა) არის მოქმედებებისა და მოვლენათა პროცესი, შემკული განვითარების ფაზებითა და სიუჟეტური ცვალებადობით. ხოლო მისი საშემსრულებლო დადგმა გამოირჩევა საკუთარი სასაუბრო ენით, სტილისტიკითა და სიმბოლური კოდებით“[38] (Turner 1974, 43). კრიმინალური ლინგვისტური კოდი, სიმბოლოები და ქცევის ნორმები კანონიერი ქურდების სუბკულტურიდან თამაშის წესრიგში ინკორპორირდება და იქმნება „ჯადოსნური წრე“ (magic circle) (Huizinga 1949), რომლის მეშვეობით “პირველადი ჩარჩო” (primary framework) (Goffman 1986) წარსულში

[38] Social dramas (as dramas on the stage)… cumulating to a climax……the linguistic level of “parole,” each phase has its own speech forms and styles, its own rhetoric, its own kinds of nonverbal languages and symbolism(Turner 1974,43).

კონსტრუირებული სიმბოლოებისგან შედგება.მაგალითად წითელი და შავი.თამაშის დიალოგში ვკითხულობთ:

„S to T: ცა რა ფერია?

T to S: შავი.

S to R2: სისხლი რა ფერია?

R2 to S: შავი. (ეპიზოდი 3 – ეპილოგი)“

დიალოგში შავი ფერი სიმბოლიზდება კანონიერი ქურდების სუბკულტურასთან. ეს სიმბოლო მოთამაშეებს საბჭოთა კავშირში აბრუნებს და კრიმინალურ მეხსიერებასთან აახლოებს. გთავაზობთ, სიმბოლოს ქვეშ ვიგულისხმოთ ანთროპოლოგ ვიქტორ ტერნერის (Victor V.Turner) განმარტება. „სიმბოლო ეწოდება რაიმე ნივთს ან განივთებულ წარმოდგენას, რომლის შინაარსიც ასოციაციურად დაკავშირებულია მოვლენასთან ან შინაარსთან“[39] (Turner 1967, 19). საბჭოთა კავშირში შავი ფერი სიმბოლიზდებოდა უკონტროლობასთან, არალეგალურობასთან და კანონიერ ქურდებთან. მაგალითად, „შავი ეკონომიკა“, „შავი ბაზარი“, „შავი ციხე“, „შავი სამყარო“(კანონიერი ქურდები) (Humphrey 2002, Oleinik 2003, Ledeneva 2006, Slade 2013). ანტონ ოლეინიკის(Anton Oleinik) (2003) მიხედვით „შავი ციხე“ ხასიათდებოდა სუსტი სახელმწიფო კონტროლით, სადაც ციხის ადმინისტრაცია კონტროლის მექანიზმებს პატიმართა თვითორგანიზებულ ჯგუფებს გადასცემდა. ამ შემთხვევაში ავტორიტეტს მოკლებულმა ციხის ადმინისტრაციამ შვა თვითკონტროლირებადი ციხე, ანუ „შავი ციხე“[40] (Oleinik, 2003,144). ხოლო „წითელი ციხე“ სახელმწიფოს ძალაუფლების

[39]Symbol is a thing or an association regarded by general consent as naturally typifying, representing, or recalling something by possession of analogs qualities of by association in fact or thought(Turner 1967, 19).

[40]“The black prison“ characterized as a weak state control where the administration was balanced by high capacities of inmates for self-organization. In this case, “the lack of authority gives rise to ‘self-management’, of ‘black’ prisons, according to a slang expression”.On the contrary, same author argued, “the red prisons have many features in common with the ideal type of the total institution, first and foremost a detailed control of all aspects of inmates’ everyday life exercised by prison guards. The prisons where distrust governs relations both between

გავლენით გამოირჩეოდა. „მას გოფმანის (1961) იდეალური ტიპის „ტოტალური ინსტიტუციის“ ბევრი ნიშან-თვისება ჰქონდა. ციხის სოციალური ცხოვრება ზედამხედველების მიერ კონტროლდებოდა. პატიმრები ერთმანეთს არ ენდობოდნენ და არც ზედამხედველი ენდობოდა მათ. ციხის ცხოვრება სოციალურ კონტროლს იყო მოკლებული. სახელმწიფო ძალაუფლება კი, მის წმინდა ფორმაში, ზედამხედველების მეშვეობით ხორციელდებოდა“ (Oleinik, 2003, 144).

კრიმინალური თამაში *ქურდი ზონაში* თამაშის ერთ-ერთი სახეობაა, რომელშიც მოზარდები ზრდასრული ადამიანების კულტურიდან გადმოტანილ ნორმატიულ წესებს, ლინგვისტურ კოდსა და სიმბოლოებს ინტერპრეტაციულად წარმოადგენენ (Corsaro 1992,2009). საბავშვო კრიმინალური თამაშები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტერპრეტირებული ცოდნა, რომლის მიხედვით, ამ სუბკულტურის შესახებ ინტერპრეტირებული შეხედულებები ყალიბდება.ეს პროცესი გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება „ინტერპრეტაციული რეპროდუქციის“ (Interpretative Reproduction) თეორიულ პრიზმაში გაანალიზდეს. „ინტერპრეტაციული რეპროდუქცია“ თანატოლთა კულტურის კვლევაში გავლენიანი თეორიული ჩარჩოა და ფართოდ გამოიყენება „ახალი ბავშვობის სოციოლოგიის“ დარგში. ამ თეორიული ჩარჩოს ავტორია უილიამ კორსარო (William Corsaro). კორსაროს მიხედვით „ინტერპრეტაციული მიდგომა გულისხმობს, რომ ბავშვები ყოველდღიური ცხოვრების რუტინული წესების შესრულებით კრეატიულად გაითავისებენ ზრდასრული ადამიანების სამყაროდან წამოსულ პრაქტიკებს და სწორედ ამის მეშვეობით აწარმოებენ თანატოლთა უნიკალურ კულტურას (peer culture). ინტერპრეტაციული რეპროდუქციის პროცესი ბავშვებს აძლევს საშუალებას, გახდნენ ზრდასრული ადამიანების კულტურის ნაწილი და შეიტანონ წვლილი მის გაფართოებასა და წარმოებაში“[41](Corsaro 1992,162).

---

inmates and between staff lacks mechanisms of social control. The authority of prison guards is not limited by any bond and it naturally transforms into a pure exercise of power”(Oleinik 2003,144).

[41]The interpretive approach argues that children, through their participation in cultural routines, creatively appropriate information from the adult world to produce their own unique peer culture. This process of interpretive reproduction enables children to become a part of adult culture-that is, to contribute to its

თამაშების მეშვეობით სკოლის მოწაფეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ კანონერი ქურდების სუბკულტურის გაფართოებასა და კვლავწარმოებაში. ეს ნაწარმი ამ სუბკულტურის შესახებ შექმნილი სოციალური აზრია. ის სოციალურ მეხსიერებაში აღიბეჭდება და ზეპირი ტრანსმისიის გზით თაობებს გადაეცემა. ამ გზით კრიმინალური ტრადიცია გრძელდება და კრიმინალური სუბკულტურა ახალი პოლიტიკური და სოციალური კონტექსტისათვის კვლავ იწარმოება.

თამაში ქურდი ზონაშის სტრუქტურა სიტყვების გადათამაშებაზეა აწყობილი. ზეპირსიტყვიერი კითხვა-პასუხი კი მას აქცევს ვერბალურ დუელად, რომლის მსგავსი სხვა კულტურებშიც მოიძებნება. მაგალითად, იტალიურ კულტურაში დისკუსია (discussione) (იხ.Corsaro 1990), ეთიოპიაში ზეპირი ისტორიების მოყოლის ტრადიცია (story telling tradition) (იხ. Jirata 2013). „ქურდი ზონაშის“ მაგალითზე ეს ვერბალური დუელი ესე გამოიყურება:

„S to T: შენი კლიჩკა[42]?

T to S: ტრაკში სპიჩკა.

T to S: შენი კლიჩკა?

S to T:*ელექტრიჩკა“.*

აქვე გთავაზობთ თამაშის ქურდი ზონაშის სრულ ტრანსკრიპტს:

თამაშის მონაწილეები - ბაჩო (13.ს.ს.), ლუკა (14ს.ს.), დათო (14ს.ს.), სოფი (13ს.ს.), გუგა (14ს.ს.)[43]. თამაში *„ქურდი[44] ზონაში“ გაიმართა თბილისში, ვაკეში მდებარე ერთ-ერთ საშუალო სკოლაში. (თამაშის* ჩაწერის თარიღი 02.14.2014.13.15-14.00)

---

reproduction and extension-through their negotiations with adults and their creative production of a series of peer cultures with other children (Corsaro 1992,160).

[42],,კლიჩკა“ - რუსული ჟარგონის ენიდან არის შემოსული და გამოხატავს ან აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ზედმეტი სახელით იწოდება ციხის საზოგადოებაში (Abramkin 2009).

[43]კოდირება (13.ს.ს.) იშიფრება როგორც: 13 - ასაკის მაჩვენებელი ციფრი, ხოლო ს.ს. კი სასწავლო დაწესებულების აღმნიშვნელი ინდექსი. მაგალითად, „საჯარო სკოლა“. ასევე შეგხვდებათ ინდექსი კ.ს. -

პროლოგი[45]

„S: ქურდებს სიცოცხლე, ბოზებს[46] სიკვდილი!

Rs: ასი წელი, ამინ!

S: თქვენში ქურდი რომელია (პაპი)?

Rs: გაიკითხე.

S to T: შენ ხარ?

T to S: გაიკითხე.

R1 to S: აი ეს კაცია [R1 მითითება T -ზე].

S to T: შენი კლიჩკა[47]?

T to S: ტრაკში სპიჩკა.

T to S: შენი კლიჩკა?

ამის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ „კერძო სკოლა“. რესპოდენტთა ანონიმურობის დაცვისათვის თამაშის მონაწილეთა სახელები შეცვლილია.

[44]ქურდის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ „კანონიერი ქურდი“.

[45]თამაში იმართება ჯგუფურად და ვერბალური დუელის ფორმა აქვს. მოთამაშეები ირჩევენ ჯგუფის ლიდერს შეკითხვების დასმის უფლებით. შემდეგ მოთამაშეები განლაგდებიან ნახევარწრის ფორმაში. თემატური შეკითხვები ციკლურად დაისმის. არჩეული ლიდერი რიგ-რიგობით უსვამს ყველა მოთამაშეს შეკითხვას. ერთი შეკითხვა ერთ პასუხს მოითხოვს. ამდენად, თამაშს დიალოგის ფორმა აქვს.
დიალოგებში ‘S’ სიმბოლო კოდირდება როგორც - ‘Starter’ - თამაშის „დამწყები“. „დამწყები“ იმიტირებულ საკანში შეაბიჯებს და ყოველთვის მას მიჰყავს დიალოგი. ‘Rs’ კოდირდება როგორც ‘Respodents’ და ჯგუფის თითოეული წევრი იგულისხმება. ხოლო კოდირება ‘R1’ და ‘R2’ ჯგუფის კონკრეტულ წევრებზე მიუთითებს. დიალოგებში ‘T’-ს ქვეშ იგულისხმება Thief-in-law ‘კანონიერი ქურდი’. კანონიერი ქურდი თამაშის პროცესში ირჩევა. მას არა აქვს უფლება კანდიდატურად თავისი თავი წამოაყენოს. მისი აღიარება ჯგუფის სხვა წევრების მიერ უნდა მოხდეს.

[46]ბოზი - დამსმენი, ჩამშვები (ბრეგაძე 2013). ციხეში ასეთი ადამიანის საქმიანობა ციხის ადმინისტრაციისთვის ინფორმაციის მიწოდებაა (Abramkin 2009.)

[47],,კლიჩკა“ - რუსული ჟარგონის ენიდან არის შემოსული და გამოხატავს ან აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ზედმეტი სახელით იწოდება ციხის საზოგადოებაში(Abramkin 2009)

S to T:*ელექტრიჩკა.*

T to S: ფანჯარა დაკეტე.

S to T: ძაღლები[48] დაკეტავენ.

S to T: შეიძლება შენი შნირები[49] გავიცნო?

T to S: კი“.

განვითარება და კულმინაცია

„S to T: რაზე ზიხარ?

T to S: ჭიანჭველა მოვკალი. ჭიანჭველა მოვიდა და არაფრის გულისთვის ხელი დამარტყა. მე იარაღი ჯიბეზე მქონდა, ამოვიღე და ვესროლე.

S toT: რამდენი მოგცეს?

T to S: ათი წელი.

S to R1: შენ რაზე ზიხარ?

R1 to S: მაღაზია გავტეხე.

S to R1: რამდენი მოგცეს?

R1 to S: ასი წელი.

---

[48],,ძაღლი“ - ასე ეწოდება პოლიციელს, მილიციელს, საერთო წესრიგის დამცველ ადამიანს (ბრეგაძე 2013).

[49],,შნირი“ - ციხის სუბკულტურაში ეწოდება ადამიანს, რომელიც ციხის სოციალურ ცხოვრებაში მოსამსახურის როლს ასრულებს. ,,შნირი“ ემსახურება მაღალი რანგის კრიმინალებს და სანაცვლოდ, გასამრჯელოსაც კი იღებს. ,,შნირის“ სამუშაოში შედის საკნის დალაგება, ბარაკის წესრიგში მოყვანა და სხვადასხვა ნივთების (სიგარეტი, ინფორმაცია, საჭმელი) განაწილება. (Abramkin 2009)

ეპილოგი

S to T: ცარაფერია?

T to S: შავი.

S to R2: სისხლი რა ფერია?

R2 to S: შავი“(02.03.2013 13-30:14-00).

თამაში „ქურდი ზონაში“ ძირითად ოთხ წესსა და რამდენიმე სათამაშო ნორმას აერთიანებს:

1. დასმულ შეკითხვას უპასუხე;
2. დისკუსიაში ჩაერთე;
3. არ გაიცინო;
4. არ გაიქცე.

თამაშის ნორმაა მოთამაშეთა კოლექტიური კონტროლიც. კოლექტიური კონტროლი ყველასი ყველას მიერ - ასე აბალანსებენ თამაშის მონაწილეები თამაშის რეგლამენტს. ეს რეგლამენტი დიდწილად იმეორებს ციხის კონტროლის საბჭოთა ხერხებს. მაგალითად დასავლეთის ციხეების მართვის სტილისაგან(პანოპტიკონი (Bentham (1791)2009; Foucault 1980,1995) განსხვავებით საბჭოთა ციხის მართვა „პოლიოპტიკონურად“ ხორციელდებოდა. პოლიოპტიციზმს ლაურა პიაჩენტინი (Laura Piachentini) და გავინ სლეიდი (Gavin Slade) პოსტ-საბჭოთა ციხეებში იკვლევდნენ. პოლიოპტიკონის იდეა პანოპტიკომის იდეის საპირისპიროა. პოლიოპტიკონის ეს არის, კოლექტიური კონტროლის ფორმა და გულისხმობს „არა ერთის მიერ ბევრის კონტროლს“(პანოპტიკონი), არამედ „ბევრის მიერ ბევრის კონტროლს(პოლიოპტიკონი)“, ანუ „ყველას ზედამხედველობას ყველას მიერ“(Piachentini and Slade 2015, 190) - ურთიერთზედამხედველობა. საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში სოციალური კონტროლის ეს მექანიზმი („ბევრის მიერ ბევრის კონტროლი“) მხოლოდ მსჯავრდებულთა მიმართ არ გამოიყენებოდა. ის საბჭოთა ძალაუფლების საფუძველი

იყო და სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების ყველა დონეზე არსებობდა (Kharkordin 1999,110).

თამაშში დაცული რეგლამენტის დარღვევა კოლექტიურად ისჯება. კოლექტიური დასჯა, ჯგუფური ჩაქოლვის მეშვეობით ხორციელდება, კოლექტიური გაკიცხვა, ჩაქოლვა,მხილება, საბჭოთა პოლიოპტიკონურობის ეს გამოვლინებები თამაშის რეგლამენტშიც არის აპრობირებული. ჯგუფური ჩაქოლვა თამაშის პირობებში შეწყდება მაშინ, როდესაც შეთანხმებული სიტყვა სამჯერ გამეორებით წარმოითქმის. სიტყვა შეიძლება იყოს მოკლე და ადვილად გამოსათქმელი, მაგალითად, „პეპელა“ ან მრავალმარცვლიანი „ჰიდროელექტროსადგური“. ეს უკანასკნელი მოთამაშეთა შეთანხმების საგანია. წესის დარღვევა სქემატურად ასე გამოისახება:

წესის დარღვევა + ჩაქოლვა + შემაკავებელი სიტყვა (სამჯერ).

შემაკავებელი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ თამაში წყდება. მოთამაშეები გადაჯგუფდებიან, შეიცვლიან როლებს და იგივე პროცედურას ხელმეორედ გაივლიან. ერთი სათამაშო წრე დაახლოებით 5-7 წუთის განმავლობაში გრძელდება.
თამაში გაუთავებელი კამათის ფონზე მიმდინარეობს. ის მოთამაშეების კრიმინალური ნორმების ცოდნაზე და მათ პიროვნულ უნარებზეა დამოკიდებული. (1) კანონიერი ქურდების სუბკულტურის ნორმების ცოდნა ყველა მოთამაშეს მოეთხოვება. თამაშის ყველა მონაწილეს შესაძლებლობა მიეცემა კანონიერი ქურდის როლი მოირგოს. კარგი მოთამაშის სტატუსი მოიპოვება ორი ძირითადი პრინციპის დაცვით. პირველი, კარგ მოთამაშედ ითვლება ის რომელიც თამაშის წესებს ზედმიწევნით კარგად იცავს. არტისტიზმი, სილაღე, მხიარულება, იუმორი კარგი მოთამაშის დამატებითი უპირატესობებია. მეორე, დასმულ შეკითხვებს სხარტად და ორიგინალურად პასუხობს. მაგალითად, პირველი შეკითხვა „თქვენში ქურდი რომელია“ ? ეს შეკითხვა სტატუსს ეხება და ყოველთვის მესამე ადამიანის მიერ დაისმის. ამ შეკითხვაზე სწორი პასუხია „გაიკითხე“.სტატუსი ციხისა და ქუჩის საზოგადოებებში რეპუტაციის მეშვეობით

მოიპოვება.რეპუტაცია კრიმინალური ორგანიზაციების სტაბილურობისა და სიძლიერის გარანტიაა (Gambetta 1993,Tilly 2005;Slade 2013). (2) მოთამაშეები შეკითხვებს რითმულად პასუხობენ. ეს მოითხოვს გარკვეულ გონებრივ და ენობრივ სისხარტეს. მაგალითად, გაცნობითი ტიპის შეკითხვა - „შენი კლიჩკა“ ? პასუხი - „ელექტრიჩკა ან ტრაკში სპიჩკა“. თამაში მოთამაშეთაგან ქურდული სლენგის ცოდნასაც მოითხოვს. თამაში ქურდული ენის შესწავლისა და გათავისების კარგი საშუალებაა. ქურდული ენის შესახებ ქუჩის კონტექსტში დაიწერა. თბილისის ქუჩაში, ბირჟებზე ქურდული ენის ცოდნა პატივისა და ნდობის მოპოვების საშუალებაა (Koehler 1999; Zakharova 2010, 2017; Curro 2017). თამაში ყოველთვის მოწესრიგებულად არ იმართებოდა.ხშირად მოთამაშეები ცხარე კამათში შედიოდნენ მაგალითად:

მოთამაშეები: დათო(14), გუგა (14), ბაჩო(13):

„დ: თქვენში ქურდი რომელია?

გ: გაიკითხე.

დ: რა ძმაო? მე შენ გეკითხები. შენ რა შეკითხვას გაურბიხარ ?

გ: მე უკვე გიპასუხე.

დ: რას ნიშნავს უკვე მიპასუხე ?

ბ: რა ძმაო ? რა იკითხე ?

დ: რას ნიშნავს რა ვიკითხე ? ქურდები ორჯერ არ კითხულობენ !

გ: მოიცა ძმაო, ზონაზე რო შემოხვედი გაგვეცანი? ჯერ გაგვეცანი, ვინ ხარ რას წარმაოდგენ და მერე დასვი კითხვები.

დ: რას ნიშნავს მე ვინ ვარ, შენ საერთოდ ვინ რას გეკითხება, მე ამ კაცს ვეკითხები, შენ სხვის საქმეში რატომ ერევი ? მოიცა, მოიცა, აქ ჩვენ ყველა ქურდები ვართ, ჩვენს შორის არავინ არის ჩამშვები(ბოზი), ჯერ შენ გამეცანი, ვინ ხარ, იქნებ შენ ჩამშვები ხარ ?

გ: რას ქვია ჩამშვები ვარ. ერთი ამიხსენი, რატომ ვარ ჩამშვები?“

ეს დიალოგი მეგობრების კამათს უფრო გავდა და დიალოგის წევრები სიცილ-ხარხარით მეგობრულად ხელს კრავდნენ ერთმანეთს. მსგავსი ინტერაქცია აჩვენებს ამ ტიპის სოციალიზაციაში არსებული კრიმინალური ნორმებისა და წესების მიმოცვლის

ინტენსივობას და ცოდნის სიღრმეებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის დროს მოთამაშეები კანონიერი ქურდების კრიმინალურ სუბკულტურას ირონიულად დასცინოდნენ. დაცინვის ფორმები ჩანდა კრიმინალური სტატუსის წარმოთქმისა და კრიმინალური ენის გამოყენების ცალკეულ მაგალითებში.რაც შეეხება სხვა სოციალიზაციის აგენტებთან თამაშის კავშირს. მაგალითად, ქუჩაში, ან ციხეში თუ ვინმეს ჩამშვებს უწოდებენ ეს სერიოზული ბრალდება იქნება და ინდივიდის პერსონალურ რეპუტაციას მნიშვნელოვნად შეარყევს. რათქმაუნდა ბავშვებმა ამის შესახებ იციან. კრიმინალური თამაშების მიმართ მათი ამბივალენტური(ირონიული და სერიოზული) დამოკიდებულება დიდწილად ასახავს ვარდების რევოლუციის(2003) შედეგად მოსული ხელისუფლების მიერ 2005 წელს დაწყებული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელწიფო კამპანიის წარმატებას. ამ სტრატეგიის შედეგია კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შესუსტება მოზარდების სოციალიზაციაზე. მოზარდები კრიმინალური თამაშების დროს მათ სათამაშო გამოცდილებაზეც საუბრობდნენ. მათთვის უფროსი ასაკის მოსწავლეებთან თამაში უფრო საინტერესო და გამომწვევი იყო. ბიჭებმა გაამხილეს, რომ ცოდნას უფროსი ასაკის მოსწავლეებისაგან იღებდნენ.

გარდა დროის გაყვანისა და სიამოვნების მიღებისა რა არის ამ თამაშების მიზანი ? თამაშების დაკვირვებამ აჩვენა, რომ თამაშებში არ იყვნენ ლიდერები რომლებიც თამაშის მონაწილეებს განსჯდიდნენ.თამაშებში არ ჩანდა სტატუსის მოპოვების, ან მისი დაკარგვის შესაძლებლობა. თამაში არც ჯგუფური საზღვრების შემოხაზვას უზრუნველყოფდა და ჯგუფურ განსხვავებას აყალიბებდა. ბიჭების შემთხვევაში არასწორი პასუხის გამცემი ფიზიკურად მსუბუქ შეხუმრებულ ფორმაში დაისჯებოდა, შეხლა შემოხლა და შეხუმრება ამ მოზარდების გართობის ერთ-ერთი საყვარელი ფორმა იყო. ფიზიკური დასჯა, ხელის შეხება, ხელის დარტყმა ეს ყოველივე პირდაპირი დარტყმაა რეპუტაციაზე და მკაცრად ისჯება კანონიერი ქურდების სუბკულტურაში. მოზარდების შემთხვევაში კი ამ შეხლა შემოხლას არავითარი გართულება არ მოჰყოლია და არც მათ სტატუსზე ქონია რაიმე ტიპის გავლენა. უფრო მეტიც, ნათელია, რომ გოგონების თამაშებში მონაწილეობა ამ თამაშებს უპირობო მასკულინურობას უკარგავს.

კანონიერი ქურდების სუბკულტურა მკაცრად მასკულინური სუბკულტურაა და ქალი კანონიერი ქურდი არ შეიძლება რომ არსებობდეს. ქალის როლი ამ სუბკულტურაში მეორე ხარისხოვანია. ეს ძირითადად ჩანს სუბკულტურის წევრების ოჯახის მიმართ დამოკიდებულებიდან და მამაკაცურ უპირობო კონსპირაციულობაში. მაგალითად, ქუჩის აკადემიაში გოგონების მონაწილეობა იკრძალებოდა, ვინაიდან მათი ჩართულობა ბირჟაზე მყოფი მამაკაცების სტატუსს შეარყევდა. გენდერული განსხვავებები თამაშის მიღმურ დიალოგებშიც გამოჩნდა. თამაშის „ქურდი ზონაშის“ დაწყების წინ სოფის(13) უნდოდა თამაშში მონაწილეობა. გიო(14) ცდილობდა აეხსნა , რომ მისი მონაწილეობა ესეთ თამაშებში მიზანშეწონილი არ იყო.

„გიო: გოგოების მონაწილეობა ამ თამაშში(ქურდი ზონაში) არ შეიძლება.

სოფი: რატომ არ შეიძლება ?

გიო: იმიტომ ,რომ გოგოები ბიჭებთან ერთად ციხეში არ ზიან.

სოფი:გასაგებია მაგრამ მეც მინდა თამაში.

გიო:კარგი, მაშინ ჩვენ შენ არ დაგარტყამთ და უზრდელურ სიტყვებსაც არ ვიტყვით.

სოფი: არა, მე ეგრე არ მინდა. ცუდი სიტყვების გარეშე თამამაშს რა აზრი აქვს.

გიო: არა, ჩვენ უზრდელურ სიტყვებს არ ვიტყვით და შენ ხელს არ დაგტყამთ.

სოფი:კარგი, მაგრამ თუ გოგო იტყვის, რომ თანახმაა ეგრე ითამაშოს ?

გიო:მაშინ ეგრე შეიძლება ვითამაშოთ.

სოფი: მე ამ თამაშს ძველ ბიჭებთან ერთად ვთამაშობდი. მათთან უფრო საინტერესო იყო, ისინიც არ მირტყამდნენ.

გიო: კარგი, მარა წესების თანახმად გოგოების თამაში არ შეიძლება“.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ისინი სოფისთან ერთად ითამაშებდნენ, თუ მას ეს უნდოდა, მაგრამ თამაში არ იქნებოდა ნამდვილი, იმიტომ რომ სოფისთან ცუდ სიტყვებს არ იტყოდნენ და არც დაარტყამდნენ. სოფიმ შემოთვაზებაზე გიოს სტატუსი ეჭვსქვეშ დააყენა და მაგალითად მოიყვანა მისი სათამაშო გამოცდილება ძველ ბიჭებთან.

რით აიხსნება მოსწავლეების ჩართულობა ესეთი ტიპის თამაშებში ? და რატომ მოხდა, რომ სახელწიფოს მიერ გატარებული მწვავე რეფორმების შემდეგ, კრიმინალური

თამაშები მოზარდების სოციალიზაციის ერთერთ ფორმად კვლავ რჩება ? არიან კი მოზარდები ამ სუბკულტურით გატაცებულნი ? ჩემს მიერ შეგროვებული მონაცემები რაოდენობრივი დასკვნების გაკეთების საშაულებას არ იძლევა და მისი განზოგადება საქართველოს სრულ მოსახლეობაზეც არ იქნებოდა რელევანტური. ეს მონაცემები თბილისში მცხოვრები შემთხვევის(საზაფხულო სკოლა) შედეგად, შემთხვევით შერჩეული მოზარდების სიღრმისეული კვლევის შედეგია და მისი განზოგადება საქართველოს სრულ პოპულაციაზე არ იქნება რელევანტური. თუმცა, ჩემი მიზანი არ ყოფილა რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება, არამედ კვლევის მიზანი იყო დაედგინა, ის თუ რა ფუნქცია და მნიშვნელობა ქონდა კრიმინალურ თამაშებს მოზარდების სოციალიზაციის პროცესში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შემიძლია ცალსახად ითქვას, რომ კრიმინალურ სუბკულტურას არ აქვს გავლენა მოზარდების სოციალიზაციაზე. ეს სულ მცირე ოთხი მიზეზით მაინც მტკიცდება.(1) მოზარდებში კრიმინალური თამაშების პოპულარობა დღითიდღე მცირდება. ესეთ თამაშებს მოზარდები იშვიათად თამაშობენ და პირისპირ საუბრებში არ მალავენ ამ სუბკულტურის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. (2) მოზარდები სუბკულტურული ნორმების დაზუსტებისას ხშირად კამათობდნენ. ამ კამათის დროს კრიმინალური ნორმების დასაზუსტებლად ხშირად მეც კი მომმართვდნენ. მათთვის თამაშის წესები ბუნდოვანია და ეს ბუნდოვანობა თამაშის წარმართვის ფორმაზე და შინაარსზე ახდენს გავლენას.(3) თამაშები სტატუსის შეძენის ან დაკარგვის საშუალებას არ იძლევა. ამის შედეგად წარმოქმნილი ჯგუფური საზღვრები სუსტი და ფერმკრთალია. (4) ეს თამაშები ისევე როგორც სუბკულტურა არ განიხილება ცხოვრების მოწყობის საშუალებად. მოთამაშეები თამაშების პრაქტიკულ გამოყენებას ვერ ხვდებიან. არ იციან რაში უნდა გამოიყენონ თამაშის შედეგად მიღებული ცოდა. მათთვის კარგი მოთამაშე არ არის მიბაძვის ობიექტი. თამაშის ეს ბუნდოვანება უარყოფს თამაშის სოციოლოგიაში და ფსიქოლოგიაში გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თამაშების ფუნქცია ბავშვების სამომავლო ცხოვრებისთვის მომზადებაა (უზნაძე 1947;Bettelheim 1962;Colemen 1967;Corsaro and Rizzo 1988). (5) ამ თამაშებს არ აქვს "რიტუალური ინიციაციურობა(initiation rites)(ride de passage)(Gennep 1961), რომელიც

ერთი საზოგადოებიდან მეორეში გადასვლას უზრუნველყოფს და არ აქვს სექსუალურობასთან დაკავშირებული „პუბერტიზმის რიტუალობა“(puberty Rites) (Bettelheim 1962), აქედან გამომდინარე ეს თამაშები საკრალურობასა და კონსპირაციულობას არის მოკლებული.

ჯგუფური განხილვების დროს, ბავშვებს ვკითხე კანონიერი ქურდების სუბკულტურის შესახებ. მათ შესახებ რას ფიქრობდნენ და ბოლო დროს განვითრებული მოვლენების შედეგად სუბკულტურის მნიშვნელობის დაკარგვამ რა მოიტანა.მათი პასუხებიდან გამოჩნდა ,რომ კანონიერი ქურდების სუბკულტურამ მიმზიდველობა დაკარგა.

„ლევანი (14) რატომ უნდა გახდე კანონიერი ქურდი როცა შესაძლებლობა გაქ მიიღო განათლება იზრუნო ოჯახზე და ბავშვებზე ? ხალხი ამბობს, რომ კანონიერ ქურდებს ქონდათ ფული, კარგი დავუშვათ ქონდათ, მაგრამ ეს ხომ ჭუჭყიანი ფული იყო, ესეთი ფულის ქონას საერთოდ არ გქონდეს აჯობებს.

ლადო (15) ეხლანდელ დროში უკეთესია იმუშაო ან ივარჯიშო, ვიდრე ქუჩაში დარჩე, ამას მომავალი არ აქვს, მისი მომავალი ციხეა“(05.12.2013,22:34).

ლევანისთვის(14) ქურდად გახდომას არ არქვს არანაირი ახსნა. მათ აღარ აქვთ ქონება, სახელი, მათი ცხოვრება ხიფათით არის მოცული. ესეთი ცხოვრება სტაბილურობას, ოჯახს და კეთილდღეობას არ მოიტანს. ლადოსთვის(15) სახელწიფოს სადამსჯელო პოლიტიკამ მოიტანა ის, რომ თუ ქუჩური წესებით იცხოვრებ, შედეგად მოხვდები ციხეში. ის რომ უკეთესია ქუჩას აარიდო თავი ვიდრე მოხვდე ციხეში არის მოზარდების პრაგმატული კალკულაციის მთავარი მონაპოვარი. ამ განჯსებიდან ნათლად ჩანს, რომ სუბკულტურა აღარ განიხილება ეკონომიკური და „კულტურული კაპიტალის“(Bourdieu 1986) მოპოვების საშუალებად, და აღარ ითვლება „სტატუსის ფრუსტრაციის”(Cohen 1955) პრობლემის დაძლევის ფორმად, ის არც კარიერულ პერსპექტივად ითვლება ან სასურველ პროფესიად ანუ კარიერული მიზანი(Merton 1938,2002). თუმცა კანონიერი

ქურდების სუბკულტურის მიმართ ლტოვლა ყოველთვის ესეთი უარყოფითი არ იყო. მაგალითად საქართველოში იყო პერიოდი როდესაც, საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს რომელთაც კრიმინალური „გაგება“ქონდათ ყოველთვის არ სურდათ ციხისაგან თავის არიდება. მათთვის ციხე პრესტიჟულ დაწესებულებად ითველბოდა. მაგალითად გავინ სლეიდის(2013) წიგნში „მაფია და ანტი-მაფია პოსტ-საბჭოთა საქართველოში“ გხვდება ერთი ეპიზოდი. ახალგაზრდა კაცი „მომავალი“ ქ. ქუთაისში სახლის პირობებში ძილის დროს იატაკზე იძინებდა. ამით ის ციხის დისკომფორტს ეჩვეოდა, რადგან ციხეში ცხოვრებისათვის ემზადებოდა (Slade 2013).

გამოკითხულ რესპოდენტებში ლევანისთვის(14) ფულის შოვნის ლეგალური გზები უფრო მორალურია ვიდრე კრიმინალური. ამ მორალური და რაციონალური განსჯების გვერდით, ასევე არსებობს სხვა გვარი კალკულაციებიც. მაგალითად რა მოიტანა კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენის შესუსტებამ ? რესპოდენტთა პასუხების მიხედვით ამან ერთგვარი ანარქია და უწესრიგობა წარმოშვა.

დათო (14) „ქუჩასაც უნდა ყავდეს პატრონი ხო, ეხლა რომ არი, ვერავინ ვერავის რომ ვერ შეარიგებს და იღებენ აბაროტებს და მიდიან მკვლელობაზე. დღევანდელ დღეს კიდევ გოგოების გამო ხდება მკვლელობები და ეგეთი რამეები.“

სოფი (13) „გოგოს გამო რატომ უნდა მოხდეს მკვლელობა, რა სისულელეა“ (02.14.2014). (ამონარიდი თამაშის „ქურდი ზონაში“ მიღმა გამართული დისკუსიიდან).

დაკვირვების დროს აშკარად გამოჩნდა ,რომ კრიმინალური თამაშები მიმზიდველად და მოდურად არ მიიჩნეოდა. მოზარდები უმეტეს შემთხვევაში მონაწილეობაზე უარს ამბობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქურდების სუბკულტურა მოძველებული იყო. ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი მიგნება (1.პოპულარობის შემცირება.2.ქურდული ნორმების ბუნდოვანი ცოდნა.3.სტატუსისა და სოციალური საზღვრების წარმოქმნის უუნარობა.4.სამომავლო ცხოვრებისთვის გამოუყენებლობა) საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ამ სუბკულტურის გავლენის შესახებ გაკრვეული დასკვნები გაკეთდეს. თუ კანონიერი ქურდების სუბკულტურა მოზარდების ცხოვრებაში ზემოთ ჩამოთვლილ

სულ მცირე ოთხი პრობლემის გადაჭრას ვერ უზრუნველყოფს, მაშინ რატომ ნარჩუნდება ის მოზარდების სოციალიზაციის პროცესში ?

- კრიმინალური თამაშები დროის გაყვანის, კოლექტიური კოორდინაციის, შეჯიბრისა და სიამოვნების მიღების ერთ-ერთი საშუალებაა.
- ამ თამაშების არსებობა გვაფიქრებინებს იმას, რომ კრიმინალების რომანტიზება და უსისტემობისკენ ლტოლვა, ძლიერ კულტურულ ჩარჩოდ რჩება და ამ ჩარჩოს ვრცელი ტრაგიკული ისტორია ამაგრებს. ეს ისტორია რეპრესიისა და ჩაგვრის მოდელებით არის გაჯერებული.
- ამ თამაშებში მონაწილეობით მოზარდები სოციო-კულტურულ ცოდნას შეიძენენ. ისინი ამით წამყვან კულტურაში გაზიარებული ღირსებისა და სიამაყის ფორმებს გაითავისებენ და გაიზიარებენ წამყვან კულტურაში წარმოებულ ნარატივს თვისუფლებისა და დაუმორჩილებლობის შესახებ. ეს მათ თანატოლთა დაუყოვნებლივ პატივისცემას მოუტანს და უფროსი თაობის(მშობლები, ნათესავები,მასწავლებლები)კეთილგანწყობას დაიმსახურებენ.

7.2 გამოცანა თამაშები

მოზარდების ცხოვრებაში როლური თამაშის ქურდი ზონაშის გვერდით არსებობს გამოცანა თამაშები. გამოცანა თამაშები გამოირჩევა სპეციფიური წარმოთქმის სტილითა და მანერით. ის კულტურის ინტერპრეტაციის საშუალებაა, რომლის მსგავსი სხვა კულტურებშიც მრავლად მოიძებნება. მაგალითად, XX საუკუნის შუა ხანებში დიდ ბრიტანეთში ანთროპოლოგებმა და ეთნოლოგებმა იონა და პეტერ ოპიმ (Iona and Peter Opie) აღმოაჩინეს გამოცანა თამაშების მსგავსი ორალური გამონათქვამები, იგივე „რიდლინგი“ (riddling), რომელთა უმეტესობა კულტურასთან იყო ადაპტირებული და მისი ინტერპრეტაციის საშუალებაც გახლდათ. მაგალითად, „სიტყვაზე გამოჭერის რიდლინგი (cach riddling), სინამდვილის რიდლინგი (true riddles), სიტყვებით თამაშის რიდლინგი (rhyme riddling), სასაცილო რიდლინგი (fun of riddles) და სხვა. ეს ვერბალური დუელი ასე გამოიყურებოდა: მოთამაშე ოპონენტისთვის შეკითხვას

ამზადებს, ხოლო ოპონენტი შეკითხვას პასუხით პასუხობს. სიტყვაზე გამოჭერის რიდლინგი (catch riddling) - რომელი წყალი არ იყინება? პასუხი - ცხელი წყალი“ (Opies 1959,73).[50] ეს თამაშები ბავშვებს სოციო კულტურულ ცოდნას აძლევდა და სოციალურ მიკუთვნებულობას უყალიბებდა(Opies 1959).

გამოცანა თამაშის მონაწილეები: გიორგი (12.ს.ს.), სანდრო (11.ს.ს.), ანა (12.ს.ს.), ნინო (12.კ.ს.), თორნიკე (13.ს.ს.), ზურა (14.ს.ს.) (06.07.2014).

მაგალითი 1:

„გიორგი (12,ს.ს.) კითხვა: “კაი ბიჭობა” გირჩევნია თუ ტორტი?

სანდრო (11,ს.ს.) პასუხი: ტორტი (პასუხი სწორია)

გიორგი (12,ს.ს.) რატომ ტორტი?

სანდრო (11,ს.ს.) იმიტომ რომ “კაი ბიჭი” უკვე ვარ“.[51]

ამ კონკრეტული გამოცანა თამაშის მიზანია გაარკვიოს, არის თუ არ არის კაი ბიჭის სტატუსი მნიშვნელოვანი. ვარიანტ 1 ში წარმოდგენილ შეკითხვაზე სწორი პასუხია „ტორტი“. „ტორტი“ იმიტომ, რომ ქუჩის სუბკულტურასთან აფელირებული ადამიანი კაი ბიჭის სტატუს ავტომატურად ატარებს. მოსწავლეები სხვა გამოცანა თამაშების დროს სტატუსის შესახებ პირდაპირ არ სვამდნენ კითხვებს. თუმცა ამ თამაშებში ისინი

[50]Catch riddling such as ‘What water never freezes ? (Hot Water) True riddles – What goes up but never comes down(Smoke) Rhyming riddles – Riddle me, riddle me, what is that Over the head and under the hat ? (Hair) Punning Riddles – What has a head and four legs but cannot walk? (A bed) Catch Riddles – Why does a pigeon roost on one leg ? – Because if he lifted the other he would fall. The Fun of Riddles – There was a man who was married and had two daughters. He quarrelled with his wife do he ,married his eldest daughter, he then married his youngest daughter. How could this be ? (He was a clergy man)(Opies 1959, 73)

[51](განმარტება) თუ გინდა „კაი ბიჭობა“, „კაი ბიჭობა“ უნდა აირჩიო, მარა თუ ტორტს ირჩევ, „კაი ბიჭი“ უკვე ხარ. სწორი პასუხია მეორე ვარიანტი - ტორტი და ეს უნდა აირჩიო, იმიტომ რომ „კაი ბიჭი“ უკვე ხარ (ანა.12.ს.ს.).

კანონიერი ქურდების ნორმების, სოციალური ცხოვრების და ციხეში ცხოვრების დეტალების გარკვევას ცდილობდნენ.

მაგალითი 2:

„ანა (12.ს.ს.) კითხვა: ქურდი ადის სახლში. დედამისი გამოუწევს სკამს, დაჯექი შვილო. რა მოგატყუე?

პასუხი: 1. ქურდი არ ჯდება; 2. დედა ფეხებზე კიდია.

ანა (12.ს.ს.) კითხვა: სამი კარია. ორი არი დაკეტილი, ერთი ღია. რომელში შევა ქურდი?

ანა (12,ს.ს.) პასუხი: ქურდებისთვის კარი დაკეტილი არ არი“.

თუ ამ გამოცანა თამაშებს სიღრმისეულად გავაანალიზებ და კანონიერი ქურდების სუბკულტურასთან დავაკავშირებთ, აღმოვაჩენ, რომ ეს თამაშები გარკვეული საზრისის მქონეა. პირველ შემთხვევაში მოზარდები კანონიერი ქურდების სუბკულტურის გაგებას განიხილავენ. ამ დაუწერელი ნორმების მიხედვით კანონიერი ქურდები ოჯახის ფასეულობებს არ აღიარებენ და უპირატესობას კრიმინალურ სუბკულტურას ანიჭებენ. მეორე შემთხვევა კანონიერი ქურდების ძალაუფლებას განიხილავს ციხის კონტექსტში. კანონიერ ქურდებს საბჭოთა პენიტენციურ სისტემაში თავისუფლად შეეძლოთ საკნიდან საკანში და ციხიდან ციხეში გადაადგილება. სავსებით შესაძლებელია, რომ დიალოგის მონაწილეებმა ამის შესახებ არაფერი იციან,თუმცა წინასწარ განსაზღვრული პასუხები კანონიერი ქურდების შესახებ კულტურაში გავრცელებული მოსაზრებებიდან არის ნაკარნახევი.

მაგალითი 3:

„ანა (12,ს.ს.) კითხვა: ქურდი უბანში ჯდება და საინტერესო ამბებზე ყვება. რა მოგატყუე?

ნინო (12,ს.ს.) პასუხი: ქურდი არ ჯდება და არც საინტერესო ამბებზე არ ყვება“.

ამ შემთხვევაში მოზარდებმა იციან ,რომ ქურდი არ ჯდება, ის იცუცქება. ჩაცუცქვა ციხის საზოგადოებაში კარგად დასწავლილი ქცევის მოდელია. ის საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ციხეებში პატიმართა ცხოვრების გამოცდილების შედეგია. პატიმრებს ე.წ პრაგულკის დროს დასაჯდომი სკამები არ ქონდათ. საკმარისი სკამები არც საკნებში იყო. აქედან გამომდინარე ჩცუცქვა ციხის საზოგადოებაში დასწავლილი ქცევაა. რაც შეეხება ქურდის მიერ საინტერესო ამბების მოყოლას. არსებობს მოსაზრება, რომ კანონიერი ქურდები „განათლებულები“ იყვნენ. განათლება მათ სუბკულტურაში დაუწერელი ნორმებით იკრძალება. შესაბამისად კანონიერი ქურდებს აკადემიური ან პროფესიული განათლება არ ქონდათ. მაგალითად არსებობდნენ წერა-კითხვის უცოდინარი ქურდები, და ასევე არსებობდა ერთი პროფესორი ქურდიც, ჯაბა იოსელიანი(1926-2003).ჯაბა იოსელიანი ქურდულ სუბკულტურაში ანომალიური შემთხვევა იყო. შესაძლოა მითი კანონიერი ქურდების განათლებულობის შესახებ ჯაბა იოსელიანის ამბივალენტური ფიგურიდან მომდინარეობდეს. ასევე შეიძლება ისიც ვივარაუდო, რომ ქურდებს ზოგადი განათლება ქონდათ ისინი წიგნებს კითხულობდნენ, რადგან დროის უმეტეს ნაწილს ციხეში ატარებდნენ. იქ წიგნების კითხვისთვის დრო საკმარისზე მეტია. თუმცა ეს სულაც არ შეიძლება ჩაითვალოს მათი განათლების ინდიკატორას. ბავშვებმა ამ ყოველივეს შესახებ კულტურაში ცხოვრების შედეგად იციან, და ირონიულად დასცინიან მას.

მაგალითი 4:

„თორნიკე (13 ს.ს.) კითხვა: ფანჯარაა დაკეტილი და „კაი ბიჭს“ ცხელა, რას იზავს?

#(00) გააღებს არა?

ზურა (14 ს.ს.) პასუხი: არა, ბენდენას დაასველებს.

ზურა (14 ს.ს.) კითხვა: „კაი ბიჭი“ საკანშია, დაცხება, რას იზავს?

თორნიკე (13 ს.ს.) პასუხი: გააღებს საკანს, ძაღლობას დაუძახებს ფანჯარა გამიღეთო და გაუღებენ“.

არასწორი პასუხი ამ შეკითხვაზეა კაი ბიჭი თვითონ გააღებს ფანჯარას. კანონიერი ქურდები და ამ სუბკულტურის მიმდევრები ციხეში არ მუშაობდნენ. მსგავსი ტიპის მომსახურება დაბალი რანგის კრიმინალების ან ციხის ბადრაგის მიერ იყო შესრულებული.

მაგალითი 5:

„თორნიკე (13 ს.ს.) კითხვა: ქურდების სიაში რომელი ხარ?

ზურა (14 ს.ს.) პასუხი: ქურდებს სია არ აქვთ“. (09.07.2014)

კანონიერი ქურდების სუბკულტურა არ არის დოკუმენტიზირებული. ის არ მოქმედებს როგორც ბიუროკრატიული ერთეული. მისი დაუწერელი წესები მუდმივი ცვლილების და ინტერპრეტაციის საგანია. კანონიერი ქურდებს არ აქვთ რაოდენობრივი სია. მაგალითად ზუსტად არავინ იცის რამდენი კანონიერი ქურდია ცოცხალი ან რამდენი გარდაცვლილი.

მაგალითი 6:

„ნინო (12.კ.ს.) კითხვა: ქურდი დილით ჭამს კრუასანებს და ყავას, რატომ?

ანა (12.ს.ს.) პასუხი: იმიტომ რომ კრუასანი მოხრილია, ყავა შავი.

ნინო (12 კ.ს.) კითხვა: „რატომ არ ჭამენ ქურდები პამიდორს?

ნინო (12 კ.ს.) პასუხი: იმიტომ რომ <u>წითელია“.</u>

ეს დიალოგი ციხის ძირითად სიმბოლურ განსხვავებებს აჩვენებს: კანონიერი ქურდების სუბკულტურა არის შავი, და მათ მიერ კონტროლირებადი ციხე არის შავი. სახელწიფო არის წითელი და ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი ციხე არის წითელი. ესე იყო საბჭოთა კომუნისტურ სისტემაში და ეს ინერცია პოსტ-საბჭოთა კონტექსტშიც

გადმოვიდა. ამ გამოცანის მიზანია მოთამაშეთა სიმბოლური ცოდნის შემოწმება.მსგავსი სიმბოლური განსხვავებები თამაშის ქურდი ზონაშის ანალიზის დროსაც გამოჩნდა.

მაგალითი 7:

„ნინო (12. კ.ს.) კითხვა: ქურდი ავა ყვითელ ავტობუსში, დაჯდება თუ არ დაჯდება?

(00) პასუხი: არ დაჯდება.

ანა (12.ს.ს.) პასუხი არ არის სწორი. ქურდი ყვითელ ავტობუსში არ ადის“.

ამ დიალოგიდან სწორი პასუხი აჩვენებს იმას , რომ კანონიერი ქურდები არ ცხოვრობენ ნორმალური სოციალური ცხოვრების რუტინებით. მაგალითად არ მგზავრობენ საჯარო ტრანსპორტით. ეს დიალოგი ასევე ფერების სიმბოლურ განსხვავებასაც აჩვენებს. ქურდი ყვითელ ავტობუსში იმიტომ არ ადის, რომ ის არის ყვითელი.

...

კრიმინალური თამაშების ანალიზის შედეგად ხუთი მნიშვნელოვანი მიგნება გამოიკვეთა. (1) კრიმინალური თამაშები კანონიერი ქურდების სუბკულტურის შესახებ შექმნილი სოციო-კულტურული ცოდნის ინტერპრეტირებული გამოვლინებაა. ეს ინტერპრეტირებული ცოდნა ახალ სოციო -კულტურულ რეალობას წარმოშობს და უზრუნველყოფს ამ სუბკულტურის კვლავ წარმოებას(ინტერპრეტაციული რეპროდუქცია Corsaro 1992).(2) მიუხდედავად იმისა რომ კანონიერი ქურდების სუბკულტურა აღარ ითვლება სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის მოპოვების ან დაკარგვის საშუალებად(Bourdieu 1986). ის არც სტატუსის ფრუსტრაციის(Cohen 1955) დაძლევის საშუალებად გამოდგება, თუმცა ის მაინც რჩება წარსული გამოცდილების შედეგად შექმნილ ძლიერ სოციო-კულტურულ ჩარჩოდ(framework)(Goffman 1986). კრიმინალების რომანტიზება და უსისტემობისკენ ქართველი კაცის ლტოლვა, რეპრესიისა და ჩაგვრის ვრცელი ისტორიული გამოცდილების შედეგია.(3)თამაშის მონაწილეები თამაშის დროს სოციო-კულტურულ ცოდნას შეიძენენ. ისინი ამით

კაცურობისა და ვაჟკაცურობის კულტურულ წარმოდგენებს გაითავისებენ და დაუკავშირდებიან წამყვან კულტურას. ამით ქმნიან ჯგუფურ იდენტობას და დაუყოვნებლივ პატივისცემას იღებენ უფროსი თაობისაგან(მშობლების, ნათესავები მასწავლებლები) (4)კრიმინალური თამაშები დროის გაყვანის, კოლექტიური კოორდინაციის, შეჯიბრისა და სიამოვნების მიღების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა. (5) თამაშები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინდივიდის შეღწევადობის ხრისხებს თამაშების მიღმა არსებულ სხვა სოციალიზაციის სივრცეებში. მაგალითად ქუჩის აკადემია. ქუჩის აკადემიაში წარმატება, დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის მოპოვება დიდწილად სათამაშო გამოცდილებით(ნომრების ცოდნა და ენის ცოდნა) არის განპირობებული. როგორც ჩანს ეს არაფორმალური სოციალიზაციის გზა სტატუსისა და ეკონომიკური პრობლემების დაძლევის საშუალებად აღარ განიხილება, თუმცა ის მაინც წამყვანი ქართული კულტურის ორგანულ ნაწილად რჩება.

შედეგები

- სტალინის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში ანტი-საბჭოთა სენტიმენტები გააქტიურდა.საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკიდან საქართველო განსაკუთრებულ სეცესიონიზმს იჩენდა. ეს პოლიტიკურ სარბიელზე კარგად გამოჩნდა 1958,1978,1989 წლების დემონსტრაციების მაგალითზე. ჩუმი დაუმორჩილებლობა ქართული სურფის(ნოდია 2004;Tuite 2005;Altman 2011; Curro 2017a) ტრადიციაშიც ჩანდა. 1960-1970-იანი წლებიდან ჩრდილოვანი ეკონომიკის გაღრმავებამ ხელი შეუწყო კანონიერი ქურდების რაოდენობრივ ზრდას. 1960-1970-იან წლებში მონათლული ქურდების რაოდენობა 1950-1960-იან წლებთან შედარებით სამჯერ გაიზარდა. (იხ. ცხრილში N1 - 1950-2000 წლები: საქართველოში მონათლული კანონიერი ქურდების რაოდენობრივი ცხრილი). ამ პერიოდიდან სუბკულტურის მიმართ ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი

გაჩნდა. ეს დაემთხვა საბჭოთა საქართველოში კრიმინალური რომანის დაბადებას. კრიმინალურმა რომანმა(აკრძალული ლიტერატურის სიაში იყო) მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კანონიერი ქურდების პოპულარიზაციას და კანონიერი ქურდების შესახებ ზეპირი ისტორიების შექმნაც განაპირობა. ეს ისტორიები ნარატიული ხასიათისაა და მითებითა და ლეგენდებით არის გაჯერებული. მათი მეშვეობით კანონიერი ქურდების სუბკულუტურის შესახებ საზოგადოებრივი აზრიც კი შეიქმნა, რომლის ტირაჟირებაც 1990-იან წლებში პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ხდებოდა.

- 1990-იან წლებში, პოლიტიკური ქაოსისა და სოციალური დესტაბილიზაციის პირობებში, კანონიერი ქურდების მიმართ მაღალი სამოქალაქო ნდობა ჩამოყალიბდა. ეს რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა. (1) ქურდების დაუწერელი ნორმები ერთადერთი სტაბილური(დისციპლინური) ფასეულობათა სისტემა იყო, რომელიც მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პრობლემებს ეფექტიანად აგვარებდა; (2) კანონიერი ქურდების სუბკულტურა ისტორიული გამოცდილების მქონე იყო. მისი ეს გამოცდილება ჩრდილოვან ეკონომიკაში შესრულებული როლიდან მომდინარეობდა, რომლის ძირითადი ფორმები პოსტ-საბჭოთა კონტექსტში წარმატებით გადმოვიდა. ეს ძირითადად ბიზნესის დაცულობასა და პროტექციაში გამოიხატებოდა; (3) კანონიერი ქურდები საზოგადოებაში აზრის შემქმნელთა (საბჭოთ ინტელიგენცია) მიერ იყვნენ მხარდაჭერილნი. ამას თან ერთვოდა კრიმინალური ქრონიკებისა და ფოლკლორის მასიური ტირაჟირებაც. ამ ორმა ფაქტორმა კანონიერი ქურდების სუბკულტურის პოპულარობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი; (4) კანონიერი ქურდების სუბკულტურა მითებისა და ლეგენდებისგან შედგებოდა და ეს ბუნდოვანი ისტორიები მის მიმართ სამოქალაქო ინტერესს ამძაფრებდა. ზემოთ ჩამოთვლილმა ოთხმა ფაქტორმა ამ სუბკულტურის მიმართ მოზარდების ინტერესი გაზარდა.
- 1993-2004 წლებში „ქურდული ქრონიკების“ მასიურმა ტირაჟირებამ კანონიერი ქურდების ძალაუფლებისა და პოპულარობის ზრდას შეუწყო ხელი. ამ პერიოდიდან კრიმინალური სუბკულტურის მიმართ მოზარდთა დაინტერესება

ერთიორად გაიზარდა. 1990-იან წლებში არსებულმა მაღალმა კრიმინოგენულმა ვითარებამ და ბაზრის უკონტროლობამ კრიმინალური ფოლკლორის გავრცელება-გახალხურებაც განაპირობა. ქურდულ თემატიკაზე შექმნილი სიმღერები ყოველდღიურობის ნაწილი გახდა.

- 2003 წელს საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა. 2004 წლიდან ინსტიტუტების მოდერნიზაციის პოლიტიკა დაიწყო. 2005 წელს შემუშავდა „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელწიფო სტრატეგია“. 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ ახალი კანონი მიიღო. ამით სახელწიფო საბჭოთა კრიმინალურ ორგანიზაციას ღიად დაუპირისპირდა. სახელწიფოს ინტერვენციის შედეგად კანონიერი ქურდები იზოლაციაში აღმოჩნდნენ, ხოლო სუბკულტურამ სამოქალაქო ნდობა და პოპულარობა დაკარგა. კანონიერ ქურდებს სამოქმედო სივრცე შეეზღუდათ და მათი ქონების კონფისკაციაც მოხდა. კარიერული პერსპექტივა - კანონიერი ქურდობა - წარსულს ჩაბარდა.
- 2007 წლიდან სახელმწიფომ სკოლაში საპოლიციო კონტოროლის დაწესების პოლიტიკა წამოიწყო. 2010 წელს სკოლაში მანდატურები გამოჩნდნენ. ამ პოლიტიკის მიზანი იყო სკოლაში უსაფრთხოების ზომებისა და კონტროლის გამკაცრება და კრიმინალური ზეგავლენის მქონე სუბიექტებისგან მისი გაწმენდა. ეს მცდელობა ბოლომდე წარმატებული არ გამოდგა. ამას რამოდენიმე მიზეზი აქვს: (1) კანონიერი ქურდების სუბკულტურა, სკოლაში შეჭრილი სხვა ახალგაზრდული სუბკულტურებისაგან განსხვავებით (გეიმერები, როკერები, პანკები, გოთები, ემოები), ერთადერთია, რომელიც „ბულინგის“ სოციალურად ლეგიტიმური ფორმებით არის აღჭურვილი. 2) კანონიერი ქურდების სუბკულტურა მოწონებით სარგებლობს უფროს თაობაში (მშობლები, ნათესავები, მასწავლებლები). ეს მოწონება განპირობებულია ამ სუბკულტურის ანტისისტემურობით. ქართულ წამყვან კულტურაში ანტისისტემური გმირების წარმოშობა, გარე ძალების იმპერიალისტური რეპრესიისა და ჩაგვრის ისტორიულმა გამოცდილებამ განაპირობა. (3) კრიმინალური სუბკულტურის

მეშვეობით მამაკაცები გენდერულ განსხვავებებს აჩვენებენ და წამყვან კულტურასთან მიკუთვნებულობას ამტკიცებენ.

დასკვნა

ვარდების რევოლუციის (2003) შედეგად მოსული ხელისუფლების მიერ 2005-2007 წლებში ანტი-კორუფციულმა და ანტი-ორგანიზებული დანაშაულის კამპანიებმა კანონიერი ქურდების სუბკულტურის საარსებო არხების პარალიზება მოიტანა. ამ კამპანიას კანონიერი ქურდების შესახებ რომანტიული რწმენა-წარმოდგენების რღვევის პოლიტიკაც დაემატა. სოციალური ტრანსფორმაციის ამ ტალღამ განსაკუთრებული გავლენა ადვილად მოწყვლად ჯგუფზე მოზარდებზე იქონია. 2013-2015 წლებში სკოლის მოწაფეთა კრიმინალურ თამაშებზე დაკვირვების შედეგად რამოდენიმე გარემოება გამოიკვეთა.(1) მოზარდებისთვის, კანონიერი ქურდების სუბკულტურა (სუბ)კულტურულ კაპიტალის ფორმად აღარ განიხილება(Bourdieu 1986; Gelder and Thorton 1997). (2) ის აღარ ითვლება კარიერულ პერსპექტივად ან სასურველ პროფესიად ანუ კარიერული მიზანი(Merton 1938,2002). (3) სუბკულტურა სტატუსის ფრუსტრაციის (Cohen 1955) დაძლევის საშუალებას აღარ იძლევა.

მოზარდების სოციალიზაციის პროცესზე დაკვირვებას სხვა მიგნებებიც ქონდა. მაგალითად გამოჩნდა, რომ მოზარდების სოციალიზაციის პროცესზე, კანონიერი ქურდების სუბკულტურას, კრიმინალური თამაშების მეშვეობით აქვს გავლენა. ეს ანომალიურია თამაშის სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში გავრცელებული თეორიული ჩარჩოს კონსტრუქტივიზმის პერსპექტივიდან(Bettelheim 1962; Giddens 1964; Colemen 1967; Leackok 1971). თუ, კრიმინალური თამაშები ბავშვების სამომავლო ცხოვრებისთვის მომზადებას ვერ უზრუნველყოფს(კონსტრუქტივიზმი), მაშინ რითი აიხსნება ამ თამაშების განგრძობადობა ?

1. კრიმინალური თამაშები დროის გაყვანის, კოლექტიური კოორდინაციის, შეჯიბრისა და სიამოვნების მიღების ერთ-ერთი საშუალებაა.

2. ეს თამაშები რჩება უპირატესად ბიჭებისთვის საყვარელ გართობის საშუალებად. ამით გენდერული განსხვავებები და სქესთაშორის საზღვრები ყალიბდება.

3. მოზარდები კრიმინალურ თამაშებში მონაწილეობით ფართო სოციო-კულტურულ ცოდნას შეიძენენ და ეროვნული ღირსებისა და სიამაყის მოდელებს გაითავისებენ. თავისუფლების მოყვარე გმირის (კანონიერი ქურდი) შესახებ რწმენა წარმოდგენები კოლექტიურ მეხსიერებაშია გამეფებული.

4. თამაშების მეშვეობით ინდივიდის რეპუტაცია იქმნება და თანატოლებში დაუყოვნებლივი პატივისცემა ყალიბდება. რეპუტაცია და პატივისცემა სოციალიზაციის მომდევნო ფაზის „ქუჩის აკადემიის“ ატრიბუტებია. ამ აკადემიაში ბიჭები მამაკაცის როლებს მოირგებენ (Koehler 2000; Захарова 2010; Curro 2017) და ზრდასრულთა კეთილგანწყობას დაიმსახურებენ .

5. კანონიერი ქურდების სუბკულტურა, წამყვან კულტურასთან ღრმად ინტეგრირდა როგორც არაკრიმინალური ცხოვრების მოდელი, ერთგვარი პარადიგმა.ეს პარადიგმა ეკონომიკური და კულტურული კაპიტალის მოხვეჭის საშუალება იყო, და ამ თვალსაზრისით საბჭოთა ელიტური ცხოვრების პარადიგმასაც კი წააგავდა(თევზაძე 2009). ვარდების რევოლუციის(2003) შედეგად მოსული ხელისუფლების მიერ 2005-2007 წლებში განხორციელებული წარმატებული „შოკური თერაპიის“ მიუხედავად ამ სუბკულტურის აღორძინება კვლავ შესაძლებელია.

ბიბლიოგრაფია

Abramkin,Valerie.2017. *The Brief Speaking Dictionary of the Prison World. Online Prison Dictionary.* http://old.prison.org/nravy/dictionary/n.htm (02.02.2015)

Adelman,Deborah.1992. *The Children of Perestroika: Moscow Teenagers Talk About Their Lives and the Future*. New York: Routledge

Alexeev,Michael.1995.The Russian Underground Economy in Transition. *The National Council for Soviet and East European Research*, November 20: 1-13

Aliyev,Huseyn.2014. The Effects of the Saakashvili Era Reforms on Informal Practices in the Republic of Georgia. *Vol 6 / Issue 1 .Studies of Transition States and Societies. Talinn University, Estonia.*

Altman, Yochanan. 2011. The Georgian feast: Wine and food as embodiment of networks. *6th AWBR International Conference Bordeaux Management School,* 9-10 June

Anderson,Nels.1923.*The Hobo: Sociology of Homeless Men*. Chicago: University of Chicago Press.

Appelebaum, Anne.2003. *Gulag: A History of the Soviet Camps*. USA:Pinguine Book

Aries, Philippe.1962. *Century of Childhood: A Social History of Family Lif*e. New York: Alfred A.Knopf

Bateson, Gregory.1979. *Mind And Nature*.New York. Bantam Book.

Becker S, Howard.1963. *Outsiders: Studies in the Sociology of Deviance*. New York:Free Press.

Bentham, Jeremy.1791. *Panopticon Or the Inspection House.* Montana:Kessinger Publishing.

Bourdieu, Pierre., 1986. *The Forms of Capital.* Handbook of Theory of Research for the Sociology of Education.Richardson J.E (ed) ed. Santa Barbara: Greenword

Bronfenbrenner, Urie.1970. *Two Worlds of Childhood: U.S. and U.S.S.R* .New York: Russell Sage Foundation.

Caillois, Roger.2001. Man, *Play and Games*. Urbana and Chicago: University of Illinois Press

Carothers, Thomas.2002. The end of the transition paradigm.*Journal of Democracy.* 13.1 :5-21.

Chakrabarty, Dipesh. 2000. Subaltern Studies and Postcolonial Historiography. Nepalata: Views from south. Vol1: 9-32

Cloward, Richard and Ohlin Le.1960.*Delinquency and Opportunity: A theory of delinquent gangs*. New York: Free Press.

Cohen, Albert. 1955. *Delinquent Boys: The Culture of the Gang,* London*:* Collier Macmillan.

Cohen,Phil.1972. *Subcultural Conflict and Working Class Community*. London: Routledge.

Coleman, S James.1981.*The Adolescent Society: the social life of teenager and its impact on education*. Westport: Greenwood Press

Corsaro , A. William.2009. *The Polgrave Handbook of Childhood Studies*. eds. Jens Qvotrup, William A.Corsaro and Michael-Sebastian Hongi. Basingstoke: Palgrave Macmillan

Corsaro, A William.1992. Interpretive Reproduction in Children's Peer Cultures. *Social Psychology Quarterly*, Vol. 55, No. 2:160-177. URL: https://www.researchgate.net/publication/246515766_Interpretive_Reproduction_in_Children's_Peer_Cultures (05.04.2015)

Corsaro, A. William and Eder Donna. 1990. Children's Peer Cultures.. *Annual Review of Sociology*, Vol. 16 :197-220. URL : http://www.jstor.org/stable/2083268 (20.04.2015)

Corsaro, A. William and Rizzo A.Thomas.1988. Discussione and Friendship: Socialization Processes in the Peer Culture of Italian Nursery. *American Sociological Review*, Vol. 53, No.6 Dec: pp. 879-894 URL: http://www.jstor.org/stable/2095897 Accessed: 27-03-2015 13:34 UTC

Curro, Costanza.2017a. From Tradition to Civility: Georgian Hospitality after the Rose Revolution (2003-2012) School of Slavonic and East European Studies, University College London (SSEES-UCL), London. PhD. Thesis.

Curro, Costanza.2017. A critical assessment of informal practices as resistance: the case of *birzha* in Georgia. *Caucasus Survey*, Volume 5 issue 1. pp.65-84:

Diuk.M, Nadia. 2012.*The Next Generation in Russia, Ukraine, and Azerbaijan*.-Maryland: Rowman & Little filed Publisher

Eisenstadt ,Shmuel Noah and Luis Roniger. 1984. *Patrons, Clients and Friends:Interpersonal relations and the structure of society*, New-York :Cambridge University Press.

Feldbrugge, J.F.M.1984.Government and Shadow Economy in the Soviet Union. *Soviet Studies*. Vol 36.No 4. pp528-543 URL : https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09668138408411553?journalCode=ceas19 access: 21.01.2017.

Foucault, Michel.1995. *Discipline and Punish. The Birth of the Prison*. New York: Vintage Books.

Foucault, Michel .1980. Power/Knowledge, selected interviews and other writings 1972-77.New-York :Pantheon Books

Fortes,Meyer.,1971[1938].*Social and Psychological Aspects of Education in Taleland*.Bruner.J.S,(ed) ed *Play - Its Role in Development and Evolution*. London: Penguin Books

Frederiksen,D.Martin.2016. *Young Men,Time and Boredome in the Republic of Georgia*. United States, Philadelphia: Temple University Press.

Frønes, Ivar. 2016. *Authonomous Child Theorising Socialisation*. USA: Springer International Publishing.

Gambetta, Diego.1993.*The Sicilian Mafia: Business of Private Protection*. Cambridge: Harvard University, Press.

Gambetta Diego.2008.Trust: Making and Breaking Cooperative Relations. edited by Diego Gambetta. Basil Blackwell. Oxford, UK: Clowely Rod

Garfinkel ,Harold. 1991. Respecification: Evidence for Locally Produced, Naturally Accountable Phenomena of Order, Logic, Reason, Meaning, Method, etc. Cambridge ,UK: Cambridge University Press.

Garvey, Chatherine.[1977]1990.*Play*.Cambridge:Harvard University Press

Geertz, Clifford. 1973. *Thick Description: Toward an Interpretive Theory of Culture . Readings in Philosophy of Social Science* .Cambridge Masachusetss: The Mit Press

Gelder. Ken and Sarah Thornton. 1997. *The Subcultures Reader*. London: Routledge

der, Ken and Sarah Thornton (eds) (1997), *The Subcultures Reader*, London: Routledge

Gennep Van , Arnold. 1961. *The Rites of Passage*. USA: University of Chicago Press.

Giddens,Anthony.1964.Notes on the Concepts of Play and Leisure. *The Sociological Review*,12(1),pp.73-89.

Goffman, Erving. 1961. *Encounters: two studies in the sociology of interaction*. USA: The Bobbs – Merril company

Goffman.Erving.1961. *Asylums, Esseys On The Social Situation Of Mental Patients and Other Inmates*. New-York: Penguin Books.

Goffman,Erving.1963.*Stigma:Notes on the Management of Spoiled Identity. Prentice-Hall,Inc*. United States of America: Englewood Cliffs

Goffman,Erving.1986.*Frame Analyzes; Essay on the Organization of Experience*. Boston: Notheastern University Press. Goodwin, Marjorie Harness.2006.*The Hidden Life of Girls. Games of Stance Status, and Exclusion*. Malden:Blackwell Publishing. Ltd.

Goltz,Thomas.2006. *Georgian Diery: A Chronicle of War and Political Chaos in the Post-Soviet Caucasus*. London: Routledge.

Gurov, Alexander. 1995. *Krasnaya Mafiya*. Moscow: Samotsvet.

Hardin,Russell.2002. *Trust and Trustworthiness*. New-York:Russel Sage Foundation.

Huizinga, John. 1938,1949. *Homo Ludens. A study of the play-element in culture*. London: Routledge.

Humphrey,Ceroline.2002. *The Unmaking of Soviet Life. Everyday Economics After Socialism*. Cornell University Press

Ignatief, Michael.1978. *Just Measure of Pain.The Penitentiary in the Industrial Revolution 1750-1850*. New-York: Pantheon books

Inkeles Alex and Raymond A.Bauer.1959. *The Soviet Citizen – Daily Life in a Totalitarian Society.* Harvard University Press.

Irwin,John.1980. *Prison in Turmoil*. Canada :Little, Brown and Company.

Jacobs, B.James.1977. *Stateville. The Penitentiary in Mass Society*. Chicago and London: The University of Chicago Press

James, Alison and Aalan Prout. 1990.Constructing and Reconstructing Childhood: Contemporary Issues in the Sociological Study of Childhood. London: Routledge

James, Allison and Adrian James.2012. *Key Concepts in Childhood Studies*. London: Sage Publications Ltd.

James, Allison and Adrian James 2012. The Modern Child and The Flexible Labor Market:Early childhood education and care. New York: Palgrave Macmillan.

James, Allison, Chris Jenks and Alan Prout.1998.*Theorizing Childhood*. Cambridge. Polity Press.

Jirata, Tadessa Jaleta.2013.Children and Oral Tradition Among the Guji-Oromo in Southern Ethiopia. PhD Thesis, Norwegian University of Science and Technology. Trondheim

Kaiser P.Clear.2015. Lived Nationality: Policy and Practice in Soviet Georgia 1945-1978.University of Pensylvania. Dissertation. Pen Dissertations.URL https://repository.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3581&context=edissertations (08.07.2018)

Kaminski M, Marek.2010.*Games Prisoners Play:The Tragicomic Worlds of Polish Prison.* Prinston University Press.

Kantorowicz H. Erns. 1997.*The King's Two Bodies. A Study in Mediaeval Political Theology*. New Jersey: Princeton University Press.

Karpova,Yulia.2009.The Styaliagi:Soviet Youth (Sub) Cultures of The 1950s and Its Fasion.. MA diss: Central European University. Budapest, Hungary.

Kelly, Catriona.2007. *Children's World: Growing Up in Russia 1890-1991*.New Haven. Yale University Press.

Kharkordin, Oleg.1999.*The Collective and the Individual in Russia: A Study of Practices*. University of California Press

King D.Roy.1994.Russian Prisons After Perestroika: End of the Gulag ? *The British Journal of Criminology*. Vol 34.pp.62-82..

Kirschenbaum, Lisa.2001. *Small Comrades: Revolutionizing Childhood in Soviet Russia, 1917-1932*. London and New York: Routledge .

Kjørholt, A.T.2004. Childhood as a Social and Symbolic Space: Discourses on Children as Social Participants in Society. PhD thesis :Department of Education / Norwegian Centre for Child Research Faculty of Social Sciences and Technology Management Norwegian University of Science and Technology, NTNU Trondheim

Koehler,Jan.2000.*The School Of The Street: Organaising Diversity And Training Politaxis Inn A (Post-) Soviet Periphery*. Berlin: Free University of Berlin.

Kupatadze, Alexander. 2012. *Organized Crime, Political Transitions and State Formation in post-Soviet Eurasia*. London: Palgrave Macmillan UK

Leacock.B.Eleanor.1971.*At Play in African Villages*. Bruner.J.S,(ed) ed *Play - Its Role in Development and Evolution*. London: Penguin Books

Ledeneva , V.Allena.1998.*Russia's Economy of Favours: Blat, Networking, and Informal* Exchange. Cambidge: Cambridge University Press.

Ledeneva, V. Allena.2006.*How Russia Really Works: The Informal Practices That Shaped Post-Soviet Politics and Business*. USA: Cornell University Press

Liebel,Manfred.2016.The Moscow Declaration on the Rights of the Child(1918):A Contribution from the Hidden History of Children's Rights.*The International Journal of Children's Rights*, Volume 24,Issue 1,pp 3-28.

Lobjanidze, Givi and Glonti, George.2004.*Thieves in law in Georgia: History and Realities*. Tbilisi: Polygraph

Manning, Paul.2009. *The city of balconies: elite politics and changing semiotics of the post-Socialists cityspace*. Leviston Mellen Press.

Mars, Gerald and Yochanan Altman. 1983. The cultural bases of Soviet Georgia's second economy', *Soviet Studies*, Vol. 35, No. 4, pp.546–560.

Merton, K.Robert.2002. Social Structure and Anomie. *American Sociological Review*. Volume 3.Issue 5(1938) 672-682.

Oleinik, N.Anton.2003. Organised *Crime, Prison and Post-Soviet Societies*. Burlington: Ashgate Publishing Company

Opie, Iona.1969.*Children's Games in the Street and Playground*. UK: Oxford University Press.

Paoli, Letizia. 2003. *Mafia Brotherhoods: Organized Crime, Italian Style*. New York: Oxford University Press.

Piacentini, Laura. 2004. *Surviving Russian Prisons: Punishment, Economy and Politics in Transition*. Cullompton, UK: William Publishing Limited.

Piacentini , Laura, Slade Gavin.2015. Architecture and Attachment : Carceral collectivism and the problem of prison reform in Russia and Georgia. *Theoretical Criminology.* Vol19 (2) 179-197

Piaget, Jean.1965 *the Moral Judgment of the Child*. New York: Free Press

Pilkington, Hillary. 1994. *Russia's Youth and its Culture. A nation's constructors and constructed*. London and New York: Routledge.

Postman, Neil.1994.*The Disappearance of Childhood*. New York: Vintage Books.

Prichard-Evans E.E.1940.*The Nuer : A Description of the Modes of Livelihood and Political Institutions of a Nilotic People*. Oxford: Oxford University Press.

Putnam, D Robert. 1993, *Making Democracy Work, civic traditions in modern Italy*. Prinston: Princton University press.

Salukvadze, Joseph, Kristof Van and Nick Shavishvili. 2009. *City culture and city planning in Tbilisi where Europe and Asia meet.* New-York: The Edwin Mellen Press.

Schwartzman B. H.,1976. The Anthropological Study of Children's Play. *Annual Review of Anthropology*,5, pp. 289-328.

Slade,Gavin.2015. Violence As Information During Prison Reform::Evidence From The Post-Soviet Region. *British Journal of Criminology*, Vol 55: 937-955

Slade,Gavin.2013. *Reorganizing Crime. Mafia and Anti - Mafia in Post-Soviet Georgia*. Oxford: Oxford University Press.

Slade,Gavin.2012.No Country for Made Men:The Decline of the Mafia in Post-Soviet Georgia.*Law and Society*. Vol 46: 623-646

Slade, Gavin.2012.*Georgia's war on crime: Creating security in a post-revolutionary context. European Security.* London: Routledge.

Slade,Gavin.2007. The Threat of Thief in law who has Normative Influence in Georgian Society ? *Global Crime, Taylor & Francis*. Volume 8,Issue 2.

Shalamove,Varlam.1995.*Koluma Tales: 1954-1974*. New-York: Penguin Classics.

Shaw,Clifford and Mckay D.Henry.1942. *Juvenile Delinquency and Urban Areas*. Chicago: University of Chicago Press

Solzhenitsyn,Aleksander.2007. *The Gulag Archipelago*. UK: Collins Harper.

Solzhenitsyn, Aleksander.2009.*The one day in the life of Ivan Denisovich*.Berkley; Reprint edition.

Spivak, Chakravorty Gayatry.1988. Can the Subaltern Speak? In Marxism and the Interpretation of Culture. Eds. Cary Nelson and Lawrence Grossberg Urbana/Chicago: University of Illinois Press..

Sutherland H.Edvin.1937. *The Professional Thief*. Chicago: The University of Chicago Press.

Sutton-Smith, Brian.1986.*Toys As Culture*. New York: Gardner Press, Inc.

Sutton-Smith Brian.1972. Games of Order and Disorder. *The Assotiation For The Study Of Play* .Volume 4,Number 2.

Sutton-Smith,Brian. 1997.*The Ambiguity of Play*. Cambridge: Harvard University Press.

Sykes M. Gresham.1966. *The Society of Captives: A Study of Maximum Security Prison.* Prinston: Prinston University Press

Tangiashvili, Nodar and Slade, Gavin. 2014. Zero-tolerance schooling: education policy, crime, and democracy in post-Soviet Georgia. *Post-Soviet Affairs*, 30(5), pp. 416-440.

Tilly,Charles.2005.*Trust and Rule*. Cambridge: Cambridge University Press.

Tuite, Kevin. 2005. The autocrat of the banquet table: The political and social significance of the Georgian supra*. Language, history and cultural identities in the Caucasus,* June 17-19: 9-35.

Turner V, Victor. 1967.*The Forest of Symbols- Aspects of Ndembu Ritual.* Ihtaca and London: Cornell University Press.

Turner V. Victor.1974. *Dramas, Fields, And Metaphors. Symbolic Action in Human Society*. Ithaca and London: Cornell University Press.

United states joint publication research service .1961Criminal Code of The RSFRS - USSR. Washington D.C,: Library of Congress . https://www.cia.gov/library/readingroom/docs/CIA-RDP65-00756R000400010001-6.pdf (24.03.2018)

Valkanova, Yordanka.2009. The Passion for Educating the "New Man": Debates about Preschooling in Soviet Russia,1917-1925. *History of Education Quarterly*, Vol. 49, No. 2, pp. 211-221. URL: http://www.jstor.org/stable/4064807 (03.02.2015)

Vardosanidze Vladimer.2009.Social Dimensions of Urban Development in Post-Soviet Georgia: The Quest for Participatory Planning in Shattered Social Landscapes. Lewiston: Edwin Mellen Press.

Varese, Federico.2010. *What is organized crime?* Critical concepts in criminology *vol 1.* New York: Routledge.

Varese, Federico.2001. *The Russian Mafia: Private Protection in a New Market Economy*. New York and London: Oxford University Press.

Varese, Federico. 1998 . The society of the vory-v-zakone, 1930s-1950s Cahiers du Monde Russe, Vol. 39 515-538

Volkov, Vadim.2002. *Violent Entrepreneurs: The Use of Force in the Making of Russian Capitalism*. Cornell: Cornell Univ. Press.

Volkov,Vadim.1999.Violent Entrepreneurship in Post-Soviet Russia. *Europe – Asia Studies.* Volume 51 Issue 5.

Whyte F. William.1993. *Street Corner Society*. Chicago: University of Chicago Press..

Zakharova, Evgenia. 2015. The 'Tbilisi' street as a legal and political phenomenon in Georgia", in Voell, S. and Kaliszewska, I. (eds) *State and legal practice in the Caucasus*. London: Ashgate: 69: 82.

Захарова, Евгения.2016.Черный Мацони:Прагматика Тбилисского Уличного Кодекса. *Антропологический форум. N31:25-62*

Захарова,Евгения. 2010.Тбилиская Улиса Как Среда Мужской Социализациию. *Laboratorium*. N1:182-204.

ქართულენოვანი წყაროები

ბაქრაძე, აკაკი.1990. *მწერლობის მოთვინიერება.* თბილისი:სარანგი

ბრეგაძე, ლევან. 2013. *ქართული ჟარგონის ლექსიკონი.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გაზაევა, ფ, ძ .პლიევა, ქ.კლიმენკო და ც. მარგალიტაძეკ. 1987. *თამაში, როგორც კოლექტივის აღზრდის საშუალება*, თბილისი.

გამსახურდია,კონსტანტინე.2015.საბჭოთა პერიოდის დისიდენტობის ისტორიიდან.რადიო თვისუფლება. URL https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-konstantine-gamsakhurdia-sabchota-periodis-disidentobis-istoriidan/27295951. (15.06.2017)

დიურკემი, ემილ. [1893]2012. სოციალური შრომის დანაწილება. თბილისი: Carpe diem.

დუმბაძე, ნოდარ. 2011. თეთრი ბაირაღები. თბილისი: პალიტრა L

დუმბაძე, ნოდარ. 1984. კუკარაჩა. თბილისი: მერანი

თევზაძე, გიგი. 2009. განჯადოება, ხუთი ესე თანამედროვე საქართველოს შესახებ. თბილისი :ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

თორაძე, თამარ. 2015. *ვერელი თორაძეები: ნამდვილი ამბავი.* თბილისი. გამომცემელი უცნობია.

კოვზირიძე, დავით. 2011. *გელუკა*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

კრუპსკაია, ნ.კ. 1953. *აღზრდისა და სწავლების შესახებ.* თბილისი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა

ლაშაური, ნიკა. 2006. მარტოხელა. *შ.პ.ს თბილისელები,* თბილისი.

მახათაძე, ა. 1930. *ნორჩ პიონერთა მიმდინარე ამოცანები.* ტფილისი: სახელგამი.

მელაძე, ე.ს. 1988. *როგორ ჩავატაროთ მუსიკალური დილა ოქტომბრელებისათვის. მათთვის, ვინც ოქტომბრელებთან მუშაობს.* თბილისი: შრომის წითელი ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სტამბა.

მორჩილაძე, აკა. 2014. *ჩრდილი გზაზე.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნინუა, ჯემალ. 1984. იყავ მზად! თბილისი: ნაკადული

ნოდია,გია.2004*. ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება. თბილისი*: მშვიდობის და დემოკრატიის განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

ნოდია, გია. 2005. *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები.* თბილისი, მშვიდობის და დემოკრატიის განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

ომბუცმენი 2012 - საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში (2012) გვ. 12.

ჟღენტი, ალექსანდრე. 1961. მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ დეტექტიური ლიტერატურის გამოცემას. ალ. იასაღაშვილის რომანის „მგლის ბილიკის“ ირგვლივ. *საბჭოთა სამართალი. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია*. (N4) ივლისი-აგვისტო. გვ. 93-96

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.2006(2018).

საქართველოს რესპუბლიკა.1997.ლაზიშვილების საქმე. 11 მაისი N107,თბილისი.

სლეიდი, გავინ, იაგო კაჭკაჭიშვილი,ლელა ცისკარიშვილი, ნიკა . ჯეირანაშვილი და ნინო გობრონიძე .2014. *დანაშაული და გადამეტებული სასჯელი: საქართველოს საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები.* თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ფაჩუაშვილი, მერი და რუსუდან გამსახურდია . 1978. *ჩვენ ოქტომბრელები ვართ.* თბილისი: ნაკადული

ღლონტი, გიორგი. 2009. *კანონიერი ქურდები საქართველოში.* თბილისი :შპს „პოლიგრაფი“

ჯონსი,სტივენ. 2013. *საქართველო - პოლიტიკური ისტორია ამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი :სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

ხალიანი,თათია. 2017.მანდატურები სკოლის ცხოვრებაში. ლიბერალი,თბილისი.17 თებერვალის ნომერი 2017.

ძველი სახლი მთწმინდაზე,2003. „ძველი სახლი მთწმინდაზე“ ილო დევდარიანი 1928-1961.გვ.15-16)

ონლაინ მულტიმედია ფაილები

შაბათის შოუ. სკოლა 2-2 .2009 https://www.youtube.com/watch?v=oYervSFhrBM 1.55: 3.12. (12.01.2018)

შაბათის შოუ 2010 ძველი ბიჭების სკოლა .2011https://www.youtube.com/watch?v=XT3WX8pSbPA 00:17.00. (17.01.2018)

შაბათის შოუ. კაი ბიჭების სკოლა. 2011 https://www.youtube.com/watch?v=KWmlRnmvMmU 00:14.22. (20.01.2018)

კომედი შოუ. ძველი ბიჭები დირექტორთან.2012 https://www.youtube.com/watch?v=DXyrwNRk8zo 00:15.18. (25.01.2018)

კომედი შოუ. ძველი ბიჭების სკოლა.2012 https://www.youtube.com/watch?v=uQkZ8L04pnM 00:13.57. (20.01.2018)

კომდი შოუ . კუკუშა ზონაში. 2012 https://www.youtube.com/watch?v=pBsJiyjMoWU 00:16.59. (12.01.2018)

კომედი შოუ.წუროს დაკითხვა.2012 https://www.youtube.com/watch?v=arN_OCIW_W0 00:13.57. (12.01.2018)

კომედი შოუ. ძველი ბიჭების მუზეუმი. 2012 https://www.youtube.com/watch?v=I5mw6z6O4Rg 00:13.16. (18.01.2018)

ონლაინ ფორუმი forum.ge თბილისი 2015. დისკუსია ქუჩის აკადემიის შესახებ: https://quchiscxovreba.wordpress.com/2010/11/21/%E1%83%94-%E1%83%AC-

%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90/ (14.03.2015)

რადიო თავისუფლება.2010. ინტ. თბილისის მერობის კანდიდატების წარმომადგენლებთან მამუკა ახვლედიანი (მერობის კანდიდატის გიგი უგულავას წარმომადგენელი) URL: https://www.radiotavisupleba.ge/a/2046404.html (18.03.2016)

რადიო თავისუფლება (2017).წითელი ზონა. საბჭოთა აღზრდა დღვანდელ სკოლაში. https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/28560634.html 26:55-27:50. (14.03.2018)

პატრიარქის საკვირაო ქადაგება (18.06.2012) https://www.youtube.com/watch?v=6MbfjJZjCMY [0:28-1:48] (15.05.2018)

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საპარლამენტო გამოსვლა (2006) https://www.youtube.com/watch?v=LaCbbnFDV74 02:00 წთ. (14.03.2015)

Ambebi.ge. (2012) კანონიერი ქურდი თბილისში სკაიპით მონათლეს“ - http://www.myvideo.ge/v/1817989. (22.03.2015)

Ambebi.ge (2011) http://www.ambebi.ge/sazogadoeba/48952-53-e-skolis-direqtorma-mikheil-aleqsidzis-garickhvasthan-dakavshirebith-komentari-gaaketha.html?add=1 (12.03.2015)

ინტერვიუები

#1.კანონიერი ქურდი. ინტერვიუს ჩაწერის დრო 21.03.2013.17-30:18-30.

#2. კრიმინალური ავტორიტეტი. 16.03.2013 19-20:20-10

#3 ყოფილი მსჯავრდებული - ორთაჭალის N5 დაწესებულებაში ყოფნის დრო 03.03.-03.09.2006 (02.03.2014 13-00:13-40)

#4 „კაი ბიჭი“(14.06.2014, 21-10: 22-40).

#5 „ციხის მაყურებელი“-ორთაჭალის N5 დაწესებულებაში ყოფნის დრო 2006-2007 (31.05.2014 16-25:17-05)

დანართები

დანართი N1. კანონიერი ქურდების მიმართ დამოკიდებულებები Attitudes towards thieves-in-law 2004 and 2007(CRRC).



დანართი N2. IRI data set 2009.



დანართი N3. World Prison in Brief – Georgia.

წელი	რაოდენობა
2000	8,349
2002	6,794
2004	7,867
2006	15,465
2008	18,659
2010	23,684
2012	19,350
2014	10,372
2016	9,334